მანანა რომელაშვილი

ტყისპირა სახლის ზღაპარი

(წიგნი პირველი)

თბილისი
2021

კარგ საბავშვო წიგნთან შეხვედრის სიამოვნებას არაფერი შეედრება. მანანა რომელიშვილის საბავშვო წიგნი, ,,ტყისპირა სახლის ზღაპარი“ სწორედ ასეთი წიგნია. საინტერესო პერსონაჟებით, ამბებითა და თავგადასავლებით. წიგნებსაც უხარიათ კარგ მკითხველებთან შეხვედრა. მასთან, ვისაც არ ეზარება ტექსტის ყურადღებით წაკითხვა, ილუსტრაციების თვალიერება, ფიქრი, პერსონაჟებთან დამეგობრება, მათი სიხარულისა და სევდის გაზიარება.

მარიამ წიულაური

საბავშვო ავტორი

რედაქტორი: ქეთევან აბრამიშვილი

მხატვარი:არჩილ კუხიანიძე

დიზაინერ-დამკაბადონებელი: მანანა სურმანიძე

ბეჭდვა:შპს. "წიგნის ფაბრიკა"

ვუძღვნი შვილიშვილს - ბარბარეს

მარტოხელა სახლი, რომელიც ელის

ერთ გაშლილ მინდორში ერთი პატარა სახლი დგას. ვინ იცის, ვის ეკუთვნის, რამდენი წლისაა. ყავრის სახურავი მთლად ჩაშავებია, ხავსს დაუფარავს; პაწაწინა საკვამურს, კარგა ხანია, კვამლი მონატრებია. ფანჯრებსაც მინები ჩამსხვრევია, თუმც, რაღაც საოცრებით, ლურჯი საღებავი აქა-იქ შერჩენია და სახლიც თითქოს, მომლოდინე თვალებით იცქირება. დგას ასე საცოდავად, ცისა და მიწის ამარა, მზეს, მთვარეს, ქარსა და წვიმას მინდობილი. ისინი უვლიან, თავს არ ანებებენ. როგორ? აი, ასე: ქარი სახურავიდან თოვლს ხვეტს, ფანჯრებიდან ხმელი ფოთლები, მტვერი გამოაქვს; წვიმა აკრიალებს; მზე აშრობს. ღამით, ძილის წინ, მთვარე ზღაპრებს უამბობს. ახლა სეტყვა? ისიც კი ცდილობს, მასთან იმეგობროს. მთელი ძალით სახურავზე უკაკუნებს, ვითომ საგმირო ამბებს უყვება. სახლს ბოროტება არ იზიდავს, მის საქციელზე წუხს, მაგრამ ის ბაქია გადაიკარგება თუ არა, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდება, პაწაწინა თავს უფრო მარტოსულად გრძნობს. ნატრობს, გამოჩნდეს ვინმე, ადამიანი, რომელიც შეიყვარებს, უპატრონებს. მნათობი აიმედებს, ეჩურჩულება, – მოვა, აუცილებლად მოვაო. ამიტომაც კარი მოღებული აქვს. გრძელ ღამეებში იდუმალი ნაბიჯების ხმაც ესმის. სულგანაბული აქეთ-იქეთ იცქირება, მაგრამ ამაოდ! წინ მხოლოდ ნახევრად მორღვეული ღობე მოჩანს, რომელიც ფეხზე ძლივს დგას, მაგრამ მაინც ერთგულად იცავს მეგობარს.

მარტოხელა სახლს პატარა გოგონა პოულობს

და აი, ერთხელაც სახლს ნატვრა აუხდა. ბილიკს პატარა გოგონა მოჰყვა, გამჭირვალე და მსუბუქი, ფარფატა კაბით, შუქიანი თვალებით. გაოცებული მიადგა ღობეს, ფეხისწვერებზე აიწია და ეზოში გადაიხედა. არავინ ჩანდა. მრავლად ამოსულ ყვითელ მზესუმზირებს თვალები მოეხუჭათ, შავი გულები მზისთვის მიეფიცხებინათ და კამკამა ლურჯი ცის ქვეშ ეძინათ. იქვე, ლამაზად დახლართული ლეღვის ხე ტკბილ სურნელს აფრქვევდა. ფართო ფოთლებს მიღმა მწიფე ნაყოფი მოუჩანდა, აქეთ ასკილის ბუჩქი ღუოდა. ირგვლივ ფუტკრების გაბმული, მშვიდი ზუზუნი ისმოდა. ბავშვი ღობეში გაძვრა. ძალიან უნდოდა გაეგო, ვის ეკუთვნოდა ეს ლამაზი ადგილი. ნიავი დაეხმარა, მაღალი ბალახი შეარხია და სიძველისგან გახუნებული, გამომშრალი სახლი გამოაჩინა.

- ვაი, ეს რა არის? რა პატარაა! ნეტავ, ცარიელია? იქნებ ჯადოსნურია? – სიხარულით გაბრწყინებული გოგონა ბილიკზე გაიქცა, უშიშრად შეაბიჯა მოღებულ კარში.

უმშვენიერეს სამყაროში აღმოჩნდა. შიგნით, მზისგან, ოქროსფერი გამეფებულიყო. სხივები სახურავის ჭუჭრუტანებიდან ეშვებოდა. დატკეპნილი მიწიდან ავარდნილი მტვრის ფერადი ნაწილაკები ჰაერში ირეოდა, ბრჭყვინავდა. მაღლა, ჭერში, გამხმარი ყვავილები, სხვადასხვა მცენარის კონები თუ დაწნული გვირგვინები ეკიდა. ფანჯარასთან, გრძელ მაგიდაზე, სპილენძის თუნგი მოჩანდა. კედელში ბუხარი იყო დატანებული. იქვე, მის შვერილზე, ფერადი მინის ფარანი იდო. ბავშვი დაიხარა, ჯერ ბუხრის შავ სიცარიელეს შეუჭვრიტინა, მერე სანათი დაათვალიერა.

- იფ, რა ადგილას მოვხვდი?! – გაიფიქრა კმაყოფილმა და დატრიალდა, კაბა ააფრიალა. სხივები თავზე, მხრებზე დაეყარა.

პატარა სახლმა და პატარა გოგონამ ერთმანეთი გაიცნეს

- ნეტა, ხმას არავინ გამცემს? გამარჯობა, სახლო! მინდა, გაგიცნო, გეთამაშო, შეიძლება? – დაიძახა მან.

აქ მოლოდინს ედო ბინა. ის მაშინვე მიხვდა, მარტოობა დასრულდა. მეგობარს საჩქაროდ წასჩურჩულა, - გამოელაპარაკე, უკან არ გააბრუნო.

და აი, სიჩუმეში, სიკეთით სავსე ხმა გაისმა, - გამარჯობა, ჩემო კარგო! მე სახლიკო ვარ!

- უჰ, რა ლამაზი სახელი გქონია! – შესძახა ბავშვმა.

- მზემ და მთვარემ შემარქვეს, ჩემმა მეგობრებმა.

- ალბათ იმიტომ, რომ საყვარელი ხარ, მე კი უბრალოდ გოგონას მეძახიან.

- შენც მშვენიერი სახელი გქონია?!

- დედიკომ და მამიკომ შემარქვეს.

- რომ იცოდე, როგორ გნატრობდი, გელოდი.

- ჰოდა, მეც მოვედი! ძალიან მიხარია! ნებას მომცემთ, უფრო კარგად დაგათვალიეროთ?

- მოდი, მოდი, ნახე როგორი ვარ, იქნებ მოგეწონო, იქნებ რამით გაგახარო? - სახლიკო დაფაცურდა. უნდოდა, პატარა სტუმრის წინაშე ღირსეულად წარმოჩენილიყო, თუმც ბევრი არაფერი ებადა.

გოგონამ თავიდან შემოიარა ყველა კუთხე-კუნჭული. საოცრებები არ ილეოდა. ამჯერად, უკანა გასასვლელი კარიც აღმოაჩინა და იქვე, ჭერიდან გრძლად დაშვებული, მჭიდროდ ნაქსოვი ქსელი შეამჩნია. ეკიდა მშვენიერ ფარდასავით, აქა-იქ ბრწყინვალება გაჰკრავდა, თითქოს ოქროს ძაფები ჩაუყოლებიათო. ჭრელი ობობები გახლართულიყვნენ შიგ. ძველი, მიტოვებული სახლებისთვის აბლაბუდა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად თუ ვინმეს ექნებოდა ნანახი.

- ეს ამათ მოქსოვეს, არა? - ბავშვი გაფაციცებული ათვალიერებდა ამ საოცრებას. ხელი კი არ ახლო, ბაბაჭუებს უსახლკაროდ ხომ ვერ დატოვებდა?

სახლიკო გოგონას თავის დარდს ანდობს

- მართლაც ჯადოსნური ბრძანდებით, სახლიკო! ნუთუ, თქვენთან არავინ ცხოვრობს, არავინ მოდის?

- მეგობრები მყავს: მოლოდინი, მზე, მთვარე, ქარი, წვიმა, ტყისპირი კიდევ ბევრი სხვა. ვიცი, ისინი არასოდეს მიმატოვებენ. მხოლოდ ეგაა, ადამიანები არ ჩანან. მიტოვებული ვარ. უსაშველოდ ვნატრობდი ვინმეს მოსვლას და აი, გამოჩნდი. მინდა, ჩემთან დარჩე, მაგრამ ვხვდები, გელოდებიან, შენზე ფიქრობენ.

- დედ-მამა მელოდება.

- მშობლები ბავშვს ძალიან უნდა უყვარდეს, პატივს სცემდეს მათ, - ნაღვლიანად ჩაიჩურჩულა სახლიკომ.

- დიახ, ასეა! ვცდილობ, კარგად მოვიქცე. უჰ, მიხარია, მიხარია, მე რომ მელოდით! - გოგონამ კვლავ კაბა ააფრიალა, მერე თვალები მოჭუტა და იკითხა, - სკამი არ გაქვთ, ხომ? იცით, ცოტა დავიღალე.

სახლიკომ პასუხი ვერ იპოვა, შერცხვა.

- არა უშავს, არ იდარდოთ! - დაამშვიდა ბავშვმა და ძირს მოიკალათა.

ამ დროს, შორიდან, შეშფოთებული ძახილი მოისმა.

- უნდა გავიქცე, შეეშინდებათ! არ იციან, სად ვარ. აქვე, სახლის აშენებას ვაპირებთ. უფროსები ზომავდნენ, ითვლიდნენ, ლაპარაკობდნენ. მომწყინდა, აქაურობის დათვალიერება მომინდა, მივიხედ-მოვიხედე და ამ გზას დავადექი, - მორცხვად ჩაილაპარაკა გოგონამ. ჩანდა, მშობლებს გამოჰპარვოდა.

- ის ახალი სახლი დიდი და ლამაზი იქნება, ჩემი ნახვა მაინც მოგინდება? - სახლიკოს სულაც არ მიუქცევია ყურადღება უწესო საქციელისთვის.

- განა, თქვენ მშვენიერი არ ხართ? თან, მგონი, ჯადოსნურიც? - მიეფერა ბავშვი, - გიპოვეთ და ვეღარ დაგკარგავთ! დამელოდეთ, დავბრუნდები!

- მოსვლის უფლებას მოგცემენ? - შიშნარევი ხმით იკითხა სახლმა, - ეჰ, მანამდე რა გაძლებს, - ამოისლუკუნა კიდეც.

- მალე სულ ერთად ვიქნებით! - მხიარულად შესძახა გოგონამ.

პატარა სახლს უნდოდა, კიდევ რამით ესიამოვნებინა სტუმრისათვის, - მიდი, უკანა ეზოშიც გაიხედე. იქ, ლურჯ ყვავილებზე, წითელ-ყვითელი ჭიამაიები დაცოცავენ. დაღამებამდე თუ დარჩები, სახურავის ჭუჭრუტანებიდან ბრჭყვიალა ვარსკვლავებსაც დაინახავ.

- დანარჩენი შემდეგ იყოს, - თქვა ბავშვმა და ისევ იმ კარით გავიდა, რომლითაც შემოვიდა, ისევ იმ ბილიკით გაიქცა, რომელსაც მოჰყვა.

გოგონა მიდის; სახლიკო კვლავ მარტო რჩება

სახლიკომ თვალი გააყოლა. შეეცადა, ის სხვა ადამიანებიც დაენახა. აიჭიმა, გაიჭიმა, მაგრამ მაღალ ბალახებს ვერ ასცდა. ნელ-ნელა ყველაფერი მიჩუმდა, დაღამდა.



- ისევ მარტო ვარ! - მწარე ფიქრმა გაუელვა და სულ, სულ დაპატარავდა. ვარსკვლავებით მოჭედილი მუქი ცა დასცქეროდა ზემოდან, იდგა ტყის ბნელი ლანდი და ნიავის წამობერვაზე ჭრიალებდნენ ფიჭვები. ჭოტი, შორეული, უხილავი წერტილს უსვამდა ღამეს.

- დღეს სტუმარი გვყავდა, მთელი დღე კეკლუცობაში გავატარეთ, - აჩურჩულდნენ ყვავილები.

- მალე ჩვენც გვნახავს, - ჭიამაიებმაც ამოიღეს ხმა.

- მოვიდა ხომ? - ჩაიცინა მთვარემ.

სახლიკოს ღამე მაინც მარტოობით იყო სავსე. გვერდზე წაწვა, უცბადვე შესწორდა, - არა, არა, თავს უნდა გავუფრთხილდე! ახლა ჩემთან იმედიც დასახლდა. ჰოდა, გოგონას ერთად დაველოდებით!

მოლოდინს ბოლო მოეღო; დიდი სახლის მშენებლობა იწყება

შორიახლოს მტვერი ავარდა.

- ჩუ, ქარი არ უნდა იყოს! - წამოიწია სახლიკო, - გრუხუნიც გაისმა. ზემოთ აიხედა. თავზე მშვიდი, წყნარი დილა ედგა. ადამიანების ხმებიც რომ გაიგონა, მიხვდა, - მშენებლობა იწყებოდა. მოლოდინსა და იმედს სიხარულიც მიემატა. ოჰ, როგორ აინტერესებდა, იქით რა ხდებოდა. მეგობრები: გაბღენძილი ჭიანჭველა, ნაზი ჭიამაია და ყვითელი პეპელა დაჰპირდნენ, - ახალ ამბებს ყოველდღე გაცნობებთო.

გამოცოცხლდა გარემო, ახმაურდა, მაგრამ განა ყველას უხაროდა?

- თავი მტკივა! - ჯიჯღინებდა უკმაყოფილო ჭიანჭველა.

- მტვერია! - წუწუნებდნენ ყვავილებიც.

- სეტყვას უხრით თავს და ერთი სახლის აშენებამ შეგაწუხათ? აბა, ხმა არ გავიგო, ყველანი გოგონას დასახვედრად მოემზადეთ! - გაჯავრდა სახლიკო.

ამბები კი ნამდვილად სასიხარულო მოდიოდა.

- სახლმა თვალები გაახილა, ფანჯრები ჩაუსვეს, - გამოიარა გაბღენძილმა ჭიანჭველამ.

- დიახ, უკან კარიდან გამოვფრინდი, - დაადასტურა მოფარფატე პეპელამ.

- ფერადი სახურავი მზეზე აელვარდა. ყველაფერი დალაგდება და გოგონაც მოვა, - იმედიანად თქვა დინჯმა ჭიამაიამ.
- იმ სახლსაც ქარი გამოხვეტს? ეზოსაც წვიმა გარეცხავს? – იცინოდა ყველა.
- გვნახავს გოგონა, გვნახავს! - შრიალებდნენ ლურჯი ყვავილები.
- ძალიან კარგი, ძალიან კარგი. ყველაფერი წვიმებამდე უნდა მოესწროს! - სახლიკო ბედნიერი იყო.

ახალი მეზობელი ამპარტავანი და უკარება ჩანს

ასე და ამგვარად, მიდამოში მაღალი, ლამაზი სახლი აღიმართა, მტკიცე გალავნით შემოზღუდული. ეზოს მოხრეშილი ბილიკები, გაკრეჭილი ბუჩქები და ახლად დარგული ნერგების სიმწვანე ამშვენებდა. ჭიშკარი მხოლოდ პატრონების ნებართვით, ღილაკზე თითის დაჭერით თუ იღებოდა. მასზე დაყენებულ სათვალთვალო კამერებს კი არაფერი გამოეპარებოდა. ღამღამობით, ეზოდან, ლამპიონების სასიამოვნო შუქი იღვრებოდა. მყარი კრამიტი წვიმას არ ატარებდა, სეტყვას ისხლეტდა, ამიტომ დიდი სახლი წვეთების მოყოლილ საინტერესო ამბებს ვერ ისმენდა, არც სეტყვის საშინელი თავგადასავლებისა იცოდა რამე. ქარი დაუბერავდა თუ მზე დააცხუნებდა, დარაბებს აახმაურებდა, ჟალუზებს ააჟღარუნებდა, ოთახებს დააბნელებდა და დახუთავდა, მთვარეს კი ბლონდის ფარდებით ემალებოდა.
- რა უჟმური ვინმეა, ხმას არავის სცემს!
- რას გაბღენძილა? მდგარიყო მაშინ ქალაქის მტვრიან ქუჩაზე!
- სახლი ასეთი უნდა იყოს, დაგიცვას, უცხო თვალს მოგარიდოს.
- როგორ, მიუსაფარს არ დაეხმაროს? იქნებ ვინმეს უჭირს, არ შეიფაროს? - ხეები, ბუჩქები, მწერები, ჩიტები ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ.

სახლიკო ვერაფერს ამჩნევდა, კარგ გუნებაზე იყო, - მოდი, ვიმეგობროთ, ერთმანეთს ბილიკები გავუგზავნოთ! - გადასძახა ერთხელაც მეზობელს.

ახალმა სახლმა ვითომ ვერ გაიგო, არ უპასუხა, - რაღაც ნასახლარია, მაგისთვის სად მცალია? ავეჯი უნდა დავაპრიალო, იატაკი ავალაპლაპო, სამზარეულოში ქვაბები ავათუხთუხო, ტაფები ავაშიშხინო. ვინ აღარ მიდი-მოდის, ყველას ყურადღება სჭირდება, - ქედმაღლურად ჩაიბუტბუტა თავისთვის.

ისე, მართლაც ძალიან დაკავებული იყო: ჯერ, თავისი თავი და პატრონები ჰყავდა მოსავლელი, ახლა სტუმრები? მისი თვალიერება და, ქალაქიდან მოშორებით, სუფთა ჰაერზე ყოფნა ხომ ყველას სიამოვნებდა? მოდიოდნენ ოჯახის მეგობრები, ახლობლები, საჩუქრებიც მოჰქონდათ. ახალი ნივთები სახლში იდებდნენ ბინას და ისიც ირთვებოდა, ლამაზდებოდა. გარშემოც სასიკეთო ცვლილებები მოხდა. წინანდებურად ყრუდ აღარ ბნელოდა. ხეები ტოტებით მხიარულ ხმებს იჭერდნენ, ხოლო ტყისპირი, ცნობისმოყვარეობით და სიყვარულით სავსე, დილით სახლის სილამაზეს უჭვრეტდა, საღამოს - ლამპიონების ნათებას. მხოლოდ გვიან, როცა ყველა მოისვენებდა, ისიც იძინებდა.

სახლიკო ისევ ელის, გოგონა კი არ ჩანს

დრო გადიოდა. გოგონა არსად ჩანდა. სახლიკო თანდათან ნაღვლიანდებოდა. ახალმა სახლმა მეზობლობაზე უარი უთხრა, არც ელაპარაკებოდა. ძველი მეგობრებიც ვერაფრით ახარებდნენ, იქაურ ამბებს არ აგებინებდნენ.

- ვერც შევცოცდებით, ვერც შევფრინდებით, ყველა კარი ფანჯარა დაცულია, - ამბობდნენ პეპელა და ჭიამაია.

- იმდენი არიან, ვინმე ფეხს დამადგამს! – ბუზღუნებდა ჭიანჭველა.

სახლიკოს უკვირდა, ასე რატომ იქცევიანო. საქმე ის იყო, რომ მეგობრები მას უფრთხილდებოდნენ, არ უნდოდათ, გული სტკენოდა. იცოდნენ, ბავშვი უკვე ახალ სახლში ცხოვრობდა და რატომღაც არ მოდიოდა.

- რა ქნას? ამდენი სტუმარი ჰყავს, ვერ იცლის, - ამართლებდა ის, თავსაც იმშვიდებდა. ქარი, წვიმაც სადღაც გადაიკარგნენ. დარიანი ამინდები კარგია, მაგრამ დალაგება სჭირდება. ვინმე ხელს რომ შეავლებდეს! ამაზე პირველად დაფიქრდა. ძალიან მოუნდა, სუფთა, კოპწია ყოფილიყო. იმასაც დარდობდა, არ ჩაქცეულიყო, სიცოცხლე არ შეეწყვიტა.

რას აკეთებდა გოგონა? ავად იყო? არ ეცალა? მეგობარი არ ახსოვდა? – ერთი რომელიმე დღე ყველაფერს ახსნის. მთავარია, მათ ერთმანეთი ერთხელ უკვე იპოვეს.

სახლიკო ბედნიერია; გოგონამ დანაპირები შეასრულა; დაბრუნდა, თან ამხანაგებიც მოიყვანა

ერთხელაც, სტუმრად მისულ მეგობრებს გოგონამ უთხრა, - აქვე პატარა სახლია, ძალიან ლამაზი და ჭკვიანი. ყველაფერი ესმის, ჩემი მეგობარია. იცით, რა კარგია მასთან თამაში?

- მერე, ამდენ ხანს რატომ არ გვითხარი, არ გაგხსენებია? – გაუკვირდათ ბავშვებს.

- სულ მასზე არ ვფიქრობ? ვერ მოვიცალე, ვინ იცის, დარდობს, მელოდება. არა, არა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ახლავე უნდა წავიდე. დარჩებით თუ წამომყვებით?

ბავშვები რისი ბავშვები არიან? სახლიკოს ნახვა ყველამ მოინდომა. ჭიშკრის გაღება და ჩუმად გაპარვა გადაწყვიტეს.

- ვიცი, როგორც უნდა! - გოგონამ ღილაკს ხელი გაბედულად დააჭირა.

კარი გაიხსნა და მათ უკანვე დაიხურა. პატარების ჯგუფი მზით გაბრწყინებულ ბუნებასთან პირისპირ დარჩა. ეს ჭკვიანი ბავშვი, ისევ მთლად კარგად ვერ მოიქცა, მაგრამ მას ხომ სახლიკო უსაშველოდ მოენატრა? ჰოდა, ძველ, ნაცნობ ბილიკზე ხელებგაშლილი გაიქცა. მეგობარს კარები თამამად შეუღო და დანარჩენებიც შეიპატიჟა.

- გამარჯობა, გოგონა!
- როგორა ხარ, სახლიკო?
- გელოდებოდი, ძალიან მომენატრე!
- მეც აქ მოსვლაზე ვოცნებობდი.
- სტუმრები მომიყვანე?
- ჩემი ამხანაგები. შენი გაცნობა უნდათ. ვუჩვენოთ ჭუჭრუტანები?
- და ყველაფერი, რაც გვაქვს!

გოგონას თქვენობით მიმართვა აღარც გახსენებია. ის გულში ჩაიკრა სახლიკომ.

ბავშვებმა დიდებული დრო გაატარეს

ბავშვები სახლიკოს კუთხე-კუნჭულებს მოედვნენ. რა არ ნახეს: საოცრად ნაქსოვი ქსლის ფარდა, ფოთლებ ქვეშ შეყუჟული მწერები, იდუმალებით მოცული ბუხრის შავი თვალი, ძველი ფარანი და სპილენძის თუნგიც. ყველაფერი საინტერესო, უჩვეულო იყო, თითქოს ირგვლივ, რაღაც საიდუმლო იმალებოდა. სახლში, სახურავის ჭუჭრუტანებიდან დაშვებული მზის სხივები კი, ადრე არცერთს ენახა.

- საოცრებაა! ჭერი მზის სხივებს ატარებს? - იმეორებდნენ გაკვირვებული ბავშვები.
- ეს ჩემთანაა ყველაფერი არეული, - ჩუმად ჩაილაპარაკა სახლიკომ, - თორემ, ჭერი უნდა გიფარავდეს, სინათლე ფანჯრებიდან შემოდის. შესაკეთებელი ვარ. ეჰ, ოდესმე თუ შეეძლებათ ადამიანებს აქ ცხოვრება?
- ეს ცოტა ხანში დაინგრევა, - ჩაერია დიდი ბიჭი.
- არა! მივეხმარები, გადავარჩენ, გავალამაზებ. თუმც, მე ასეთი მირჩევნია, - არ დაუთმო გოგონამ.
- რად გინდა? ის ეზო და სახლი არ სჯობია? - არა და არ მოსწონდა იმ ბიჭს სახლიკო.

- რომელი, რომ არ გათამაშებს? ვკრიალებ, არ დამსვაროო?! - შეუბრუნეს კითხვა ბავშვებმა.
- სისუფთავე არც ამას აწყენდა. ნეტავ, მაშინ თუ მიგვიშვებდა ასე თავისუფლად? - ისევ ბჭობდა ის, მაგრამ ყურს ვინღა უგდებდა? ბავშვები დაფუსფუსებდნენ, ძალიანაც უხაროდათ, საყვარელი პატარა სახლი რომ გაიცნეს. მხოლოდ გოგონას მაინც რაღაც აწუხებდა.
- მოდი, გავბრუნდეთ, მშობლებს ნებართვა ვთხოვოთ, გამოგვიშვან და ისევ უკან მოვიდეთ. დავალაგოთ, მოვაწყოთ, - მოიფიქრა მან.

ბავშვები დაეთანხმნენ. დიდ ბიჭს იმედი ჩაესახა, იქნებ აღარ გამოგვიშვანო.
- არ წახვიდეთ, რა, სხვა დროს დამალაგეთ. დღეს ისე ვითამაშოთ, ვინ იცის, კიდევ როდის მოხვალთ? - ეხვეწებოდა სახლიკო.
- კარგი, აბა, ის ყვავილები მიჩვენე, მაშინ რომ დამპირდი, - დაუჯერა ბავშვმა და უკანა კარი გამოაღო.
- მოხვედი, გოგონა? ძლივს გნახეთ, რა ხანია გელოდებით. გვიხარია, ძალიან გვიხარია, - აკისკისდნენ ლურჯი ყვავილები.
- რა მშვენიერი ბაღია! რანაირად? აქაურობას ვინ უვლის? - შესძახეს სტუმრებმა.
- მიწა, ცა, მზე, მთვარე, წვიმა, - ყველა მეხმარება, - უხსნიდა სახლიკო, - თუ მოგწონთ იყავით, ეს ყველაფერი თქვენიც იყოს.

ბავშვებმა იხმაურეს, ითამაშეს, იცინეს და შინ დასაბრუნებლად გაემზადნენ, - იქნებ, ჩვენი გაპარვა ჯერ არც გაუგიათ, რომელიმე ოთახში ვგონივართ შეყუჟულები, მივასწროთ, საყვედურებსაც გადავრჩებითო, - ამ დროს ძახილიც გაიგონეს, მშობლები ეძებდნენ. ყველა სასწრაფოდ გაიქცა.
- მე შენ ლეკვს გაჩუქებ! - შორიდან დაიძახა გოგონამ. არ უნდოდა, სახლიკო გულდაწყვეტილი დაეტოვებინა. იგი ბილიკმა ისევ წაიყვანა.

არა, სახლიკოს გული აღარ სწყდებოდა. იცოდა, გოგონა მარტო არ დატოვებდა. ის სულ ახლოს დაიძინებდა. გრძნობდა, ამიერიდან, მათ ვერაფერი დააშორებდათ. ბავშვებიც ძალიან მოეწონა. მხოლოდ უფროსი ბიჭის წინაშე გრძნობდა უხერხულობას, ხვდებოდა, იმას თვალში არ მოსდიოდა, თუმცა იმედი ჰქონდა, ესეც გამოსწორდებოდა, - როცა მესტუმრება, თბილად შევხვდები და სიყვარულსაც დავიმსახურებო, - ფიქრობდა ის.

დიდ სახლს დაუბრუნდნენ

- ოჰ, მობრძანდებიან! - შორიდანვე შეამჩნია დიდმა სახლმა, - ერთი გაუგონ, სადაც ბრძანდებოდნენ. ნეტავ, რას გიჟდებიან იმ ძველი ნასახლარისთვის? - გაიბერა ის, მაგრამ მერე შეშინდა, კედლები არ დამებზაროსო, - რა ვქნა, ეს ბავშვი შემიყვარდა, განა ჩემს დაკრიალებულ ოთახებში ცუდად ითამაშებს? იმან საბოლოოდ თუ არ გადამირია, თანდათან იქნებ დავიმეგობრო, - კეთილმა აზრმაც გაუელვა და ეზოს გადახედა,

- ყველაფერი რიგზეაო? - აჰა, სავსეა აქაურობა ყვავილებით. არ ვიცი, არ ვიცი, მაინც რა მოსწონს იქ, ჰა? უკანა მხარე უფანჯრო მაქვს, ვერ დავინახავ. გავგზავნო ბილიკი? არა, არა, ისიც არ წამართვას, მოვიცდი. ვნახოთ, რა მოხდება.

ბავშვებს ჭიშკართან შეშფოთებული მშობლები ელოდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ძალიან არ დაუტუქსავთ, არც არაფერი უკითხავთ, ჩათვალეს, რომ უბრალოდ გაისეირნეს. მშვენიერი დღისა და მამიკოს ხათრით ეს საქციელი აპატიეს. ყოველივე მოგვარდა.

- აქ არ ჯობია? - ეზოში შესვლისთანავე შესძახა დიდმა ბიჭმა.

- ძლივს, ერთი ჭკვიანი არ გამოჩნდა? - ფარდები ააფრიალა სახლმა.

სახლებმა ჩაიძინეს; სიზმრები ვის უნდა?

საღამომდე ძლივს მიატანა სახლიკომ, ისე ეძინებოდა. მზეც ჩავიდა. ცარგვალი ვარსკვლავებით მოიჭედა, თან სიზმრები გამოფინა დასარიგებლად. გრილმა ნიავმა სახლიკო დაარწია და მან, ამდენი ხნის შემდეგ, პირველად ჩაიძინა ბედნიერმა.

- ერთ სიზმარს დავასიზმრებ, - წამოიწია ცის თაღი, მაგრამ, როცა მთვარის შუქით განათებული, ძილში ტკბილად მომღიმარი მეგობარი დაინახა, მიტრიალდა, - სჯობს, სხვას მივხედოო.

დიდმა სახლმაც ჩააქრო სინათლეები, ეზოში ლამპიონები ააელვარა, ჩაიკეტა, ჩაირაზა და მშვიდად დაიძინა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის თაღი ახლა მას დაადგა.

- გინდა ლამაზი სიზმარი?

- თავს ისედაც მშვენივრად ვგრძნობთ, - უპასუხა გაპრიალებულმა სახურავმა.

მხოლოდ სიყვარულით სავსე ტყისპირს არ ეძინა ჯერ. აღელვებული, აღფრთოვანებული იყო. მოსწონდათ ლამპიონების ნათება ხეებს. ბნელს გამოქცეულნი, ნიავს აყოლილნი, ჩუმად შრიალებდნენ.

ერთად ცხოვრება იწყება

დილიდან დიდი სახლი ჯარასავით დატრიალდა. საბან-ლეიბი, ბალიშები მზეზე გამოყარა, სარეცხი დაფინა, ოთახები დაალაგა, - ერთი მაჩვენა, რას მიკეთებს, ასე ჩემსავით ტრიალებს, ოჯახს უვლის? - თუხთუხებდა ის.

სახლიკო კი საგონებელში ჩავარდნილიყო. ადრე წვიმა და ქარი უვლიდნენ, ამიტომაც საქმის კეთება აღარ ეხერხებოდა, - რა ვქნა, რა მეშველება? გოგონა მოვა, სტუმრებს მოიყვანს, - წუხდა იგი.

- გინდა იმ სახლს დაემგვანო? ისეთი ამბავი აქვს, ფეხი ვერ დამიდგამს. კარგი რომ ყოფილიყო, ბავშვი შენთან კი არ ირბენდა, - ბუზღუნებდა ჭიანჭველა, - იქნებ, არც აქ გა-

მატარო, გამასახლო, რას გაწუხებ, მიწას ძლივს ვაჩნივარ, თუ ჩემთან მეგობრობა აღარ გჭირდება?

სჭირდება, როგორ არ სჭირდება, მაგრამ ათასი ფიქრი და საზრუნავი რომ გასჩენია?

- აი, სახლი! - მეზობელს გახედა, - ნამდვილად პატივსაცემია.

- არა, ჩემსავით ვერ ტრიალებს, მაგრამ რაიმე კარგი თვისება უსათუოდ ექნება, - აგუზგუზებულ ბუხარს გაბერილი სახლისთვის გული შეეთბო, - გავიცნობ, არაფერი მოხდება. აქ მარტო მე და ეგა ვართ. ხმის გამცემი ხომ მჭირდება? მაინც ვერაფერში მაჯობებს, მე ყოველთვის პირველი ვიქნები.

დიდი სახლის გემრიელი საუზმე

კვირა დილა გათენდა. დიდი სახლი ოჯახს საუზმეზე ელოდა. ყველაფერი გაემზადებინა: ბუხარში ცეცხლი აენთო. არა, კი არ ციოდა, უბრალოდ, ეს ოთახს სიმყუდროვეს ჰმატებდა. ფანჯრებიდან უხვად იღვრებოდა ნათელი. მაქმანიანი ფარდა ნაზად ირხეოდა. დიდ მაგიდას ყაყაჩოებით მოხატული სუფრა ამშვენებდა. ლურჯი ფინჯნები ცეცხლის ალს ირეკლავდა. ჩაიდნიდან ორთქლი ამოდიოდა. იქვე კარაქი, შაქარი, ცხელი პური, მურაბით, თაფლით სავსე ლარნაკები და კიდევ, შვრიის ფაფით სავსე თეფში, რომელიც მხოლოდ გოგონას ელოდა. მას კი არ უყვარდა, ოჰ, როგორ არ უყვარდა ფაფა, მაგრამ თეფში ყოველ დილით მაინც ხვდებოდა. დედა ამბობდა, სასარგებლოაო. ბავშვიც, მშობლის ხათრით, კოვზს იღებდა და შეექცეოდა. მხოლოდ, ცოტას მუდამ ტოვებდა. არადა, თეფში ჯადოსნური იყო. ულუფა მთლიანად რომ დაემთავრებინა, ფსკერზე საყვარელი, ყვითელგულა ზღარბუნია გამოჩნდებოდა და წითელ ვაშლს გამოუგორებდა, ან კუდფუმფულა ციყვები რკოს და თხილს ჩაუყრიდნენ ოქროსფერ კალათში. პატარამ არაფერი იცოდა ამის შესახებ, თორემ რა ხვეწნა დასჭირდებოდა? და მაინც, არსებობდა ერთი რამ, რაც გოგონას გულს უხარებდა. ეს იყო ბურბუშელა-ნამცხვარი: მრგვალ ლანგარზე მოთავსებული, თითქმის ჭერს მიბჯენილი ჰაეროვანი, ტკაცუნა ბურბუშელების კოშკი, შაქრის ფხვნილით მოფიფქული და ვანილით აბრჭყვიალებული, მართლაც რომ მშვენიერი სანახავი იყო, თან გარშემო სასიამოვნო სუნსაც აფრქვევდა. დიდი სახლი მას ხშირად ამზადებდა.

- დილა მშვიდობისა, გოგონა!
- დილა მშვიდობისა, დედიკო, მამიკო!
- კარგია, ყველანი ერთად ვართ. საუზმეს შევუდგეთ, თან რაღაც უნდა გიამბოთ, - დაიწყო მამამ.

გოგონას სახლიკო გაახსენდა. ბედნიერი იქნებოდა, მეგობართან თავისუფლად სიარული რომ შესძლებოდა. ტყუილიც ტანჯავდა, უნდოდა, მისი საიდუმლო მშობლებსაც სცოდნოდათ. ჰოდა, საოცარი რამ მოხდა.

- დილით, ადრე, მიდამოს დასათვალიერებლად გავედი, - დაიწყო მამამ, - რამდენი ხანია, რაც გადმოვედი, ეზოდან კი ფეხიც არ გამიდგამს. მშვენიერი ტყისპირი გრილი ჰაერით შემეგება, ფოთლები ამიშრიალა. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ძაღლიც გვეყოლება!

- მერე, მერე, კიდევ რა ნახე საინტერესო? – ერთხმად იკითხეს დედამ და გოგონამ.

- ძალიან კარგი ადგილი. აქვე, გვერდით, ბილიკის გაუყვები და პატარა, თითქმის დასანგრევად განწირულ ქოხს მიადგები. ეზო გაველურებულია, უკაცრიელი, თუმც ძალიან ლამაზი. ვათვალიერებდი იქაურობას ის კი, თითქოს ლურჯი თვალებით შემომცქეროდა. ავდექი და მივესალმე. აი, როგორი სასიამოვნო შეხვედრა მქონდა, - გაიღიმა მამამ.

- ეს რა გაიგონეს ჩემმა კედლებმა, - შეიცხადა დიდმა სახლმა, - ახლა ამანაც დაიწყო. არა, ნამდვილად დარდით დავინგრევი!

- მამიკო, მე ვიცნობ მას! -თვალები აუციმციმდა ბავშვს, - გახსოვთ, რომ მეძებდით? მაშინ გავიცანი. იმ დღესაც, მეგობრებთან ერთად, მასთან ვიყავი, - და გოგონამ აღიარა უწესოდ რომ მოიქცა, მოიბოდიშა, მაგრამ იქვე იკითხა, - ახლა ეზოს გარეთ ხომ გამიშვებთ? – რა თქმა უნდა, სახლიკოსთან სტუმრობას გულისხმობდა.

- მეც მაჩვენებთ? – დაინტერესდა დედა.

- ვიცი შენი ხასიათი, იქ დარჩები, - სიცილით თქვა მამამ.

- წავიდეთ რა, წავიდეთ, დღეს ხომ კვირაა! - იძახდა ბავშვი.

დიდი სახლი და პატარა ბაღი გულნატკენები არიან

- თავი ვერაფრით მოვაწონე, - თითქმის ტიროდა დიდი სახლი, - ვასაუზმე, ვიფიქრე, მათი მშვიდი დღით დავტკბები-მეთქი და სხვაგან მიდიან, თანაც ვისთან?!

- შენ კიდევ რა მოგივიდა, ეს ხალხი დღედაღამ აქ არ არის? უყვარხარ, თავს გევლებიან, ამ კედლებს იქით აღარსად გაიხედონ? – შეუძახა ნიავმა.

პასუხად დარაბების ხმაური მოისმა.

ნიავს, პატარა ბაღი გამოეპასუხა, - ისე, მეც გული მტკივა, ასეთი მოვლილი ვარ ესენი კი...

- მათ ხომ აქაურობის გაცნობა სურთ? - ახლა ბაღს ჩაუქროლა ნიავმა.
- შენ ძველ მეგობარს იცავ, მე რაში გაინტერესებ!
- ასე ფიქრობ? ნუთუ ვერ გრძნობ, გაგრილებ, გეხმარები. ამ გალავანში ჩაკეტილს მეტად გჭირდები. ვიცი, კეთილი ხარ. განა მოისურვებ, პატარა სახლიკო მარტოდ დავაგდოთ? აბა, რას იტყვი? აი, ამ სახლმა კი გამაწვალა, რა ხასიათისაა, ხან რას მოიფარებს, ხან რას, ვერ შემიღწევია. არც ჩემთან უნდა მეგობრობა, არც არავისთან.
ბაღი ამ საუბრის მერე ჩაფიქრდა. ალბათ, აზრს შეიცვლიდა.

სახლიკო გოგონას მოლოდინშია, მოულოდნელად მშობლებიც ესტუმრნენ

მოშუადღევდა. მოლოდინმა თავი წამოყო. ეჭვიც წამოიზლაზნა, - ვაითუ, არ გამოუშვანო. სახლიკო მიხვდა, ვინ ესტუმრა დილით, მაგრამ არ იცოდა, მამამ თვითონ მიაგნო, თუ შვილმა გამოგზავნა. გულისყურით შეათვალიერა, ეცადა, თავიც მოეწონებინა. ეს შეხვედრა იმედით ავსებდა, - ნახავს, რა სიმშვიდეა აქ და ჩემთან მეგობრობას არ დაუშლისო.

ოჯახი ჭიშკრიდან გამოვიდა და ბილიკს დაადგა.
- ვითომ დიდი ვინმე მყავდეს, დელეგაციები მისდის! იქნებ სხვაობა დაინახონ, - ქოთქოთებდა დიდი სახლი.
მოლოდინმა ახლა აქეთა მხარეს დაისადგურა. ბილიკმა გოგონა ისევ მოიყვანა.
- ვაი, მშობლებიც მოდიან! - სახლიკო გაოცებისგან დაიბნა, - ზეცავ, მზეო, მინდა ამ ხალხს მოვეწონო!
- ნათელი, კრიალა დღე მიდგას. იცი, რა ლამაზად ჩანხარ? - გადმოსჩურჩულა ცამ.
მზემ ლურჯი ყვავილები ააელვარა, ნიავმა ბალახი დააწვინა და პატარა სახლი გამოაჩინა.
- რა საყვარელიაა! გმადლობთ, ეს ადგილი რომ მიჩვენეთ! – დედა აღტაცებას ვერ მალავდა, - სულ აქეთ ვისეირნოთ, რა?!
- დე, ლაპარაკი იცის, შენი ნათქვამიც ესმის. გაიცანით, ჩემი მეგობარია.
დედ-მამამ ერთმანეთს ღიმილით გადახედა და სახლს თავი მხიარულად დაუკრა.

- მგონი არ გჯერათ, არა? კარგი, მის ნათქვამს მე გადმოგცემთ. აბა, სახლიკო, უჩვენე შენი საოცრებები! – გოგონამ კარი შეუღო და მშობლები შეიპატიჟა.
- რა მყუდროა! ნახეთ, ჭერიდან მზის სხივები ეშვება! - დედა აღფრთოვანებული იყო.
- ყველას მოსწონს. ღამით ამ ჭუჭრუტანებიდან ვარსკვლავები იხედებიან. ახლა უკანა ეზო უნდა გიჩვენოთ, - გოგონამ მეორე კარი გამოაღო.
- რა სილამაზეა! - გაოცებას ვერ მალავდნენ მშობლები.
- აჰა, მორჩა, ახლა აქაც ვერ გავივლი! - გაბღენძილმა ჭიანჭველამ დამალვა ძლივს მოასწრო.
- ეს ადგილი რატომ ვერ შევამჩნიეთ? გვცოდნოდა, ფანჯრებს აქეთა მხრიდანაც ჩავსვამდით, ჩვენს სახლიკოს ხშირად გადმოვხედავდით. ისე, თითქმის ერთი ეზოა, შემოვიერთოთ, ჩვენთან იყოს, რა! - შეეხვეწა დედა მამას.
- არა, თავისი ბილიკები აქვს, თავისი ყვავილნარი. ცხოვრობს სახლი ცის ქვეშ, - უარყო ეს აზრი მამამ.

გოგონამ კი ამაყად დაამატა, - მე მელოდებოდა, ზუსტად ვიცი, თვითონ მითხრა!

ვეება გაბრაზებულია

- მოკლედ, ახალ-ახალი საოცრებები მესმის! შემოვიერთოთო! ესღა მაკლდა, ისედაც იმდენი საქმე მაქვს! – გადაირია სახლი, - თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ვიცი, ნასახლარია. ისე, ერთი-ორი ფანჯარა უკანაც რომ მქონოდა, ჭკუაზე მოვიყვანდი. ეგ, როგორც უნდა დაალაგონ, მე მაინც ვერ შემედრება, ვერა! – სამზარეულოს ქვაბებთან ერთად თუხთუხებდა ის, - არა, თუ შემომიერთეს, ჩემს განკარგულებაში უნდა იყოს, ჩემს განკარგულებაში! – დაასკვნა ბოლოს.

პატარა ბაღი?

პატარა ბაღიც სახლიკოზე ფიქრობდა, - ნეტავ, იქ როგორი ყვავილები ხარობს? ჩემთან ცოტაა ჭიამაია, პეპლები აქა-იქ დაფარფატებენ, ცისარტყელა ხომ მაკლია და მაკლია. რა ვქნა, არ ვიცი. ჩიტები? ტოტზე ერთი-ორი თუ შემოჯდება. ერთი ეგაა, მგონი, მახრა არ მყავს, ნიადაგს ვერ დამიზიანებს, იქით ბევრი იქნება, დარწმუნებული ვარ. ეჰ, რა მოხდება ყველა ფრინველი ჩემთან რომ დასახლდეს? - ინატრა კიდეც.

დიდი სახლი ამ სურვილს ვერც მოიწონებდა, ვერც გაიზიარებდა. შუადღისას, ცოტა ხნით, ჩათვლემა იცოდა და იმათ ჭყიპინში რაღა დააძინებდა? თანაც ყველაფერს ხომ დასვრიდნენ, ხილს დაკენკავდნენ.

ასე იყო თუ ისე, ამ ეზო-კარში სახლიკოს არსებობა ცნობილი გამხდარიყო. მასზე ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ, მეორე მხრივ, სახლიკოს გარშემოც ყველა ახალ მეზობლებზე ლაპარაკობდა. ცუდად თუ კარგად, საქმე წინ მიდიოდა.

ბედნიერი სახლიკო გოგონასთან და ბავშვებთან ერთად ერთობა

სახლიკოს მხიარული ცხოვრება დაეწყო. გოგონას და მის მეგობრებს მისკენ მოუხაროდათ. ერთი ამბავი იყო. ბავშვები ჭირვეულობდნენ, მშობლებს სთხოვდნენ, – სტუმრად წაგვიყვანეთო, - იმათ ერიდებოდათ. მოსარიდებელი კი არაფერი იყო, დედიკო და მამიკო ხომ კეთილი, მოყვარული ადამიანები იყვნენ, მათ პატარების ასეთი ინტერესი ახარებდათ, - ბუნებას შეიყვარებენ, შრომას ისწავლიან, კარგი ადამიანები დადგებიანო. ჰოდა, ივსებოდა სახლიკო სიხარულით, ხალხით. დედამ და გოგონამ იქაურობა დაგავეს, დაასუფთავეს. მწერები აქეთ-იქით მიიმალნენ, დალაგების საშუალება მისცეს. არავის არაფერი დაშავებია, თუმცა ჭიანჭველა ისევ უკმაყოფილო დარჩა.



- ამან, იმდენი ხალხი ჩამოასახლა, აღარ დამედგომება, სადმე წავალ და წვიმის ნიაღვარი წამიღებსო.
- ნუ ბრაზობ, ჭიჭი, უშენოდ რა გაგვაჩერებს? მოდი, ვიმეგობროთ, - ეხვეწებოდა გოგონა, რომელსაც უკვე მოესწრო მისი გაცნობა.
- ეგ ჭიჭი რაღაა?
- ასე დაგარქვი. დაგიძახებ, გამოდი, კარგი?
- სულაც არ მომწონს, მაგრამ გამოვალ, აბა, სხვა რა გზაა? – ბოლოს და ბოლოს ჭიანჭველა შემოირიგეს. განა თვითონაც არ იცოდა, არავინ არაფერს დაუშავებდა?

ბავშვები გარემოს უვლიდნენ. ტყუილუბრალოდ ფოთოლს არ მოწყვეტდნენ. იცოდნენ, გარშემო ყველაფერი ცოცხალი იყო, გაფრთხილება უნდოდა. იქაურობას მზრუნველი ხელი დაეტყო, თითქოს სინათლემ იმატა. პატარებს ძალიან მოსწონდათ ბედნიერებით სავსე სახლიკო, რომელიც გაფერადებულ, გაპრიალებულ სახლებს არაფრით ჰგავდა. მათთვის, ამაზე უფრო თბილი, სტუმართმოყვარე, თავისუფალი ადგილი არც არსებობდა, - ერთადერთია და ჩვენ ვიცნობთო, - ამბობდნენ ისინი. შეკეთება კი გადაიდო. შემოდგომა ძალაში შედიოდა, მალე ქარწვიმა გახშირდებოდა. მამას იმედი ჰქონდა, პატარა სახლს გაზაფხულამდე არაფერი მოუვიდოდა, - ამდენ ხანს იდგა და ცოტასაც გაუძლებსო, - ამბობდა ის. თავად სახლიკო დარწმუნებული იყო, ასეთ გახარებულს ვერაფერი მოერეოდა. რაღაც მაინც გაკეთდა. უკან, დიდი სახლის გალავანში, კარი ჩაიდგა. ორი ეზო გაერთიანდა. ბავშვს უკვე მარტოც შეეძლო მეგობართან სათამაშოდ სიარული. ძელსკამები დაიდგა. ფანჯრებში მინები ჩაისვა. შიგნით სიმყუდროვემ დაისადგურა. ქარსა და წვიმას არ სწყენიათ, - ახლა ჩვენ დავისვენებთო. ელექტროდენი ჯერ არ გაეყვანათ, მაგრამ ბავშვებს უფრო საინტერესო რამ ერგოთ, - ძველი ფარანი. აი, ის, ბუხრის შვერილზე რომ იდო ჩამქრალი და მოწ-

ყენილი. იგი გაწმინდეს, გააპრიალეს. მოხატული მინა მთელი გადარჩენილიყო. საღამოობით, როცა სანათი ინთებოდა, კედლებზე, ჭერზე უცნაური ნახატები ჩნდებოდა. ირგვლივ იდუმალება ისადგურებდა და ბავშვები ჯადოსნური ზღაპრებით სავსე სამყაროში გადადიოდნენ.

დიდმა სახლმა მოიწყინა

დიდი სახლი ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. გოგონას ამხანაგებმა ხშირი სიარული რომ დაიწყეს, ჯერ აბუზღუნდა, - რა ამბავია ამდენი სტუმარი, აქაურობა აირევაო, - როცა მიხვდა, მასთან არც არავინ მოდიოდა, გაიბერა, მერე დანაღვლიანდა, მოიწყინა და ბოლოს, გულგატეხილობამ შეიპყრო. შფოთავდა. თავს მივიწყებულად, მარტოსულად გრძნობდა, - საბავშვო ოთახიც მაქვს, სასტუმროც, სათამაშოებიც, ბაღიც. ასე როგორ შეიძლება?!

- ალბათ სითბო გაკლია, - აზრი გამოთქვა ღუმელმა.

- შენ ვიღაზე ლაპარაკობ? ჩემი ოთხი კედელი რომ არა, ყველაფერს საკვამურს გაატანდი!

- ჰოდა, ეგ დაგუბებული სითბო სხვასაც უნდა გაუნაწილო. არავის სწყალობ, მუდამ რაღაც გაწუხებს, სულ გაბოროტებული ხარ! მე, ოღონდ ვინმე მომიახლოვდეს, მზად ვარ, ლოყები ავუწითლო, გავამხიარულო, - არ ცხრებოდა ღუმელი.

- ესეც ჩემი მტერი ყოფილაო, - სახლმა ხმა აღარ გასცა, მაგრამ ბუხრის სიტყვები მაინც გულში ჩარჩა.

სახლიკოსთან კიდევ ვიღაც ცხოვრობს? უხილავი ბინადარი

საკმაო ხანი გავიდა. ბავშვები, თითქოს სახლიკოს ყველა ბინადარს იცნობდნენ. არადა, აქ კიდევ ცხოვრობდა ვიღაც. დიახ, ეს გახლდათ ხის ჭია, რომელიც ერთ-ერთ კედელში დაბინავებულიყო. პირველად, სტუმრები რომ გამოჩნდნენ, ხმა არ გაუღია, მათ ლაპარაკს უგდებდა ყურს, - წავლენ და ჩემს სათქმელს მერე ვიტყვიო. ასე იყო კარგა ხანს. ბოლოს, მობეზრდა ლოდინი და ერთ მშვენიერ დღესაც აჭრიალდა, მაგრამ ისეთი განცვიფრება ვერ გამოიწვია, როგორსაც მოელოდა. თურმე, სახლიკოს მეგობრებს, რაღაც-რაღაცები ცოდნიათ მის შესახებ, ალბათ მშობლებისგან.

- ხის ჭიაც ცხოვრობს აქ?

- იყო, თუ ახლა მოვიდა?

- არა, მგონი, აქ დაიბადა.

- საშიში არ არის? სახლიკოს სულ დაშლის!

- მანამდე საუკუნე გავა.

- თვითონ თუ არ მოინდომა, ვერასოდეს იპოვი.

- რამდენი წლისაა, ასის თუ ერთის?
- ეტყობა, ჩვენი გაცნობა მოუნდა.
- მგონი, რაღაცას ყვება კიდეც.
- ეჰ, მოგიყვებოდით ამბებს, მაგრამ... – ჩაიჭრიალა ჭიამ და მიჩუმდა.

ვინ ეწვია დიდ სახლს?

ასე საინტერესოდ მიმდინარეობდა სახლიკოს ცხოვრება. მისი ამპარტავანი მეზობელი კი, გვარიანად მოწყენილი გახლდათ, თუმცა სიახლე მასაც ელოდა. იგი, ამ ცვლილებას, რა თქმა უნდა, ჩვეული კუდაბზიკობით შეხვდება.

ერთ მშვენიერ დილას სახლს ფანჯრები გამოეღო, მთლად უჰაეროდ ხომ ვერ გაძლებდა? ბლონდის ფარდები ოდნავ ირხეოდა, მყუდროებას არაფერი არღვევდა. უეცრად, ფრთების ფათქუნი მოისმა და კარგა მოზრდილი, შავ-თეთრი ფრინველი, გრძელი ბოლოთი, რაფაზე დაეშვა, გაიარ-გამოიარა. ეტყობოდა, შიგნით შესვლაზეც არ იტყოდა უარს. ასეთი რამ მანამდე არ მომხდარა. ფრინველები, თავიანთი ჩიტური ალღოთი, გრძნობდნენ, სახლს ახლოსაც არ უნდა გაჰკარებოდნენ, ამიტომ, მათ მხოლოდ ბაღი მასპინძლობდა. ამჯერად, ძალზე უჩვეულო რამ ხდებოდა. რა ელოდა ამ თავხედ ფრინველს?

- ეს რა არის?! ახლავე მოშორდი აქედან! – დიდმა სახლმა ფარდები ააფრიალა.

ჩიტი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, შიგნით შეჭვრეტას ლამობდა.

- ვინ ხარ?! რა გინდა?! როგორ მიბედავ?!

- კაჭი ვარ. ვერ ვიტან უაზროდ ფრენას, მიყვარს, რაღაც რომ ხდება. აბა, ხეზე შემოვ-ჯდე და უსაქმურად ვუსტვინო? დიდი ხანია, რაც მაინტერესებთ. გავიცნოთ ერთ-მანეთი, ვიმეგობროთ. მოვალ, ახალ ამბებს მოგიტანთ, თქვენც თქვენი დამახვედრეთ.

- მეტი საქმე არ მაქვს, შენ გეჭორაო, ფარდას აგიქნევ, აღარ დამენახო! - გადაირია სახლი.

კაჭიმ ჯერ შავი, პრიალა თვალები დაკვესა და მერე, ზედ რაფაზე არ მოსკინტლა? – ეგეც შენო! - და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, უტიფრად გააგრძელა, – ჰო, არ გაქვს რაიმე ბრჭყვიალა? მაჩუქე, გეხვეწები! მიყვარს, ვაგროვებ, ბუდეს ვრთავ. ტყე, მინ-დორველი გავცალე. იმ დანგრეულ სახლიკოს ძვირფასი არაფერი აქვს. აი, შენ სულ სხვა ხარ. ოთახებში რამდენი რამ გექნება!? ნუ მალავ, გადასწიე ფარდები, შემოვალ, ავირჩევ. შენი აქ წამომართვა ყველაზე მეტად მე გამიხარდა, - უკვე შენობითაც და-უწყო საუბარი.

ახლა კი, დანამდვილებით მოსალოდნელი იყო სახლის გადარევა. შეიძლება, სიბ-რაზისგან დაბზარულიყო კიდეც, მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა. ჩიტის სიტყვებს მასპინძელი მხოლოდ ალმაცერი მზერით შეხვდა. ადვილი მისახვედრი იყო, სახლიკოს გაჭორვა ესიამოვნა, მოიქრთამა.

- მაინც რა გნებავს? ის ხომ არა, ჩემი პატრონების ქონება დავანიავო? აბა, გაბედე, ცხვირი შემოყავი, ჩავირაზები და იფრინე ცხელ საკვამურში!

- განა ისეთი რა მინდა? უბრალო, ბრჭყვიალა, - თავს აცოდებდა კაჭი.

- თუ როდესმე, რომელიმე ფანჯარა ჩამემტვრევა, რაც არა მგონია, მოხდეს, აგროვე ნა-მსხვრვები, არ დამენანება, კაჭი ხარ თუ კაჭუ, - გადმოხედა ზემოდან და რაფაზე ჩა-დენილი უმსგავსობაც დაინახა.

თავხედი ჩიტი მიხვდა, უნდა გაფრენილიყო.

- გისურვებ, მალე ჩაგელეწოს მინები! ისე კი, აღარც მაინტერესებს. კარგად იყავი.

სახტად დარჩენილი სახლი რაფის გასაწმენდად მოემზადა. სადღაც, ძალიან ღრმად, სარდაფში, იგრძნო, ეს მისი პირველი შეხვედრა იყო ჭიშკრის გარეთა სამყაროსთან.

- აუტანელი ჩიტია, თუმც ეტყობა, სახლიკო არ უყვარს, ჩემით კი დაინტერესდა. უზრ-დელიცაა, მაგრამ გამოვასწორებ, თან გარშემო რაც ხდება, იმასაც გავიგებ. ნეტა, სარ-დაფში არის რამე ბრჭყვიალა? უნდა ვნახო, კიბეს გავუშვებ, ამბავს ამოიტანს, მაგას მა-ინც არ ეზარება ზემოთ-ქვემოთ სიარული.

კაჭი მოუსვენრობამ შეიპყრო

ამ პირველი შეხვედრის შემდეგ კაჭკაჭი დანაღვლიანდა. რატომ? ის ახალი ნაგებობა მოსვენებას არ აძლევდა. იქ ხომ ლამაზი ნივთები ეგულებოდა. უნდოდა, ისევ მიფრენილიყო, ეჭორავა, თან კი ეშინოდა იმ „ვეებასი“, - სახლს გულში ასე მოიხსენიებდა.
- კარგად უნდა მოვიქცე, ღირსეულად, თორემ ვერაფერს მივიღებ, - ჭკუას არიგებდა თავს, - ყველაფერი დამიძველდა, მომბეზრდა, ახალი გასართობი მჭირდება. რა ვქნა, რით ვასიამოვნო, რა მოეწონება? - უცბად მოაგონდა, როგორ აუელვარდა დიდ სახლს ფანჯრები, როცა მან სახლიკო უდიერად მოიხსენია.
- აჰა, იმისი ამბავი აინტერესებს. ვხვდები, დიდად არ მოსწონს. ამიტომ, თუ კარგს ვიტყვი, მის გულს ვერ მოვიგებ, ცუდი კი რა ვთქვა, ისეთს რას აშავებს? ერთხელაც არ უთქვამს, ჩემს ეზოში რატომ ხარო. ნამსხვრევებიც გამომატანა. რა მოვიფიქრო? იქნებ ყური მოვკრა რამეს.

არადა, მას შემდეგ, რაც პატარა სახლი ერთიანად გაცალა, იქით აღარც გაუხედავს. საინტერესო არაფერი ეგულებოდა. თავზე ისე გადაუფრენდა, ერთს არ მოიკითხავდა. ფრინველის საქციელით ყველა აღშფოთებული იყო, მაგრამ იგი ამას არ დაგიდევდათ. უდარდელად დანავარდობდა, რადგან არც მეგობრობა იცოდა, არც მეზობლობა.

ითმინა, ითმინა და მაინც გადაწყვიტა სტუმრად წასვლა. სულსწრაფი კაჭი ხელცარიელი გამოცხადდა, მაგრამ თავაზიანი ქცევით აპირებდა, ვეებასთვის გული მოელბო, რა თქმა უნდა, საჩუქარიც გამოეტყუებინა.

სანამ დიდ სახლს ეძინა, კაჭი ბაღს ესტუმრა

სახლს შუადღის ძილით ეძინა. ფრინველი რაფაზე ფრთხილად დაეშვა და ნისკარტით დარაბას მიუკაკუნა, - შესძახე შენს პატრონს, რა?!
- უჰ, ეს რა დამავალე, მიხურული ვარ. ძლივს ჩაიძინა, სულ ქოთქოთებს, დამღალა. მაცადე, დავისვენო, მერე გამოიარე, - ფრთხილად გაიჭრიალა დარაბამ.

გაწბილდა კაჭი. რაფაზე უხერხულად აბუზულიყო. მაინც მოცდა ამჯობინა. მოდი, ბაღს დავათვალიერებო, - გაიფიქრა და ქვემოთ ჩაფრინდა. ბილიკს სკუპსკუპით გაუყვა.

ბაღმა ახალი სტუმარი მაშინვე შეამჩნია, თბილად შეეგება, - კეთილი იყოს შენი მობრძანება, როცა გინდოდეს, მოფრინდი, ჩიტებს გაიცნობ, გაერთობიო.
- უჰ, ეგენი ტყისპირშიც მაბეზრებენ თავს, ფრენის და ჭიკჭიკის გარდა არაფერი აინტერესებთ, უბადრუკ ბუდეებში ცხოვრებენ. მე კი სულ სხვა ვარ, განსხვავებულად ვცხოვრობ, - გაისმა საკმაოდ მკვახე პასუხი.

ამ დროს, იქ შემთხვევით მყოფმა სკვინჩამ ჩამოსძახა, - შენ ფანჯრებში, ბუდეებში გიყვარს ცქერა, თვალთვალი. კიდევ კარგი, არავინ არაფერს გეკითხება, თორემ ამბებს

აქეთ-იქით მიიტან-მოიტანდი, ყველას ერთმანეთს გადაჰკიდებდი. აი, ესაა შენი განსხვავებული ცხოვრება.

კაჭი ამ ბრალდებას გულგრილად შეხვდა და უდიერად იკითხა, - არ იცით, ეს როდის გაიღვიძებს?

- არაა, შიგნითაც ყველას სძინავს. სხვა დროს უნდა ესტუმრო, - ურჩია პატარა ბაღმა, თავისთვის კი გაიფიქრა, - ნუთუ ასეთი ცუდი ჩიტია? იქნებ აღარ მოვუშვა? სხვებსაც აწყენინებს, დაფანტავს.

- ხმაური ხომ არ ავტეხო? – გაიფიქრა მოუსვენარმა ფრინველმა, მაგრამ ეს აზრი სწრაფადვე უარყო, - არა, შეიძლება ისე გაბრაზდეს, აქეთ საერთოდ აღარც გადმომაფრინოს.

ვეებამ გაიღვიძა

სახლს შემთბარი სახურავის ქვეშ გემრიელად ეძინა, მაგრამ მალე მზეს შემოდგომის ღრუბლები შეესივნენ, აგრილდა და მანაც შეღვიძება დაიწყო. კაჭკაჭმა ფრთები ნისკარტით გადაივარცხნა, მოემზადა. ვეებამ ამოიფშვინა, იქაურობას ჩვეული მედიდურობით გადმოხედა. ჩიტმა თავი დაუკრა.

- ასე მალე, თან ამ დროს?! - უხეშად მიმართა მასპინძელმა, - ვეღარ ისწავლე როდის შეიძლება ჩემთან სტუმრობა? შენმა წინ და უკან ფრენამ უდროოდ გამაღვიძა! - გადაბრალა კიდეც საცოდავს.

სტუმარი მიხვდა, მოპატიჟებას ვერ ეღირსებოდა და სასწრაფოდ რაფაზე დაფრინდა, - დიდი ბოდიში, უდროოდ მოვედი, ამის შემდეგ მეცოდინება.

- კარგია, თვითონ რომ ხვდები.

- სწორედაც, მე ხომ განსხვავებული ვარ! ამაში მალე დარწმუნდებით. თქვენს მოლოდინში ბაღი გავიცანი. დამპატიჟა, ხშირად გამოიარეო.

სახლს ჩრდილმა გადაურა, - მოქცევა ვერ ვასწავლე, ქვეყანას შეყრის, - გაიფიქრა, მაგრამ თავი შეიკავა, - აქ მოსვლამდე იმ დაქცეულთანაც ხომ არ ყოფილხარ? - პირდაპირ იკითხა.

- აბა იქ რა დამრჩენია? ბავშვებმა იარონ. მათაც მალე მობეზრდებათ, მიხვდებიან, რომ საინტერესო არაფერია და გაკრიალებულ, ბრჭყვიალა ნივთებით სავსე ოთახებს დაუბრუნდებიან, - ამ სიტყვებით კაჭიმ გამოსავალი იპოვა, მაგრამ ვეებას ეს პასუხი არ მოეწონა.

- რა, საქმე მარტო ეგ არის? გოგონა ამ ყველაფერს ზედაც არ უყურებს. ეს შენაა სული რომ მიგდის, - სახლს თვითონაც გაუკვირდა იმისა, რაც თქვა.

- მკაცრი ბრძანდებით, ბრალი რაში მიმიძღვის? განა სილამაზის სიყვარული ცუდია?

- თავი დამანებე, მაცდენ! მოსაღამოვდა, აგრილდა, ბუხარი დასანთები მაქვს. რისთვის გისმინო, საინტერესოს რას ყვები? შენი თავის ქების მეტს რას აკეთებ? კარგა ხანი აქ არ დაგინახო.

- მესმის თქვენი, დღეებს დაუღალავ შრომაში ატარებთ, მაგრამ ძალიან მალე საინტერესო ამბებით გაგართობთ.
- შენ შესახებ?
- არა, რატომ? გარშემო იმდენი რამ ხდება, - ფრინველმა თვალები ცბიერად დაკვესა, მოტრიალდა, რაფიდან ეზოში ჩაასკინტლა, რითაც სახლს მიანიშნა, შეცდომებს ნელ-ნელა ვასწორებო.

მასპინძელს არაფერი უთქვამს, მგონი, არც გაბრაზებულა, სტუმარს მორიდება დაუფასა. მიხვდა, ჩიტს უკვე არჯულებდა და მალე თავის ნებაზე დაატრიალებდა.

კაჭკაჭმა საჩუქარი მაინც მოიპოვა

- კარგი, ახლა წადი, მერე გამოიარე, რა დროსაც, თვითონ იცი, - ოდნავ დაუყვავა დიდმა სახლმა.

კაჭკაჭი მიხვდა, საჩუქარზეც შეიძლებოდა ხმის ამოღება, - უკაცრავად, დალაგებისას, რამე ბრჭყვიალა ხომ არ მოგრჩენიათ?
- მომრჩა, მომრჩა, - სახლს კინაღამ გაეცინა, - ეზოში სარდაფის კიბესთან მიდი, ის მოგცემს.

აფრთხიალებული ჩიტი კედლებს მიაწყდა, ძლივს იპოვა ის ადგილი, სადაც ოქროსფერი, ბრჭყვიალა ბურთულა იდო.
- გმადლობთ, გმადლობთ, სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, - კიბეს თავი დაუკრა, მძივის მარცვალს ნისკარტი დაავლო და გაფრინდა, - მომავალ შეხვედრამდეე, - ჩაიჭახჭახა გზად.

მშვენიერი ტყისპირი, კაჭი საკუთარი თავით უკმაყოფილოა

ყვითელი ტყისპირი მშვენიერი იყო. უკვე გვიანი შემოდგომა სწვეოდა. ოქროსფრად აელვარებულს ფრთოსანთა შავ-შავი ბუდეები კიდევ უფრო მკვეთრად დამჩნეოდა. კეთილს და მეგობრულს უამრავი ფრინველი შეჰკედლებოდა. არა, ტყისპირს არ ეშინოდა ცივი, სველი, ღრმა შემოდგომისა. მისი მეზობელი ხომ უშველებელი სახლი გამხდარიყო, საიდანაც სითბო და სინათლე მოდიოდა. თვით სახელგანთქმულ კაჭისაც აქ დაედო ბინა, რა თქმა უნდა, გამორჩეული, რომელსაც თავს ევლებოდა, ალაგებდა, რთავდა. ახლაც, სწორედ მისკენ მიეშურებოდა გახარებული იმით, რომ თავისი სამყოფელისთვის კიდევ ერთი საჩუქარი შემატებინა.
- ისევ რაღაცას მოაჭყარტალებს, როგორ არ მობეზრდა? - ჩაიშრიალა ტყისპირმა.

კაჭი მიხვდა, მისი საქციელი არ მოსწონდათ, ამიტომ ბუდეს თავი უჩუმრად შეაფარა. იქ ლაგება დაიწყო, უნდოდა, ახალი ნივთი ლამაზად გამოეჩინა. ამასობაში დროც გავიდა. დაღამდა. უაზრო შრომით, უკაცრავად, "საინტერესო დღით" დაღლილი ჩი-

ტი ჩათბუნდა, მაგრამ არ დაეძინა, ფიქრმა წაიღო, - რა მიხარია, რა?! ეს ერთი ბრჭყვიალა ბურთულა, რომელიც შეიძლებოდა თვითონაც მეპოვა? თან დიდის ამბით მომცა, გადამაყოლა. ამის გულისთვის უნდა ვიცრუო, სახლიკოს ცილი დავწამო? არა, ასეთი უსამართლობა ნამდვილად შემაწუხებს. ვიფიქრებ, საერთოდ მიღირს კი რამედ ვეებას ნაცნობობა? ვნახოთ, შემდეგს რას მაჩუქებს.

აქეთ დარჩენილმა სახლმაც იტრიალა, იშრომა და დაღლილმა ძლივს ჩაიძინა. იგი ისევ დაელოდება ჩიტუნას, რადგან დარწმუნებულია, მისგან საინტერესო ამბებს გაიგებს.

ღამე დადგა, გაძლიერდა. მიდამომ იდუმალება შეიძინა. ღრუბლები ვარსკვლავებში აირივნენ, სიზმრებს გადაეფარნენ.

მიდამოს შემოდგომის ქარ-წვიმა ესტუმრა

გათენდა. მზე არ ჩანდა, ვერ ბრწყინავდა. ღრუბლიანი, ცივი დღე იდგა. ქარიც ეწვია მიდამოს. ტყისპირს შეაჟრჟოლა, შეამცივნა, მაგრამ დიდი ხნის უნახავი მეგობარი მაინც გულთბილად მოიკითხა, - სად იყავი, დაგვივიწყე?

- მშვენიერი დღეები იდგა. ჩემი დრო ვიცი. აჰა, გვიანი შემოდგომა მოახლოვდა და გამოვჩნდი. წვიმაც გზაშია. გაგიჭირდება, მაგრამ ერთმანეთი ხომ უნდა ვნახოთ? მეგობრობა მეგობრობაა.

- რას ამბობ? ყველანი ერთმანეთს ვეხმარებით. აბა, ხმელ ფოთოლს ვინ გამაცლის? - მიუგო ტყისპირმა, - აქ საქმეს უკვე მორჩი?

- ეგ არც ისე ადვილია, დრო უნდა. ერთი ეს მითხარი, აქეთ ახალი ამბები გაქვთ? - ჰკითხა ქარმა.

- ასეა. აი, ხედავ, რა ლამაზი სახლია? დაბნელდება თუ არა, მისი სინათლით ვხარობ, ცოტა ამპარტავანია, მაგრამ პატრონები კარგი ჰყავს, როცა ჩამომივლიან, მომიკითხავენ, მარტო აღარ ვარ, - უპასუხა ბედნიერებით სავსე ტყისპირმა.

- ჩავუქროლო, შევაჯანჯღარო?

- არაფერი გამოგივა, ყოველი მხრიდან დაცულია, თანაც, შენ ხომ ბოროტი არა ხარ, შენ მხოლოდ შემოდგომის ქარი ხარ, - შეეწინააღმდეგა კეთილი ტყისპირი.

- კარგი, ვნახოთ, როგორ მოიქცევა, თუ არა და საკვამურებიდან დავუბერავ, შიგნით სულ კორიანტელს დავუყენებ. აბა, ახლა სახლიკოს მოვინახულებ, - თქვა ქარმა და გაქროლდა, თან ხმელი ფოთლები გაიყოლა.

- კიდევ იცი, რა? მამამ შეიძლება, ძაღლიც მოიყვანოს, მერე მასთან ერთად ისეირნებს ხოლმე, რას გავერთობი?! - მიაძახა ტყისპირმა მეგობარს.

- ძაღლი გინდა? ახლა გამახსენდა, აქვე წკმუტუნი შემომესმა. რამდენი ხანია, ტყეში არავინ შემხვედრია, მიკვირს. მოდი, სანამ ვიქროლებ, ყური მიუგდე, იქნებ მართალაც ის არის? – ქარმა ტყეს გადაუგრიალა.

ტყისპირი ჩაყუჩდა, სმენად იქცა. წუხდა, ვაითუ უმწეო, მშიერ ლეკვს დახმარება ესაჭიროებაო. კაჭკაჭს, რაც ითქვა, ყველაფერი გაეგო და სულგანაბული იჯდა ბუდეში, ფიქრობდა. ამ დროს წვიმამაც მოაღწია. თქეში არ იყო. ტყისპირი მიესალმა, მერე თავი დაუხარა და შიშველი ხეები ჩამოარეცხინა. ძირს დაფენილ ფოთლებსაც მიხედა შხაპუნამ, მიწაში ჩააბრუნა. იქიდან კი, გაზაფხულზე, ახალი, ძლიერი ხეები დაიზრდება.

- ძალიან გაფართოებაც არ მინდა, მეგობარო, ამ სახლს ვერ შევაწუხებ. არ ამკაფონ.

- ოჰო, აქ საზღვრები გაჩენილა? - გაუკვირდა ცის ნაკადს.

- არა, არა, კარგად ვარ. ოღონდ ერთ რამეს გთხოვ, იქ ახალგაზრდა ბაღია, კეთილი, ჩიტე-ბის ჭიკჭიკით მოკითხვებს მითვლის, შენებურად ნუ დაუშენ.

- ვნახოთ, ვნახოთ! ამ ამბავმა დამაინტერესა. ახლა სახლიკოს გავუვლი, მოვიკითხავ. ისე, კაჭი როგორ გყავთ, ისევ იცავს თავის ზიზილ-პიპილებს? – წვიმამ ერთი კიდევ გაიშხაპუნა და გადაიარა.

უცებ, წამიერ სველ სიჩუმეში, პატარა ლეკვის საბრალო წკმუტუნი გაისმა და მეორე, განსხვავებული ხმა, რომელიც დიდი ძაღლის ღავღავს წააგავდა.

- ორნი არიან, დედა-შვილი იქნება. დედასთან ასე რატომ წკმუტუნებს? ალბათ, ორივეს სცივა და შია. რა ვქნა? რით ვუშველო? ქარი სად არის? – აფორიაქდა ტყისპირი.

- რა უსიამოვნო ვინმეა ეს წვიმა, - კაჭკაჭი გაცოფებული იყო, - მე დამცინის, თვითონ უსახლკაროა, დაეხეტება, გაწუხებს, გაგლუმპავს და ხმაც არ უნდა ამოიღო, სასარგებლოაო. ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, მაინც ვერაფერს დამაკლებთ, ჭკუა გადმომდის. აი, ამ ძაღლების ამბავს, გული მიგრძნობს, ჩემ სასიკეთოდ გამოვიყენებ.

გამთენიისას ქარწვიმამ ტყისპირს ისევ მიაკითხა.

- დაგასველეთ, გაგყინეთ? - წუხდნენ ისინი.

- ეგ არაფერი, იქნებ გაიგოთ, ტყეში რა ამბავია? მგონი შველა სჭირდებათ.

- კარგი, მაგრამ ჯერ ამ სახლს შევუვლით, გავეცნობით, - მიაძახა ორივემ.

- თუ გამოგივათ? – გაეღიმა ტყისპირს.

ვეება ქარ-წვიმას მამაცურად ხვდება

და შხაპუნამ სახურავს წაუშინა, - შემოდგომაა, შემოდგომაა! - ხმაურობდა გამაბეზრებლად.

- ცა რომ ჩამოიქცეს, მაინც ვერაფერს დამაკლებ. ფანჯარაში თუ არ გაიხედავენ, შენს მოსვლას ვერც გაიგებენ. ოჰ, შიგნით როგორ თბილა? – არ ეპუებოდა ვეება.

ახლა ქარი დაეძგერა მას, მაგრამ ჭუჭრუტანაშიც ვერ გაატანა. ერთ ხანს გარშემო უქროლა. არა, ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა, უბრალოდ უნდოდა, ღრმა შემოდგომის დადგომა ემცნო.

- ვხედავთ, ვხედავთ, ნამდვილი სახლი ყოფილხარ! ყოჩაღ, აღარაფერს გერჩით! - ერთხმად შეუძახა ქარ-წვიმამ. ისინი გაბრუნდნენ, ტყეს შეერივნენ, წკმუტუნის ხმას მიჰყვნენ, მიჰყვნენ და ხის ქვეშ შეყუჟულ ძაღლსა და ლეკვს მიაგნეს. გრიალითა და შხაპაშხუპით წამოადგნენ თავს.

ტყეში ძაღლები არიან? კაჭი გეგმას ადგენს

წკმუტუნმა იმატა. აბა რა იქნებოდა? ამ საცოდავების თავზე ქროდა ქარი და წვიმდა წვიმა.

- ცოტა ჩაიწიე, - უთხრა ქარმა შხაპუნას.

- შენ კი, ცოტა ხანს გაჩუმდი, - უპასუხა მან, - ჩვენი ბრალია, ამ დღეში რომ ჩაცვივდნენ.

- არა, ვინმე ბოროტი გამოაგდებდა, მათ რჩენას აღარ მოინდომებდა, უნდა მივეხმაროთ, დავაბინაოთ, – დარწმუნებით თქვა ქარმა.

- ჩვენ რას გამოგვყვებიან, სად დაგვემალონ, იმას ფიქრობენ. ყველაფერი სხვაგვარად უნდა მოხდეს. წამო, ტყისპირს დაველაპარაკოთ.

- ისევ შევაწუხოთ?

- მეტი გზა არა გვაქვს.

უკან მიტრიალდნენ. მეგობარს მათი მისვლა გაუხარდა.

- რა გაიგეთ? - გაფაციცდა ის.

- ძაღლი და ლეკვი წვანან ხის ქვეშ. ჩვენ არ გამოგვყვებიან, იქნებ რამე მოისაზრო? – მოახსენა ქარ-წვიმამ.

კარგა ხანი გავიდა, პასუხი ვერ მოინახა, არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ.

- შემიძლია, დახმარება შემოგთავაზოთ? – მოისმა ამ დროს. ეს კაჭი იყო დამტკბარი, ზრდილობად დაღვრილი. წინანდელი სიბრაზის ნატამალიც არ ეტყობოდა; ჩანდა, რაღაც გეგმა ჰქონდა მოფიქრებული. მართალია, ფრინველი, ცბიერების გამო, მაინც-დამაინც გულზე არ ეხატებოდათ, მაგრამ მის გამჭრიახობას ყველა აღიარებდა.

- თქვი, გისმენთ! - შესძახეს ერთხმად.

- ახლა, ამ წუთში, სახლიკოზე უკეთესი თავშესაფარი არ არსებობს. აი, ეს, წამოყუდებულა, მაგრამ რაში გარგია, ვერაფერს შეჰბედავ. ის კი კეთილია, თანაც მარტოხელა, ამათაც შეიფარებს და თვითონაც გაერთობა.

- მერე გოგონა, მშობლები? – იკითხა ტყისპირმა.

- არა მგონია, გაჭირვებულის დახმარებაზე მათ უარი თქვან.

ტყისპირს თან უხაროდა ძაღლებს რომ უშველიდნენ, თან გულში ეცინებოდა. განა ვერ დაინახა, გუშინ, საჩუქარს საიდან მოაწიალებდა, დღეს უკვე სხვანაირად ჭიკჭიკებდა.

- ჩვენ ნამდვილად არ გვეზარება, მაგრამ სახლიკოსთან რომ მივბრუნდეთ, ვაი თუ ჩავაქციოთ, - თქვეს ქარმა და წვიმამ.

- ამ საქმეს მე მოვაგვარებ, - კაჭკაჭმა თავი გამოიდო, - მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს შენთან, შემოდგომის ქარო, წამოუბერე, წკავწკავის ხმა გამაყოლე, ვისაც საჭიროა მოვასმენინო და დახმარება ვითხოვო.
- ვითომ გული შესტკივა, - გაიფიქრა ტყისპირმა.

მართალიც იყო. ფრინველს სულ სხვა რამ ამოძრავებდა, სახლიკოს თავს კეთილისმქმნელად მოაჩვენებდა, გაახარებდა, თან მასთან ხშირად მისვლის უფლებას მოიპოვებდა, მერე იქ დატრიალებულ ამბებს ვეებას მოახსენებდა და საჩუქრებითაც აივსებოდა, - სახლიკო ისეთი გულუბრყვილოა, ყველაფერს ადვილად იჯერებს, არც დაეჭვდება, არც შეგამოწმებს, ამ საძაგელს კი არ ჰგავს, - ჩიტი მწარე სიმართლეს უმხელდა თავისთავს, თან წასასვლელად იკაზმებოდა, ბუმბულს ივარცხნიდა.
- დაუჩქარე, არ გეცოდებიან? – წამოუშინა წვიმამ.
- როგორ არა, როგორ არა! – ეს რა დაემართა? კინაღამ გაამჟღავნა, ძაღლები სულაც რომ არ ადარდებდა. იმწამსვე ბუდიდან ამოვარდა და ქარის ხმაურთან ერთად გაფრინდა.

სიკეთით სავსე სახლიკო

დილაადრიანი იყო. კაჭკაჭი ცივ ჰაერს მიაპობდა. აი, ჩაშავებული, შეციებული პატარა სახლიც. გარშემო ქარისა და წვიმის ნაკვალევი: გათელილი ბალახი, ძირს დაფენილი ყვავილები, გაწუწული პეპლები, სადღაც შემალული მწერები.
- რას მობუზულხარ სიმარტოვეში, გოგონა აღარ გივლის? – ჩამოსძახა კაჭიმ და ეზოში დაეშვა.
- მარტო ვინ დამტოვებს? ჯერ ადრეა, უნდა ისაუზმოს, დედას მიეხმაროს, მერე ყველანი აქ მოვლენ, ჩემს ციცქნა ღუმელსაც დაანთებენ და სითბოც დატრიალდება, - მიუგო სახლიკომ, გულთბილადაც მოიკითხა, - შენ როგორღა გადაიტანე წუხანდელი ქარაშოტი?
- ისეთი გამძლე, თბილი, მყუდრო ბუდე მაქვს, რა გამიჭირდებოდა? – გაიპრანჭა ჩიტი.
- მიხარია, არაფერი დაგიშავდა. შემთხვევით, ქარმა ბუდე თუ დაგიზიანა, ჩემთან შეეფარე, მე ყოველთვის დაგეხმარები.
- გმადლობთ, გმადლობთ, ჯერჯერობით რა მიშავს, მაგრამ აი, - თქვა კაჭიმ, თან თავისთვის გაიფიქრა, – რა ერთგულია, რატომ ვატყუებ, რატომ?!

ამ დროს, ქარმა წკავწკავის ხმაც მოიყოლა.
- ჩუმად, თითქოს ვიღაც ტირის! – დაყურადდა სახლიკო.
- სწორედ მაგ საქმეზე ვარ მოსული. ამ სიცივეში ვიფრინე. რა ვქნა, ჩემი კეთილი გული არ მომასვენებდა, საცოდავი ლეკვი რომ გასაჭირში მიმეტოვებინა.
- ლეკვი?

- გუშინ, ტყეში, მშიერ-მწყურვალ დედა ძაღლსა და მის შვილს წავაწყდი. მთელი ღამე დარდით და ფიქრით არ დამეძინა, ბოლოს აი, რა მოვიფიქრე, - ურცხვად იცრუა კაჭიმ. ყველაფერი გათვლილი ჰქონდა. იცოდა, მის ნათქვამს ქარი ვერ გაიგონებდა.
- ჩქარა მითხარი, დავღონდი, – შეეხვეწა სახლიკო.
- არ დაგაძალებ, მხოლოდ შეგეკითხები. იქნებ დავხმარებოდით? ცოტა ხნით შენთან მოგვეყვანა, მიგვეხედა, როცა მოკეთდებოდნენ, გადავწყვეტდით თავის გზაზე გაგვეშვა, თუ აქვე დაგვეტოვებინა? მარტოც არ დარჩებოდი. აბა, შენ იცი, ბავშვსაც ჰკითხე.
- უჰ, ეს რა მითხარი?! როგორ არა, როგორ არა! ახლავე დავფაცურდეთ, გოგონას გავაგებინოთ. კიდევ კარგი, გაგახსენდი! - აირ-დაირია სახლიკო.
- მშვენიერი გადაწყვეტილებაა, შენი იმედი მქონდა. იცოდე, კარგ საქმეს ვაკეთებთ. ერთადაც ხშირად ვიქნებით, ისევ ვიმეგობრებთ. ახლა უნდა ვიჩქარო. გოგონას აქ ვერ მოვუცდი, იქით მივაკითხავ, ცოტა ხანს დამელოდე! - მატყუარა გაფრინდა, მაგრამ დიდი სახლისაკენ არა, მეტი საქმე არ ჰქონდა. ის უჟმური გამოკითხვას დაუწყებდა, ალბათ, დაინახა კიდეც. ტყისპირს ეცა, ქარს დაეძებდა. ისიც აქეთ-იქით აწყდებოდა, წასვლას ჩქარობდა.
- სადა ხარ, სად! არ იცი, ყველაფერს თავისი დრო რომ აქვს?! – დაუყვირა მან.
- სახლიკო თანახმაა, გოგონა გვჭირდება, მის მეტი ძაღლებს ვერავინ მოიყვანს. გაქროლდი, ხმები დიდი სახლის ფანჯრებთან მიიტანე! - წყენა არ შეიმჩნია კაჭკაჭმა, ჩუმად კი ჩაიბუზღუნა, - წესრიგი, დრო, ვის ატყუებს? ეგ რომ გამოჩნდება, აურზაური და ორომტრიალი სწორედ მაშინ იწყება.

დედა დიდ სახლს აქებს, ფანჯრებთან უცნაური ხმები ისმის

აფორიაქებული ღამის შემდეგ, გოგონა და დედ-მამა ფანჯრებს მისდგომოდნენ, ბაღს გადასცქეროდნენ. ირგვლივ სისველე იყო, ყვითელი ფოთლები ეყარა.
- შემოდგომა ძალაში შედის, ზამთარიც უკვე კარს მოგვადგა. მოვა და თავისებურ სილამაზეს მოიტანს. წინ მშვენიერი ახალი წელი გველოდება, დიდი ამბები. ყველაფერი უნდა მოვრთოთ, მოცლა არ გვექნება, - თქვა მამამ.
- ისე, რა სახლი აგვიშენებია? ბუნებამ ნამდვილი გამოცდა მოუწყო, მან კი გაიმარჯვა. ჩვენ არაფერს შევუწუხებივართ, არც წვიმა შემოუშვა, არც ქარი, - დედა კმაყოფილი იყო.
- ნამდვილი ანგელოზია ეს ქალი, - გაიფიქრა ვეებამ და სიხარულის ნიშნად, ბუხარში ცეცხლი ააბრიალა.
- შეხედეთ, შეხედეთ, თითქოს გაიგო! – წამოიძახა დედამ.
- თითქოს კი არა, მართლა ასეა, – გულში გაივლო ბავშვმა და მამას მიმართა, - ბაღი დაღონებულია?

- მხოლოდ დაიღალა. ეხუმრები? ჩიტების სტუმრობა, ხეებზე ზრუნვა. ნელ-ნელა ზამთრისთვის მოემზადება, მერე თოვლქვეშ ჩაიძინებს და გაზაფხულამდე დაისვენებს.
- ახალ წლამდე არ დაიძინო რა, უნდა მოგრთოთ! - გადასძახა გოგონამ და მეგობარი გაახსენდა, – ჩვენი სახლიკო არ ვნახოთ?
- ვისაუზმოთ და მივიდეთ. ხომ იცი, რა ყოჩაღია, ადრე მარტომ იმდენ რამეს გაუძლო, ახლაც კარგად დაგვხვდება.
- აჰ, აჰ, აჰ, რაღა უჭირს?! - ადვილი მისახვედრია ამას ვინც იტყოდა.
   უცბად, ქარმა წამოუბერა, თან რაღაც ხმა მოიყოლა.
- უცნაურია, წეღან სიწყნარე იყო, – გაუკვირდა დედიკოს.
   აგუზგუზებულ ბუხარს მშვენიერი სითბო დაეყენებინა. ოჯახი სასაუზმოდ გაწყობილ სუფრას შემოუსხდა. აქეთ შვრიის ფაფით სავსე ჯადოსნური თეფში, იქით ბურბუშელების თეთრად დაფიფქული კოშკი, რომლის დანახვამაც გოგონას გუნება გამოუკეთა. არც ისე ცუდი დღე იდგა. ტკბილად საუბრობდნენ შინ, არ ისვენებდა ქარი გარეთ. ჰაერი წკავწკავითა და ყეფით გაჯერდა.
- ძაღლი წკმუტუნებს? – მიხვდა დედა.
- რა განწირული ხმებია? იქნებ, კიდეც გვეჩვენება, - თქვა მამამ.
- მოდი, რადგან მაინც ვაპირებდით გასეირნებას, ხმას მივყვეთ, თუ ძაღლს ვიპოვით, წამოვიყვანოთ, - შესთავაზა ყველას დედიკომ.
   ამ სიტყვების შემდეგ, ქარი წუთით ჩადგა, უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ ყველაფერი სწორად გაიგეს.
   სახლიკოს მიუყვანონ, ამაში მაინც გამომადგეს! - აბუზღუნდა დიდი სახლი.
- ასეთი სითბო გაქვს დაყენებული, უგემრიელეს საუზმეს ამზადებ, ამ ხალხსაც თავს ევლები, ნუთუ ბუზღუნის გარეშე არ შეგიძლია? სიკეთით ვერაფრით აივსე! - უსაყვედურა ბუხარმა.
- მორჩი ჭკუის სწავლებას. ენერგიას ნუ კარგავ. მალე აცივდება, - საქმიანად მიუგო ვეებამ.

ძაღლებს პოულობენ

   თბილად ჩაცმულებმა ეზო გაიარეს, ჭიშკარი გააღეს და ტყისპირს მიადგნენ. იგი ფოთლებშემოძარცული ტოტებით მიესალმა. უმალ მიხვდა, ეს უბრალო გასეირნება არ იყო, - მგონი, ეშველებათ იმ საცოდავებს! ოღონდ იპოვონ!
- გაშიშვლებულა, გალუმპულა, სცივა, მაგრამ მაინც თავაზიანად მოგვესალმა, - თქვა დედამ, - შეამჩნიეთ, ქარი მიჩუმდა?
- მან თავისი გააკეთა. ახლა ჯერი ჩვენზეა, - გაეცინა მამას.
- გგონია საგანგებოდ მიგვანიშნეს? – მიუხვდა დედა.
- ვნახავთ.

მართალია, თავდაპირველად, კეთილი განზრახვა სულაც არ ამოძრავებდა, მაგრამ, მგონი, კარგი.

- მგელი არ იყოს?!

- არა, ძაღლის ხმაა. უკან გაბრუნდით! თქვენ ტყეში ღრმად არ შემოხვალთ. მე გავარკვევ, რა ხდება.

მამიკოს უარს ვერავინ ეტყოდა. არადა, გოგონას ძალიან უნდოდა საგმირო საქმე ჩაედინა, შემდეგ მეგობრებთან ეტრაბახა! მიტრიალებაც ვერ მოასწრეს, წკმუტუნის ხმა სულ ახლოს მოისმა. საიდანღაც პატარა, მრგვალი, თეთრი, ახლადფეხადგმული ლეკვი გაჩნდა, მთლად აკანკალებული, ფოთლებში ჩაჯდა და ლურჯი, დაბინდული თვალებით მათ შეაჩერდა.

- ფრთხილად! ახლოს არ მიხვიდეთ, დედაც აქვეა! - დაიძახა მამამ.

- ვიცი, მან გამოგვიგზავნა, დაგვეხმარეთო, - დინჯად თქვა ბავშვმა.

ამის თქმა იყო და ლეკვი, თითქოს თანხმობის ნიშნად, აწკმუტუნდა. დრო აღარ ითმენდა. მშობელი ფრთხილად შევიდა ტყის სიღრმეში. ყველა დაიძაბა: ტყისპირი, – მიაგნებს? კაჭკაჭი, - გამომივა, რაც ჩავიფიქრე? დედა და გოგონა, - ჩვენი მამიკო ტყეში არ დაიკარგოსო.

ცოტა ხანში მამა დაბრუნდა, ამბავი მოიტანა: - ხის ქვეშ დიდი ძაღლი წევს, ფეხი დასისხლიანებული აქვს.

- საშიში არაა? - იკითხა შემკრთალმა დედამ.

- ისეთი ჭკვიანი თვალებით შემომხედა, დარწმუნებული ვარ, არაფერს დაგვიშავებს. ხვდება, მის დასახმარებლად რომ მოვედით.

- მართალია! - თქვა გოგონამ, - აქ ქარმა მოგვიყვანა, იცოდა ტყეში მიტოვებული ძაღლების ამბავი. წვიმამაც იცოდა, ტყისპირმაც. იმასაც ხვდებიან, სიკეთე რომ გვსურს. ასე არ არის დიდო ძაღლიკო? – ხმამაღლა დაიძახა ბავშვმა.

და სწორედ ამ დროს, ძაღლიც გამოჩნდა, ლეკვივით თეთრი, ბუმბულა, მაგრამ ძალიან საცოდავი და გატანჯული. საშიში ნამდვილად არ იყო. ძლივს იდგა, საწყალი თვალებით იყურებოდა. ეტყობოდა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოეკრიბა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისი პატარა მაინც გადარჩებოდა.

- ძაღლს რომ დავეხმაროთ, ურიკა დაგვჭირდება, ჩავსვამდით და ისე წავიყვანდით, მაგრამ ისიც არ ვიცით, ახლოს მიგვიშვებს თუ არა, მოტანაც დროს წაგვართმევს. ამიტომ, ერთი გზა გვაქვს, ნელ-ნელა ვიაროთ, სვენებ-სვენებით, იქნებ მიგვიხვდეს და როგორმე გამოგვყვეს. თუკი მოგვენდობიან, ვუმკურნალებთ, გადავარჩენთ, დავაბინავებთ, – მამამ გადაწყვეტილება მიიღო.

- წამლები ახლავე უნდა დავალევინოთ, - დამრიგებლური ტონით უთხრა ბავშვმა მშობლებს, თუმცა, უნდა ითქვას, თვითონ მედიკამენტების დიდი მოყვარული არ ბრძანდებოდა.

- დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში, მათი ცხოვრება შეიცვლება, – დაამატა დედამ. იგი ყველაფერში, ყოველთვის, მხოლოდ კარგს ხედავდა.

მამა, დედა, შვილი, ძაღლი და ლეკვი ბილიკზე გამწკრივდნენ.

- აღარაფერი უჭირთ, გადარჩებიან, – შვებით ამოისუნთქა ტყისპირმა.

- ყოჩაღ, კაჭი, ყოჩაღ, ახლა ჩათბი და წაუძინეეე! – თავი შეიქო ცბიერმა ფრინველმა.

უკვე დიდი სახლის ჭიშკარს უახლოვდებოდნენ.

- როგორ მოვიქცეთ? – იკითხა მამამ.

- სახლიკოსკენ წავიდეთ, იმას მივუყვანოთ. იქ თავისუფლად იქნებიან, უნდათ იყეფებენ, უნდათ იცელქებენ, - გადაწყვიტა გოგონამ.

ასეც მოიქცნენ. ბილიკზე გადაუხვიეს, მხოლოდ დედამ წამლების წამოსაღებად სახლში შეიარა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ტყისპირისა და კაჭკაჭის გარდა, მათ ყოველ ნაბიჯს დიდი სახლიც ადევნებდა თვალს. გული უსკდებოდა, ჭუჭყიანი ძაღლები არ შემომიკედლონო. ბილიკისკენ რომ გაუხვიეს, შვებით ამოისუნთქა. იმ ნასახლარის არსებობა პირველად გაუხარდა, მისი მადლობელი იყო.

სახლიკომ ძაღლები შეიფარა

პატარა სახლმა შორიდანვე დაინახა თავისიანები.

- აბა, სტუმრებს მიიღებ?! ხომ ვამბობდით, ძაღლი გვჭირდებაო?! ჰოდა, ერთის მაგივრად ორია. თავისი ფეხით გვესტუმრნენ. ცოტათი ავად არიან, მივხედოთ, მოვარჩინოთ და აღარც გავუშვათ! – დაუძახა მამამ.

სახლიკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, - რას ჰქვია სჭირდებოდა? მათ ყველა შემთხვევაში შეიფარებდა, საერთოდაც თუ დარჩებოდნენ, ნამდვილი ბედნიერება იქნებოდა. დღისით გოგონა მხიარულად ეყოლებოდა, ღამით მათ ჩაიკრავდა გულში და მყუდროდ დააძინებდა. ამაზე მთელი დილა ფიქრობდა.

ძაღლები შიგნით შეიყვანეს. ისინი მიწის იატაკზე მორჩილად წამოწვნენ, ყველაფერს უთქმელად ხვდებოდნენ. ბუხარი აინთო და სითბოც დატრიალდა. დე-

დიკომ ორივეს ჯამებით საჭმელი დაუდგა. დიდ ძაღლს არაფრის თავი არ ჰქონდა, ლეკვმა კი გემრიელად სვლეპა დაიწყო, თან კრუსუნებდა.
- ეს კარგად იქნება, უფროსი კი არ ვიცი, როცა ცხოველი არ ჭამს, - მამამ თავი გადააქნია.
- ამ ადგილას არავის, არაფერი მოუვა, აქ ყველა ბედნიერად იცხოვრებს! ესეც მორჩება, უკვე ჭერქვეშაა, ახლობლები ჰყავს, შვილიც გადაურჩა. აი, ნახეთ, ხვალიდან როგორ მოიკეთოს? - დააიმედა მშობლები ბავშვმა.
- ანტიბიოტიკი წყალში გავუხსენი, ნეტა დალევდეს, ცოტას მაინც მიეხმარება.
ძაღლმა თითქოს გაიგო დედის ნათქვამი, წყალი გაჭირვებით მოსვა. ემწარა, მაგრამ წყურვილმა თავისი გაიტანა ან იქნებ იგრძნო, ამაში რაღაც საშველი იყო. ბოლომდე დალია. ჩანდა, გადარჩენა, თავის შვილთან და ახალ პატრონებთან ერთად ცხოვრება უნდოდა.
- ზუსტად ვერ ვამბობ, რომელი ჯიშია, - თქვა მამამ.
- ისე, რა დავარქვათ? – იკითხა დედამ.
ამის დრო არ იყო, მაგრამ მშობლებს უნდოდათ, შვილის ყურადღება სხვა მხრივ მიემართათ, რათა მას ძალიან არ განეცადა.
- ამას რა მნიშვნელობა აქვს? ბავშვებს ეგ სულაც არ ანაღვლებთ. მათ უბრალო ძაღლებიც ძალიან უყვართ. სახელები კი, როცა გამოჯანმრთელდებიან მაშინ მოვუგონოთ, – ჩვეულებრივად თქვა გოგონამ.
დიდმა ძაღლმა დედიკოს ნება მისცა, მისთვის ჭრილობა ჩამოებანა, მალამო დაედო და ფეხი შეეხვია. ცოტა ხანში ოდნავი უკეთესობა დაეტყო, აღარ კანკალებდა. ყველას იმედი მიეცა.

ვეებასა და კაჭის განცდები

მთელი ამ ხნის განმავლობაში, კაჭკაჭი არ გამოჩენილა. ეჭვგარეშეა, ძალიანაც უნდოდა ცხელ-ცხელი ამბების შეტყობა, აქეთ-იქით საქმიანად ფრენა, მაგრამ თავი შეიკავა. რატომ? ნამდვილად გასაოცარი იყო, თავხედ ჩიტს ბავშვის ერიდებოდა, ეგონა, გოგონა დაინახავდა თუ არა, ყველაფერს მიუხვდებოდა.
- არა, დღეს არ შემიძლია. მის გასაცნობად შემზადება მჭირდება. უნდა ვეცადო, დავიმეგობრო, - გადაწყვეტილება მიიღო და ვეებას გახედა, - აუჰ, ამას ცნობისმოყვარეობა კლავს, დილით ყველა ფანჯრით იხედებოდა, ძაღლებს უთვალთვალებდა. უკანა მხრიდან ვერაფერს დაინახავს. პატრონების ლაპარაკს მოუსმენს, მაგრამ ჩემი მონაყოლი მაინც სხვა იქნება, ამიტომ დამელოდება. მთავარია, დროულად მივიდე. აბა, შენ იცი, კაჭი, შეიძლება ისე მოხდეს, იქით გეხვეწებოდეს, - ჩემთან ხშირ-ხშირად იარეო.
სხვათა შორის, არც ჭიჭის ხმა გაუგია ვინმეს. გოგონა ამაოდ ეძახდა. ის კი, ვინ იცის, წასული იყო, შეიძლება, გაბრაზდა კიდეც, ისევ უცნობები მოყარესო.

ოჯახის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა დიდი სახლი, - ამდენ ხანს რას შვრებიან? სადილიც არ გაახსენდათ. ისე, რა ეღირსა იმ ნასახლარს? ეს თავხედი ჩიტიც რომ გადაიკარგა? თავს მარიდებს, მოსვლას ვერ ბედავს. იცის, იქითა ეზოში რომ დავინახე. გამოჩნდება თუ არა, ერთი მაგრად დავუცაცხანებ, - ქოთქოთებდა იგი.

გოგონას დიდი სახლიც ძალიან უყვარს და კიდეც მოენატრა

ოჯახმა პატარა სახლში მთელი დღე გაატარა. უკვე მოსაღამოვდა, შინ დაბრუნების დრო მოვიდა. ლამპიონებიც ასანთები იყო. ირგვლივ ყველა ამას ელოდა. - აბა, შენ იცი, სახლიკო, ხვალ კარგად დაგვხვდი ამათთან ერთად, - დაემშვიდობნენ, ნაღვერდალი ნაცარში შეახვიეს და წავიდნენ.

ბილიკზე ფეხი შედგა თუ არა, გოგონამ ვეებას გახედა. მოძალებულ ბინდში იგი უფრო დიდი ჩანდა. უჩვეულო სანახაობა იყო. სახლი, რომელიც გარშემო ყველას შუქს ჰფენდა, ახლა, თვითონ ჩაბნელებული, საცოდავად იდგა. ბავშვს გული შეეკუმშა. მდუმარედ გაიარა გზა და, როცა ეზოში შევიდა, დაიჩურჩულა, - მე შენ ძალიან მიყვარხარ, მე შენ ძალიან მომენატრე. ცივა და ბნელში ხარ? უჩვენოდ ყოფნა არ გინდა? აი, მოვედით, გაგანათებთ და მარტო არასოდეს დაგტოვებთ.

სახლს სიხარულით ფანჯრები აუელვარდა. თითქოს გამაღლდა, ცას მისწვდა. ოჯახი შინ შევიდა. ცოტა ხანში ტყისპირი სიბნელეს გამოექცა.

სახლიკოს კი, ძაღლები მაგრად ჩაეკრა გულში და, მათთან ერთად, მშვიდად ეძინა, მხოლოდ ლურჯი ფანჯრიდან ნაღვერდლის სუსტი შუქი გამოუკრთოდა.

ჭიჭი დაბრუნდა და ახალი ბინადრებიც აღმოაჩინა, იგი უკმაყოფილოა

გათენდა. ცივი, გაცრეცილი რიჟრაჟი ჩუმად იდგა. ფრინველების ჭიკჭიკი არ ისმოდა. დედამიწას გვიანი შემოდგომის მკრთალი მზე ვერ ათბობდა, მაგრამ ის მაინც მზე

იყო, ყველას იმედად ცაზე ამოსული. მზე, რომელსაც მოჰყავს დღე! დღე, რომელიც ელის სიკეთეს!

პატარა სახლმა ლურჯი თვალები ფრთხილად გაახილა, თავის ახლად შეძენილ მეგობრებს მზრუნველად გადახედა. ძაღლებს მშვიდად ეძინათ. სულგანაბული იდგა. ნატრობდა, უცხო არ გამოჩენილიყო, ეს თბილი სიჩუმე არ დაერღვია, მაგრამ დილა აქ ყველასთვის გათენდა. ჰოდა, მიდამო ამოძრავდა, ხმებით აივსო, კაჭკაჭმაც გაიღვიძა. ბუმბული დაივარცხნა, მზადება დაიწყო, სტუმრად წასვლას აპირებდა.



- მინდა, გოგონას მივასწრო, მაგრამ ასე ადრიანად მაინც უხერხულია, - დაეჭვდა უცებ და ისევ კარგად გათენებას დაუწყო ლოდინი.

სახლიკო მის მიბრძანებას კი გადაურჩა, მაგრამ ჭიჭი გამოჩნდა. თურმე, გოგონა რომ ეძახდა, მართლაც შინ არ ყოფილა, მინდვრის გადაღმა, საშოვარზე წასულს, დაბინდებოდა და ღამე ბელტის უკან გაეთია. ოდნავ ინათა თუ არა, ბინისკენ გამოეშურა, მოაღწია და რას ხედავს?

- ესენი ვინ არიან? აჰა, მორეკეთ ქვეყანა?! ის, ის იზამდა, არაფერს მიჯერებს. უძინარი, გვერდებდანგრეული მოვლასლასდი, ახლა რა ვქნა, სად დავისვენო?!

- რა გაყვირებს? არ იცი, რა საცოდავები არიან, გოგონამ და დედ-მამამ როგორ იწვალეს, ცოტათი რომ მოეკეთებინათ. არ გამიღვიძო, იმათ მოსვლამდე ჩუმად უნდა ვიყოთ. აბა, მე ვერ მოვუვლი ავადმყოფებს. მორჩებიან და მერე ვიმხიარულებთ! - აჩურჩულდა სახლიკო.

- ესენი უნდა ჩაისახლო?! არაა, აქედან გადავდივარ! - იჭაჭებოდა ჭიანჭველა საბედნიეროდ, მისი წრიპინი ძაღლებს არ ესმოდათ.

- რას ამბობ?! არსად გაგიშვებ. ამდენი ხანია, ერთად ვცხოვრობთ, უშენოდ რა გამაძლებინებს? ყველანი თავისუფლად დავეტევით. გთხოვ, არ წახვიდე.

- ჩემი აზრი აქ არავის აინტერესებს, ჩემს თხოვნას არავინ ასრულებს, როცა გაიღვიძებენ, გააფრთხილე, წინ იყურონ, სადმე არ მიმაჭყლიტონ, თორემ ინანებთ და გვიან იქნება. ახლა ბუხარზე ავცოცდები, იქნებ დაძინების საშუალება მომეცეს, – ჭიანჭველა გაბღენძილი და ჭიჭყინა კი იყო, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა.

სახლიკომ ისევ ჩათვლიმა, ამჯერად ჭიჭისთან ერთადაც. კარგა ხანს იყვნენ მშვიდად, მერე ძაღლებმა გაიღვიძეს. ლეკვი ამ ერთ ღამეში სრულიად გამოჯანმრთელებულიყო. წამოხტა, ჯერ ჯამიდან საჭმლის ნარჩენი ამოსვლიპა, მერე კუთხეები მკვირცხლად მიიარ-მოიარა, ყველაფერი შეამოწმა. ერთობოდა, ყირაზე გადადიოდა. დიდი ძაღლიც შესამჩნევად მომჯობინებულიყო. ცოტა წამლიანი წყალი დალია და ისევ წამოწვა.

- ახლა მოუნდათ ხმაური, გამაღვიძეს! ამათ კი არ ეტყვის ჩუმად, ჭიჭის სძინავსო, - ბუზღუნებდა ჭიანჭველა.

- ითამაშეთ, იძინეთ, იცხოვრეთ, თქვენი სახლი ვარ! – ეფერებოდა ძაღლებს სახლიკო და მათაც იცოდნენ, დარჩებოდნენ, რადგან ძალიან შეყვარებოდათ გოგონა, მისი ოჯახი და ეს თბილი ჭერი.

კაჭი ახალი ბინადრების გასაცნობად მობრძანდა

მოშუადღევდა. კაჭი გეგმის შესრულებას შეუდგა. ახლომახლო გამოჩნდა. ჯერ სახურავზე, საკვამურთან ჩამოჯდა, მერე ეზოში ჩაფრინდა, გაიარ-გამოიარა.

სახლიკომ იმწუთშივე გასძახა, - როგორა ხარ? გუშინვე გელოდი. ნახე, რა კარგად არიან? სიკვდილისგან იხსენი. მობრძანდი, გაეცანი.

კაჭკაჭმა ღრიჭო იპოვა, შიგნით შეფრთხიალდა და ძაღლს თავი ზრდილობიანად დაუკრა, - მიხარია, ჯანმრთელს რომ გხედავთ.

- მადლობის მეტი რა მეთქმის? თქვენს მეგობრად მიგულეთ, - გაეპასუხა დედა ძაღლი, თუმც ვერ გაეგო, ამ ფრინველს მის გადარჩენასთან რა საერთო ჰქონდა, - ისე ცუდად ვიყავი, არაფერი მახსოვსო, - დაასკვნა.

ლეკვს კი ფრინველი არ მოეწონა, ყეფა დაუწყო.

- ცელქი ჩანს, - თქვა კაჭიმ.

- არა უშავს, ჯერ სიკეთის ფასი არ იცის. გული არ დაგწყდეს, - დაამშვიდა სახლიკომ.

- ჰმ, პატარაც მიხვდა, ვინ ბრძანდება, ეს კი გულღიად ეპატიჟება! ამ თავხედსაც რა ენაღვლება? ყოველდღე ივლის. ნეტავ, რა ჩაიფიქრა? ძალიან გაბრაზებული ვარ! ამდენი უსამართლობა რისთვის უნდა ვითმინო? წავიდე? მაგრამ მეგობარი როგორ მივატოვო? ეს მოატყუებს. ფრთხილად უნდა ვიყო, არაფერი გამომაპაროს. ოჰ, ოჰ, ოჰ, ქვეყნის საქმე გამომიჩნდა! – გამოღვიძებული ჭიანჭველა თავისთვის ბჭობდა, მერე კაჭის ირონიულად გასძახა, - მაინც რომელმა ქარმა გადმოგაგდო?!

- სწორედაც ქარმა, - კაჭიმ დაცინვა არ შეიმჩნია, – ამბის მოყოლას აღარ დავიწყებ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. აი, ბინადრებიც გავიცანი, აღარ შეგაწუხებთ, გამოიძინეთ, მერე მოვალ, როცა სხვებიც იქნებიან.

- იმ სხვებთან რა გინდა?

- რა მინდა? გაცნობა, დამეგობრება, მოწყენილი ვარ, სულ არაფერი ხდება.

- რა უნდა მოხდეს? – ეჭვი არ ასვენებდა ჭიჭის.

ამ დროს, წკრიალა ხმა მოისმა და გოგონაც შემოფრიალდა.

- რა კარგი ამბები დამხვდა აქ?! ლეკვი სულ გამოკეთებულა, დედიკო ძაღლსაც მშვიდი თვალები აქვს, სიცხეს დაუწევია. ჭიჭი არ მოსულა? ნეტავ, რამე ხომ არ დაემართა?!

- აგერ ვარ, გოგონა! - დაუძახა ჭიანჭველამ.

- უკვე ნამდვილად დავმშვიდდი, - გაუხარდა ბავშვს, – იმდენს გეძახდი, სად იყავი?

- მოგიყვები, ჯერ დაღლილი ვარ, ვისვენებ.

- ესენი გაიცანი?

- დიახ, მაგრამ ძილი მინდა, - ჭიჭიმ საუბარს თავი აარიდა, პატარა ხვრელში ღრმად შეძვრა.

გოგონამ პირველად კაჭი ვერც შეამჩნია. ის, დაბნეული, კუთხეში მორიდებულად მიყუჟულიყო, მერე ძლივს ჩაიჩურჩულა, - სხვა დროს მოვალო, - და გაპარვა დააპირა.

სწორედ ამ დროს, სახლიკომ ხმამაღლა გამოაცხადა, - ჩემო საყვარელო, გუშინ არ გეცალა, ახლა გაიცანი, ეს ის კაჭია, რომელმაც ნამდვილი გმირობა ჩაიდინა: შენთან მოფრინდა და ძაღლები გადაგარჩენინა. მეც მან მთხოვა მათი შეფარება.

- გმადლობთ ამ სიკეთისთვის, მაგრამ თითქოს პირველად გხედავთ, ჩემთან რომ არ ყოფილხართ? – გაიკვირვა ბავშვმა.

- არა? აბა, როგორ გაიგე? – გულუბრყვილო სახლიკოს უფრო გაუკვირდა.

- ჩვენთან ხმები ქარმა მოიტანა, იმას გავყევით.

- ჰაჰაჰა, კაჭუნია! აბა, თქვი, სინამდვილეში როგორ იყო? – ეს ჭიჭი ხარობდა.

- მაპატიეთ, ამაზე ლაპარაკი არ მინდოდა. ბაღის იშვიათი სტუმარი ვარ, ვერც თქვენ გაგიცანით, არადა, სულ ახლოს ვცხოვრობ, ბუდე ტყისპირთან მაქვს. ეს დიდი, მშვენიერი სახლი ძალიან მკაცრია, ახლოს არ მიკარებს, ბრაზობს. ამიტომაც, მას გვერდი ავუარე, დახმარება ქარს ვთხოვე, მე ხომ ძალზედ მორიდებული ვარ. მხოლოდ ამის გამო არ გინახივართ. თუკი თქვენს სახლთან მიშუამდგომლებთ, რა დროსაც დაგჭირდებით, მიხმეთ და მოვფრინდები.

ჭიჭი ვეღარ ითმენს, კაჭკაჭს ეჩხუბება; გოგონა განცვიფრებულია

- რა უცბად იგონებ ტყუილებს, უნდა დაგიჯეროთ კიდეც, არა? – დაეტაკა ჭიანჭველა.

დიდი ამბავი ატყდა. ფრინველმა წასვლა არჩია, სასწრაფოდ დაემშვიდობა ყველას და გაფრინდა. გოგონას ვერაფერი გაეგო. დაბნეული იდგა. ხმამაღალი ლაპარაკი აქ პირველად ესმოდა. მართალია, ჭიჭი გამუდმებით ბუზღუნებდა, მაგრამ ამგვარად გაგიჟებული არასოდეს ენახა. ნუთუ, ამ ზრდილობიანმა, კეთილმა ჩიტმა გააბრაზა ასე?

- ვერ ვიჯერებ, რომ სტუმარს ასე ცუდად ექცევი. სახლიკო, შენ მაინც მითხარი, ამ ფრინველს რა უნდოდა?

- რას ეკითხები? ვერ ხედავ, გმირად გამოაცხადა?!
- ასეა თუ ისე, ძაღლები კაჭკაჭმა იპოვა, ამიტომ სრული უფლება აქვს, მათ მოსანახულებლად მოვიდეს, - დაასკვნა პატარა სახლმა.
- ვერაფერი გაგაგებინე! ვერაგობის დამამტკიცებელი საბუთები უნდა მოვიპოვო, მერე სადღა წახვალ? – ჭიანჭველამ დროებით გაჩუმება არჩია; ყურები ულვაშებით დაიცო და, სრულიად მოულოდნელად, ღრმად ჩაიძინა.
- ამ ჩიტს მერე ვნახავ, - გაიფიქრა ბავშვმა. ძაღლებს ჯამები საჭმლით გაუვსო და თვითონაც იქვე მოიკალათა, - აბაა, დედიკომ ვიტამინები გამომატანა, მიირთვით, გამოჯანმრთელდით! იცით, რამდენი კარგი რამ გველოდება? ახალი წელი გვიახლოვდება. საჩუქრებს მოვამზადებთ, ირგვლივ ყველაფერს მოვრთავთ. სახლიკო, უნდა აგაბრჭყვიალო!
- ახალი წელი? მახსოვს, მაგრამ მთლად ისეთი არა, როგორსაც გვპირდები, - ჩაილაპარაკა პატარა სახლმა, - ზამთარი ჩვენი მეგობარია, თუმცა მასთან ერთად დიდად ვერ ვმხიარულობთ, უფრო გვცივა, ვიყინებით. გოგონა, ვხედავ, ცხოვრებას გვილამაზებ, ყველაფერს ასხვაფერებ, მე უკვე ვიწყებ მზადებას! – მხიარულად შესძახა მან ბოლოს.

დედ-მამაც მოვიდა. ცეცხლი ააგუზგუზეს და პატარა ლეკვთან ერთად სასეირნოდ წავიდნენ.

კაჭკაჭი გეგმას ადგენს, მას გული კვლავ ვეებასკენ მიუწევს

სიცივისგან გაფიჩხული, ჩაშავებული ტყისპირი სტუმრებს გულთბილად შეეგება. მიხვდა, ყველაფერი რიგზე იყო. მთლად დამშვიდდა. სამაგიეროდ, სიბრაზისგან გაბერილი კაჭკაჭი აკვესებდა შავ, პრიალა თვალებს. არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ინტერესი ამპარტავანი სახლისკენ ექაჩებოდა, თან ფრთხილობდა, არ გამოაშკარავებულიყო. გოგონას დანახვაზე, აფრინდა, ბავშვს სულ ახლოს ჩაუფრიალა, ფრთების ფათქუნით მიესალმა.
- ფრთხილად! – ერთხმად შესძახეს მშობლებმა.
- ნუ გეშინიათ, ვიცნობ, საყვარელი ჩიტია!
- ჰოო? პირველად მესმის, რომ კაჭკაჭი ცბიერი, მატყუარა და ჭორიკანა არ არის. ეტყობა, აქ სხვანაირი ბუნებაა, - გაიხუმრა დედამ.

ფრინველი გოგონას თავს დასტრიალებდა, თან ფიქრობდა, - როგორც კი თვალს მომაშორებენ, დიდი სახლისკენ გავფრინდები. დრო მაქვს, აქედან ისევ სახლიკოსთან წავლენ. კარგი დღეა! გოგონა გავიცანი, მოვეწონე, ახლა, იქნებ, საჩუქრის მიღებაც მოვასწრო. აბა, წავედი! გზაში მოვიფიქრებ, რა ვთქვა.

უკმაყოფილო ვეება კაჭკაჭს ელოდება, ისიც მოფრინდება და საუბარს იწყებენ

მოსაფიქრებელი არც ჰქონდა. ვეება უკვე დიდი ხანია, ელოდა. შორიდანვე შეამჩნია, აქოთქოთდა, დარაბების ბრახუნით იქაურობა აიკლო, – ყოჩაღ, გეღირსა მოსვლა?! აღარ გჭირდები, არა?!

- არ გძინავთ? რა კარგია! ხომ იცით, გიფრთხილდებით, გერიდებით, თან ცუდი ამინდებიცაა, ცოტა გავცივდი, ბუდეში ვიყავი ჩათბუნებული.

- აბა წრეებს ვინ მირტყამდა გარშემო? უსინდისო, ამდენი რამ მოხდა და ერთხელაც არ გაგხსენებივარ! ამბავს მეტყოდი, აზრს მკითხავდი, საჩუქარი მაინც არ გაინტერესებდა?

- საჩუქარში ხომ არ არის საქმე? მშვიდად მინდოდა საუბარი, დროს ვარჩევდი. თქვენები ლეკვს ასეირნებენ. მე აქეთ გამოვწიე, თუმცა არც ვიცი, თავისუფლად რამდენ ხანს იქნებით.

- ჰო, კიდევ კარგი, აქ არ შემომაჩვიეს. ის ნასახლარი ძლივს არ გამომადგა? – უცბად გადააკეთა საუბარი ვეებამ.

- დიახ, ძაღლები სახლიკოსთან შეაფარეს, აგარიდეს, პატივს გცემენ, – დაუყვავა კაჭკაჭმა.

- მართალია, მაგრამ თვითონაც სულ იქ იქნებიან, – სახლი ძალიან ნაწყენი იყო.

- ნახეთ, რა გამოვიდა? მგონი, მარტო ახლა თქვენ უფრო რჩებით. სასწრაფოდ რამე უნდა მოიფიქროთ, - უთხრა ჩიტმა და რისხვას დაელოდა.

- მაინც რა? – ჯერჯერობით, მშვიდად იკითხა სახლმა.

- ხშირად მომიწვიეთ ხოლმე, ვიმუსაიფოთ და გამოსავალიც გამოჩნდება.

- რას მიედ-მოედები?! როგორ შეიძლება, მე, ამდენი საქმის პატრონმა, თავი მარტოდ და მოწყენილად ვიგრძნო? იმასავით უსაქმური კი არ ვარ, ათასი გამრთობი რომ სჭირდება! შენს აქ ფრენას კიდევ რა აზრი აქვს, ისედაც ყველაფერი ვიცი, ტყუილად არ აგატალახებინო რაფები. ერთადერთხელ დამჭირდი და თვალიც ვერ მოგკარი. ვინც თავს გატყუებინებს, იმას მიაკითხე, – მოულოდნელად გაბრაზდა ვეება.

- რა მოხდა, რა მოგივიდათ? – კაჭი ასეთ გაგიჟებას არ მოელოდა, - მუდამდღე თქვენზე ვზრუნავ. ძაღლები რომ ვიპოვე, ჩემთან ერთად ქარმაც დაინახა, ქვეყანას მოსდო. ვიცოდი, გოგონაც გაიგებდა, საცოდავებს შეიფარებდა, იმასაც მივხვდი, არ გესიამოვნებოდათ, ამიტომ გაყინულ ჰაერს არ მოვერიდე, უთენია სახლიკოსთან მივფრინდი და დავითანხმე, თავისთან შეეკედლებინა, სხვათა შორის, ამისთვის დიდად მემადლიერება, ყოველდღე მეპატიჟება. მე კი, ყველაფერი თქვენი გულისათვის მოვიმოქმედე.

- მგონი, უფრო საჩუქრის გამო.

- კარგით რა, ეგ არც გამხსენებია, საჩუქარს ძალით ხომ არ წაგართმევთ, თქვენი ნება არაა მომცემთ თუ არა?

- მოხვედი და ისევ თავს იქებ. მომიყევი ნასახლართან რა ხდება, მოეწყვნენ გემოზე?

- ყველაფერი კარგადაა. ძაღლები გამოკეთდნენ, სახლიკო გახარებულია, გოგონაც გავიცანი, თქვენგან განსხვავებით, მოვეწონე, დამპატიჟა. ასე რომ, ხან მას ვეწვევი, ხან თქვენ.

- ჰოდა, ორივე შემთხვევაში მე შევწუხდები, - ეს ერთი; მეორე, - ის ბავშვია და ჩიტი მოეწონა, მე კი ვიცი, ვინც ბრძანდები.

- ძაღლები აგაცილეთ, ახალი ამბებით გაგართეთ, თქვენი გული მაინც ვერ მოვიგე, რაღას ვიზამ? წავალ, ხანდახან გოგონას გამოვუვლი. იმედია, ამას მაინც არ დამიშ-ლით.

- ვნახოთ, თუ მოვისურვებ, არც შემოგიშვებ. ისე, აქეთ საახალწლო მზადებას ვიწყებთ, თავი უნდა მოვირთო, იქით რას აპირებენ?

- ჯერჯერობით სიწყნარეა. სიახლეს არ გამოგაპარებთ, უმალვე აქეთ გამოვეშურები.

- სისულელეებისთვის და, მეც რომ კარგად ვიცი, ისეთი ამბების მოსაყოლად აქ არ იფრინო, ამდენი საჩუქარი სად მაქვს?!



- განა დღეს? – მოულოდნელობისგან ფრინველმა ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ თვალები აუპრიალდა.
- მიბრძანდი, კიბე მოგცემს.
- გმადლობ, თურმე ჩემზე მაინც ფიქრობთ, - გაფრთხიალდა გახარებული ჩიტი.
კიბემ ბრჭყვიალა მძივის ბურთულა გამოუგორა, ისევ იმ ძველის მსგავსი.
- გმადლობ, გმადლობ, რა კეთილი ბრძანდები! – საჩუქარს ნისკარტი დაავლო, ბურთულა კლანჭებში მოიქცია და სახლს მიმართა, – ძალიან გემადლიერებით, თუ არ შეგაწუხებთ, კიდევ ერთი სათხოვარი მექნება, დამეხმარებით? აი, იმ საახალწლოდ, იქნებ ბუდე მეც მომართვევინოთ, მძივების მთლიან ასხმას ვერ მიშოვით?
- აჭყარტალება რა საჭიროა? გემოვნება უნდა გამოისწორო. მომავალ შეხვედრამდე! – მედიდურად უთხრა ვეებამ და იქვე ჩაიბუზღუნა, – ვერ მოიშორებ, რა თავიდან.

კაჭკაჭმა მოიწყინა, დაფიქრდა, სწორად იქცევა კი?

მიფრინავდა კაჭკაჭი ტყისპირისკენ და სულაც არ ჩანდა ისეთი ბედნიერი, როგორიც ადრე, როცა პირველი საჩუქარი მიიღო, - არა, ეს ერთნაირი ბურთულები სად მოაგროვა? თუ მძივი აქვს, ბარემ სულ მომცეს. აქეთ-იქით დამატარებს, ახალ-ახალ ამბებში ერთსა და იმავეს მჩუქნის, თან მამადლის, ვითომ დიდი გემოვნების პატრონი იყოს! უხასიათო და გულშეწუხებულია. აი, სახლიკო სულ სხვაა. მიხვალ და წამოსვლა არ მოგინდება, – ჩიტი ბუდეს მოწყენილი და ჩაფიქრებული დაუბრუნდა, მძივი მიაგდო, არც დალაგება უცდია. ჩაჩუმდა, თავის თავში ჩაღრმავდა, – იქნებ, სწორად არ ვიქცევი? განა მეგობრობა ნივთში გაიცვლება? განა გამჭრიახი გონება დასაცინი და აბუჩად ასაგდებია? – უცბად შეეშინდა, - ჩემი ეშმაკობები რომ გამოაშკარავდეს, ხმასაც აღარავინ გამცემს, მარტო დავრჩები. არა, არა, დაფიქრებაა საჭირო. დღეს აღარსად გამოვჩნდები, ვიჯდები აქ, ვიცი, არავის გავახსენდები.

ტყისპირისა და კაჭის მეგობრობა იწყება

მაგრამ ტყისპირი მიხვდა, მის ბინადარს რაღაც უჭირდა. გულკეთილს შეეცოდა მუდამ მოწანწალე, უმეგობრო ფრინველი, – რა მოგივიდა? რა გაწუხებს? – გასძახა. უკმეხ პასუხს ელოდა, მაგრამ მოულოდნელად ნაღვლიანი ხმა შემოესმა.
- ეჰ, მნელია ცხოვრება. ბევრი რამ არის გაუგებარი.
- მაინც რა?
- აი, თუნდაც, რატომ მომიკითხე? მე ხომ არ გკადრულობ, უბრად ჩაგიფრენ ხოლმე, - ჰკითხა კაჭიმ.

- ამის მიხვედრას რა უნდა? რამდენი წელია ერთად ვცხოვრობთ, შენი პატარა ამოსუნთქვაც კი მესმის. ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ. ცოტათი მიყვარხარ კიდეც, ვზრუნავ შენზე, მწყინს, ცუდად რომ იქცევი, - აუხსნა მშვიდმა ტყისპირმა.

კაჭკაჭი ჩუმად უსმენდა. ახლახან არ ფიქრობდა, არავის ვჭირდებიო? გაოცებულს და გახარებულს გული სულ მთლად მოულბა, ტყისპირს აჰყვა. თვითონ სიყვარულს არ დაჰპირებია, მაგრამ ამჯერად ესეც დიდი საქმე იყო. კარგა ხანს ისაუბრეს.

- ეს ხანია, ერთი კითხვა მიტრიალებს, იქნებ, შენ იცი პასუხი, ოღონდ გთხოვ, არ დამცინო, არც არავისთან გამცე, კარგი? – მორცხვად უთხრა ჩიტმა.

- გპირდები, თქვი, – დაყურადდა ტყისპირი.

- ახალი წელი რა არის? – ძლივს ამოღერღა კაჭიმ და დაცინვის მოლოდინში შეშინებული გაიყურსა.

- ახალი წელი? სამწუხაროდ არ ვიცი, სად გაიგონე, ვინ ახსენა?

ამის თქმა იყო და ფრინველი ახარხარდა, კინაღამ ბუდიდან გადმოვარდა, - არ ვიციო? სად გაიგეო? – ვეღარ ჩერდებოდა.

- ეს რა საქციელია?! მე პირობა ჩამომართვი და შენ დამცინი? არ გამიგია, რა არის ამაში სასაცილო? ოდესმე ნეტავ გამოსწორდები?

- არ გეწყინოს, ვერ წარმოვიდგინე, რომ არ გეცოდინებოდა. ამდენი ბინადარი გყავს, სტუმარი, ქარი, წვიმა შენი მეგობრები არიან, ნუთუ ამ სიტყვებისთვის ყური არ მოგიკრავს?

- არა, არასდროს.

- წეღან ვეებამ ახსენა, ახალ წელს თავი უნდა მოვირთოო, მაგრამ რას შეეკითხები, ძლივს გკადრულობს.

- ეგ, ალბათ, გალამაზებას ნიშნავს, გაზაფხულზე იქნება, სწორედ მაგ დროს ვირთვები ხოლმე.

- აბა, მე ბუდეს თითქმის ყოველდღე რომ ვამშვენიერებ, სულ ახალი წელი მაქვს? მოდი, შენ ხმას ნუ ამოიღებ, რამდენიმე დღეში ყველაფერს გავიგებ.

- დასამალი რა არის? რაღაც ვიცით, რაღაც არა, ყოველთვის ასეა. კარგი, თანახმა ვარ. გპირდები, ჩუმად ვიქნები. ამ საიდუმლოთი ცოტას გავერთობი კიდეც.

- ვგრძნობ, ბუდე ძალიან უნდა ბრჭყვიალებდეს! – მეოცნებე, იდუმალი ხმით ჩაილაპარაკა კაჭიმ.

ორივე მიჩუმდა, თავთავიანთ ფიქრებს დაუბრუნდა. კაჭკაჭისას რას გაიგებ, ტყისპირი ბედნიერი იყო. თავის ბინადარზე ფიქრობდა, მათ შუა ჩამდგარ სითბოზე, იმაზე, რომ მეზობელი უბრად აღარ ჩაუფრენდა, უყურადღებობით გულს არ ატკენდა და, რომ, ბოლოს და ბოლოს, კეთილი ფრინველის ბუდეს დაარწევდა.

ხვალიდან კი ზამთარი იწყება. წელიწადის დრო, რომელსაც ახალი წლის სიხარული მოაქვს.

აი, მობრძანდა ცივი, უკარება ღამე. ჩამოდგა და გამეფდა. მიდამოს ყინვა დაეპატრონა. ჰოდა, სანამ ყინავს, ბნელა, სანამ ყველას სძინავს, ზოგს სითბოში, ზოგს სიცივეში, გეტყვით, რომ აქ, დიდი სახლის, გოგონას ოჯახის და სახლიკოს გარდა, არავინ იცოდა, რა იყო ახალი წელი, - სასწაულებით, ბედნიერებით სავსე ახალი წელი. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ჯადოსნური დღესასწაული, ცოტა ხანში, მიდამოს ეწვეოდა.

და მაინც, ყველაზე საინტერესო სასიხარულო მოლოდინით სავსე წინა დღეებია, არა, თითქმის მთელი თვე. ამ დროის განმავლობაში, ადამიანები ემზადებიან: რთავენ ბინებს, სახლებს, ქალაქებს, სურთ ლამაზად შეხვდნენ ახალ წელს ანუ გამოუცნობ მომავალს. მართალია, თითოეულ მათგანს თავისი, განსაკუთრებული სურვილი და ნატვრა აქვს, მაგრამ ყველას ერთნაირად სჯერა სიკეთისა და, გულის სიღრმეში, სასწაულისაც. ხომ ამბობენ, ახალი წლის ღამეს ოცნებები ხდებაო? მართლაც და, განა მთელი ქვეყნიერება არ იცვლება ამ დროს? ნაცნობი თუ უცნობი იღიმის. ადამიანები ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს უსურვებენ ერთმანეთს, წყენას ივიწყებენ. ბოროტება მარცხდება, სიკეთე იმარჯვებს. ნუთუ ასეთი ღამე არ არის ჯადოსნური? ნუთუ ეს არ არის სასწაული? ჰოდა, ყოველივე ამის შესახებ, ამ საყვარელ ადგილს არაფერი გაეგონა. აქაურობისათვის, ახალი წლის ღამე ერთი ჩვეულებრივი, ყინვითა და სიბნელით სავსე დროის მონაკვეთი იყო და აქ არასოდეს გათენებულა ახალი წლის მხიარული დილა. რა ბედნიერებაა, რომ ამჯერად, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

თოვს, თოვს

ჯერ კი....

ზამთრის პირველი თვე დაიწყო თუ არა, ცოტა ხანში თოვლი მოვიდა. ეს ასე მოხდა: გვიან ღამით, როცა ყველას ეძინა, ცის თაღი გაფითრდა, შეტრიალდა და მიწაზე თეთრი ფანტელები გადმოყარა, - ჩუმად, ძალიან ჩუმად. ფანტელები კისრისტეხით მორბოდნენ, ხმამაღლა კისკისიც ძალიან უნდოდათ, მაგრამ მთვარემ დაარიგა, – უხმოდ დაეშვით, დაეფინეთ მიწას, მინდა, დილით ყველას ძალიან გაუხარდესო, - ჰოდა, მოფრინავდნენ, მოფარფატებდნენ პატარები, მონატრების სითბო მოჰქონდათ თან, წკრიალი ისმოდა ირგვლივ.

- სიცილით იხოცებით, ხომ? რა ცელქები ხართ, იცოდეთ, აღარ გამოგიშვებთ! - ბრაზობდა მთვარე.

- რა ვქნათ? ყინვა გვეთამაშება. არ დაგვიშალო, რა.

- ყინვა? მაინც რას აკეთებს, ასეთი ხმაური რომ ატეხეთ?

- სულს გვიბერავს, გვიღიტინებს, უნდა, დილისთვის ვბრწყინავდეთ, ვჭრაჭუნებდეთ. ოჰ, რას გაიხარებს ვინც დაგვინახავს, ფეხს დაგვადგამს? – ფიფქები ყირაზე გადადიოდნენ.

გაფითრებული ცის თაღი კმაყოფილი იყო, - თოვას დიდხანს არ შევწყვეტ. ყველაფერს გავათეთრებ, გავალამაზებ, თანაც ტყისპირი და პატარა ბაღი თოვლქვეშ ჩათბუნდება. სახლიკო? – უცბად შეშინდა, მერე თავი დაიმშვიდა, - არა, აღარაფერი მოუვა, სიხარულით არის გამაგრებული.

და მოდიოდა თოვლი. ცა საახალწლოდ რთავდა მიდამოს. ირგვლივ, ყველაფერს საიდუმლო ელფერი ედო. არავის არაფერი გაუგია. ბაღმა და ტყისპირმა თოვლის სითბო იგრძნეს და უფრო ღრმად ჩაიძინეს. დიდი სახლი ხომ სრულიად დაცული იყო. ბუხარში შეხვეული ნაღვერდლით გამთბარ სახლიკოსაც, ძაღლებსა და ჭიჭისთან ერთად, ტკბილად ეძინა. კაჭი სიზმარში უცნობ ახალ წელს ხედავდა. ჰო, ჭოტი? როგორც ყოველთვის, ფუღუროში გამოკეტილი, თავისებური გალობით წერტილს უსვამდა ამ მშვენიერ ღამეს.

ტყისპირის თოვლიანი დილა

ზღაპრული ღამე ზღაპრულმა დილამ შეცვალა. ძიინ, დოონ, ძინ-ძინ დოონ, - საამურად წკრიალებდნენ ყინულის ზანზალაკები. მთვარეს და ცის თაღს, შრომით დაღლილებს, მშვიდი ძილით ჩასძინებოდათ, ქვემოთ კი დედამიწა იღვიძებდა და ეს გამოღვიძება საოცარი იყო. ბუნება ვერ ცნობდა თავის თავს. სადღა იყო სიშავე, სიშიშვლე? თეთრი უსასრულობა ანათებდა ირგვლივს.

კაჭკაჭმა ბუდიდან გახედა ტყისპირს და სახტად დარჩა.

- მეგობარო, ამას რას ვხედავ? ეს რა ჯადოსნური სილამაზეა? დამშვენებულხარ, ჩემი ბუდეც უფრო დაგაჩნდა, - ატეხა ჭახჭახი ჩიტმა. კარგ ხასიათზე დადგა.

- ჰო, მეგობარო, ამ ერთ ღამეში მოვირთე, - მორცხვად გაიღიმა თავმდაბალმა ტყისპირმა.

- მაგრამ ესაა ვითომ ახალი წელი? ის ხომ ბრჭყვიალაა, გული მიგრძნობს, - მაინც შეშფოთდა ფრინველი.

- გიგრძნობს და ეგრე იყოს, - დაამშვიდა ტყისპირმა.

კაჭკაჭს გუნება მთლად გამოსწორებოდა. ხუმრობა იყო? სახლიკოსთან მისასვლელი მიზეზი გამოსჩენოდა, მაგრამ, ჯერჯერობით, ბუდეში ნებივრობა არჩია. დილის მწარე სუსხს თავი აარიდა. ტყისპირს გაუბა ლაპარაკი, დრო გაჰყავდა. ჰაერი ოდნავ შეთბა თუ არა, მზადებას შეუდგა.

- სადმე აპირებ? - იკითხა მეზობელმა.

- ჰო, ამ მშვენიერებას ზემოდან მინდა დავხედო, მერე სახლიკოს გავუვლი, გოგონას პირველ თოვლს მივულოცავ, ჩვენს ამბავსაც გავარკვევ. მანამდე არ მოიწყინო, სხვა ჩიტებთან გაერთე, – უთხრა ფრინველმა და ჰაერში შეინავარდა, - რადგან ხმა გავეცი,

უჩემოდ ვეღარ ძლებს. რა ვქნა, სულ აქ ხომ არ ვიჯდები? რა ვიცი, ადრე ძლივს მიტანდა და, – ძველებური უმადურობა მაინც შერჩენოდა. გზად იგრძნო, ვეებამ ცივი მზერა გააყოლა.

- რომ მივიდე, ახალს რას მეტყვის? თოვლის მოსვლაც კი არ უხარია. არა უშავს, სახლიკოს ამბები ისე აინტერესებს, უყურადღებობას მაპატიებს, - თავი მაინც ზრდილობიანად დაუკრა, თუმც პასუხი არ მიუღია, - გულშეწუხებული, აბა ნახოს, იქ როგორ შემხვდებიან! - ჩაილაპარაკა და უცბად ჭიჭი გაახსენდა, - აუჰ, იმის ჭიჭყინს რაღა გაუძლებს? ეგ და ის ლეკვი ხელს მიშლიან.

ვეებას თოვლიანი დილა



დიდი სახლი კი, არც უგულოა, არც უგრძნობი. დილით, ახლად გაღვიძებულმა, მომეტებული სიცივე იგრძნო თუ არა, უმალ დაფაცურდა, ბუხრებს დაუარა, ბოლი ცაში აუშვა. სითეთრემ თვალი მოსჭრა. ჭკვიანი იყო და იმწუთშივე მიხვდა, რაც ხდებოდა, თუმცა, გაზაფხულზე აშენებულს, ზამთარი არასოდეს ენახა, მის შესახებ გაგონილი თუ ექნებოდა.

- ეს ხომ თოვლია?! რა თეთრი ყოფილა? იფ, ჩემს ფერებს მოუხდება, უკეთესად გამომაჩენს, თვალშისაცემი გავხდები! – ადრე კაჭის დასცინოდა, ახლა კი თვითონ აიკლო იქაურობა ტრაბახით. ისე, მართალს ამბობდა, ზამთარი ძალიან მოუხდა.

ბაღის თოვლიანი დილა

დედიკომ, მამიკომ და გოგონამაც გაიღვიძეს. ოთახებში დამდგარმა უჩვეულო ნათელმა გააკვირვა ისინი. ფანჯარას მიადგნენ. წინ მშვენიერი სანახაობა გადაეშალათ.

- მამა, ღამით მოუთოვია. პატარა ბაღი დაიძინებს და ახალ წელს რა ვქნათ? როგორ მოვრთოთ?

- იქამდე დრო არის, დაისვენოს.

ბაღს კი სულაც არ ეძინა. ეს მისი პირველი ზამთარი იყო. თოვლის თეთრი ქულები ტოტებით მაგრად ჩაებღუჯა და გაოცებული ათვალიერებდა, – ნეტავ, რა უნდა იყოს? კარგია თუ ცუდი? მიხდება? ასეთს რომ დამინახავენ, ჩიტები კიდევ მოფრინდებიან? უჰ, მეძინება, თვალებს ვერ ვახელ, სულ ამის ბრალია, ჩამათბო. ჩემი მეგობარი ნიავი სადღა გადაიკარგა? მითხრას, რა მჭირს? – მან არ იცოდა, რომ მშვენიერი იყო.

ხდება ხოლმე ასე. ზოგი თავს ძალით იწონებს, ზოგი კი საკუთარ ღირსებებს ვერ აფასებს.

სახლიკოს თოვლიანი დილა

საოცარი სილამაზე სახლიკოსაც ეწვია და, რა თქმა უნდა, არა პირველად. თოვლიც ბევრჯერ ენახა და ზამთარსაც კარგად იცნობდა, ოღონდ, მას შემდეგ, რაც მარტოდ დარჩა, აღარაფერი ახარებდა, თუმცა ახლა საქმე სულ სხვანაირად იყო. ლურჯი თვალები რომ გაახილა, ჯერ კიდევ მოიისფრო გარიჟრაჟი იდგა. ჩუმად ბარდნიდა. მთვარე ფრთხილობდა, მაგრამ სახლიკომ მაინც მოუსწრო და სიყვარულით შეეხმიანა, – ჩემო კარგო, მოგირთავს აქაურობა, გაგიმშვენიერებია. გახსოვს, მუდამ მარიგებდი, - ელოდე, ელოდე, მოვაო და აი, ბედნიერი ვარ. შენმა იმედიანმა სიტყვებმა გადამატანინა მარტოობა. კიდევ, კიდევ გიხდი მადლობას! ტკბილ ძილს გისურვებ. შენს გამოჩენას მუდამ დაველოდები.

ბინადრებმაც გაიღვიძეს. ლეკვი აწკმუტუნდა. გარეთ გასვლას ითხოვდა. ამ ხმაურმა ჭიანჭველა გამოაფხიზლა. ძალზედ გაჯავრებულმა ბუზღუნი დაიწყო, – ამათ ჭკუაზე უნდა ვიცხოვრო? რამდენი ხანია, ძილი არ მღირსებია, – თოვლი რომ დაინახა, სულ გადაირია, – საშოვარზე ვეღარ გავალ, შიმშილი მომკლავს! გოგონაც არ ჩანს, აქაურობა გაათბოს. სიცივისგან ტანში მტეხს.

- ნუ გეშინია, დაგეხმარებით, - დაამშვიდა სახლიკომ და რამით მაინც რომ გაეხარებინა, დაამატა, – სასიამოვნო ამბავი გინდა? მალე ახალი წელი მოვა, ზეიმი გვექნება! მაგრამ ამ ნათქვამმა სულ სხვა შედეგი გამოიღო.

- რაო, რაო?! - შესძახა გულგახეთქილმა ჭიჭიმ, - გამაგიჟებთ და ეგ არის! ჯერ ესენი შემომიყარეთ, ახლა კიდევ ახალი წელიც უნდა მოვიდეს? მორჩა, მომბეზრდა! გაფრთხილებ, აღარავის შემოვუშვებ!

ამის თქმა იყო და ყოველთვის თავშეკავებული სახლიკო ახარხარდა.

- ნელა, ნელა, არ დაინგრე! – შეუბღვირა ჭიჭიმ.

სახლიკო კი იცინოდა, იცინოდა და ლურჯი თვალებიდან სულ ცრემლები სდიოდა.

თოვლიანი დღის ამბავი გრძელდება

ამ დროს, ეზოში კაჭკაჭი დაეშვა, – რას მხიარულობ, მეგობარო, გალამაზება გესიამოვნა? პირველ თოვლს გილოცავ!

- კაჭი, როგორ ხარ? არ შეგცივდეს, კარს მოაწექი და შემოდი, - უმალ დაპატიჟა სახლიკომ.

- ნეტავ ვერ გააღოს, - ინატრა ჭიჭიმ და კიდეც აუხდა.

ფრინველმა მაგრად გამოხურულ კარს ვერაფერი მოუხერხა, გარეთ დარჩა, - გავივლი, გამოვივლი, ვინმეს დაველოდები, - მხიარულად კი ჩაილაპარაკა, მაგრამ გულში გაბრაზებული იყო, ასე ხეტიალი მის გეგმაში არ შედიოდა.

აი, თბილად ჩაცმული ბავშვიც გამოჩნდა. გალავანში ჩადგმული კარიდან შემოვიდა. ამან დიდი სახლის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მან თვალი ვერ გააყოლა.

- ამ მშვენიერ ზამთრის დილას გილოცავ, გოგონა! – ეშმაკი ჩიტი ფრთხიალით მიეგება.

- დილა მშვიდობისა, მეც გილოცავ! რა ადრიანად მოსულხარ, შევიდეთ, - ბავშვმა კარი გამოაღო. კაჭი ზრდილობიანად შეჩერდა, გზის დათმობა უნდოდა, მაგრამ შიგნიდან ლეკვი გამოვარდა და ფრინველი გადაჯეგა.

- საძაგელი, - სიბრაზე გულში ჩაიკლა მან, - სულ რაღაცას მიშავებს. ეს რომ მცოდნოდა, აქ მოვათრევდი? – თავი მაინც ღირსეულად დაიჭირა.

შიგნით მხიარულებამ დაისადგურა. ჭიანჭველა ორომტრიალს მოერიდა.

კაჭკაჭმა, როგორც იქნა, გაიგო, რა არის ახალი წელი

- გოგონა, ერთი ამას აუხსენი, რა არის ახალი წელი. ამბობს, მაგას სახლში არაფრით შემოვუშვებო, – სახლიკო სიცილს ისევ ვერ იკავებდა.

კაჭიმ ყურები ცქვიტა.

- ჭიჭი, ის შენთვის საშიში და შემაწუხებელი სულაც არ არის. ზეიმია, დღესასწაული, რომელიც ღამით მოდის, კაშკაშა ნაძვის ხეებთან ერთად და მერე გრძელდება, გრძელდება. მას აუცილებლად მხიარულად უნდა დახვდე, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

სწორედ ამიტომ, ჩვენც გამოვეწყობით, სინათლეებს ავანთებთ, ყველაფერს მოვრთავთ, ავაბრჭყვიალებთ. აი, ასეა.

ყველა სულგანაბული ისმენდა. ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ კაჭკაჭმა, ვითომ თავისთვის, ჩაილაპარაკა, – მე ვიცოდი.

- რაღაც არა მგონია, გცოდნოდა, ტრაბახობ? – გაეცინა ბავშვს.

- ისე, სად არ დაფრინავს, რას არ ხედავს, შესაძლებელიცაა, - გაამართლა სახლიკომ.

- უბრალოდ, ძალიან ნიჭიერია, - თქვა გოგონამ, როგორც უფროსები ამბობენ ხოლმე.

ჭიჭიმ გადაწყვიტა, ნერვები აღარაფერზე მოეშალა, დასაძინებლად ბუხრის ერთ ხვრელში შეძვრა, ყურები გრძელი ულვაშებით დაიცო და გაიფიქრა, – ნეტავ, იმ ახალმა წელმა მე ვინც არ მომწონს აქედან გადაკარგოს, რომ მშვიდად ვიცხოვროო. ამ დროს, თითქოს ნატვრა აუხდაო, სრულიად მოულოდნელად, ყველა საგუნდაოდ გავიდა და ჭიანჭველა მარტოდ დარჩა. გარეთ, ცელქმა ლეკვმა თოვლის ქარბუქი დააყენა, კაჭიც დაასველა.

- ვაიმე, რა მეშველება? ბუდემდე ვერც მივაღწევ, სადმე გაფიჩხული ჩამოვვარდები. შინ დაბრუნება მაინც თუ მოვახერხე, სველი ხომ არ დავიძინებ? ავად გავხდები, ახალ წელს ვერ შევხვდები, – შემცივნულმა ფრინველმა თავშესაფარს დაუწყო ძებნა.

ბავშვმა შეამჩნია, ხელში აიყვანა და გასათბობად ბუხრის წინ დასვა. ასეთმა ყურადღებამ, თან ცეცხლის ალმა კაჭის ფიქრი მოჰგვარა, - გოგონა, სახლიკო სიკეთით არიან სავსე, იმგვარად მექცევიან, ძველებურად ცხოვრებას, ალბათ, ვეღარ შევძლებ, უნდა გამოვსწორდე. აი, ჭიჭი, ვეება მათ სულაც არ ჰგვანან. მგონი, ისინი მე უნდა გადავასხვაფერო. არა, არა, როგორც ჩანს, თვალს ამ ღამითაც ვერ მოვხუჭავ, - შეიცოდა საკუთარი თავი.

მერე დედაც მოვიდა, ცეცხლი ააგუზგუზა. ფრინველი კარგად გააშრეს და პურის ნაფჩხვენებიც დაუყარეს.

ტყისპირმაც უკვე იცის, რა არის ახალი წელი

საღამოს, როცა გოგონა დიდი სახლისაკენ გაეშურა, კაჭკაჭიც თან გაჰყვა, – ერთი გზა გვაქვსო, – და, ძალაუნებურად, ვეებაც მოინახულა.

- თქვენი მშვენება თოვლზე კიდევ უფრო გამოჩნდაო, – შეჰკადრა თავაზიანად.

ამდენი ხნის ლოდინით გადაღლილი სახლი გაბრაზებული იყო, მაგრამ ბავშვის თანდასწრებით ხომ არ წაეჩხუბებოდა? თავხედი ფრინველი ამით სარგებლობდა, დაუსრულებლად ჭახჭახებდა, ჭყლოპინებდა. გაბეზრებულმა ვეებამ წასვლისას ისეთი მზერა გააყოლა, ჩიტი კინაღამ მიწაზე ჩამოვარდა.

- ეს უზრდელი, ცეტი, მატყუარა! – იფოფრებოდა ის, - ერთადერთი ისაა, რომ ჩემზე სიმართლე თქვა. ასეა და ხომ ვერ გადააკეთებდა?

ტყისპირი მეგობრის მოლოდინში გაფაციცებულიყო, უკვირდა ეს დაგვიანება. ჩიტი ხომ ბუდეს ყოველთვის დროზე უბრუნდება. ბოლოს კაჭკაჭიც გამოჩნდა.

- ძლივს არ დავმშვიდდი? მოდი, დაისვენე, - მიეგება ტკბილად. საყვედური ვერ შეჰბედა, ძლივს შემოვირიგე, ისევ არ დამემდუროსო, ვერც ახალი წლის ამბავი ჰკითხა.

ფრინველი ბუდეში მოეწყო, ჩათბა, თვალები მილულა, მაძღარიც იყო, მაგრამ თითქოს, რაღაც არ ასვენებდა, გულს აკლდა. მიხვდა, ცუდად მოიქცა. ერთგულებით სავსე, ლოდინით თვალებგამომშრალი მეგობარი არაფრად ჩააგდო, არ მოიკითხა და ცივ ღამეში მიატოვა.

- განა, დღეს ეს ვისწავლე? – გაუწყრა თავის თავს, იმწამსვე ბუდიდან გამოიხედა და მოიბოდიშა, - მაპატიე, ვაღიარებ, ძველმა უხასიათობამ დამძლია, მაგრამ ნელ-ნელა გამოვსწორდები.

- რა მოხდა მერე, შემცივნულს ჩემი თავი სად გექნებოდა? – უპასუხა ბუნების მშვენიერმა შვილმა, თავისთვის კი ჩაილაპარაკა, - სახლიკოსთან ყოფილა, დღე იქ გაუტარებია, თან საჩუქარზე არც უფიქრია. კარგია, კარგი.

- ჰო, მართლა, უნდა გაგამხიარულო. გავიგე, რა არის ახალი წელი; მხიარულებაა, კარგ ხასიათზე ყოფნა და, როგორც გული მიგრძნობდა, ამ დროს ყველაფერი უნდა ბრჭყვიალებდეს! აბა, ჩაიძინე ბედნიერმა, მე კი, ქვეყნის საფიქრალი მაქვს, - თქვა ჩიტმა და წამში ხვრინვა ამოუშვა.

- თუ მართალია, რასაც ამბობს, რა უნდა ვქნა? აბრჭყვიალება როგორ შევძლო? – საგონებელში ჩავარდა ტყისპირი, - არა უშავს, მთვარე რამეს მოახერხებს, - ამოიფშვინა ბოლოს.

პირველი თოვლიანი დღე დამთავრდა

ასეთი იყო პირველი თოვლიანი დღე. ნელ-ნელა ყველაფერი მიწყნარდა. წელიწადის ამ დროს ხომ მალე ღამდება? ყველამ ჩაიძინა. სიმშვიდე გამეფდა. აღარავინ შფოთავდა, აღარავინ შიშობდა. გოგონამ მიდამოს ბინადრებს იმედი მოუტანა. უკვე სხვანაირად მოსწონდათ ზამთარი, თოვლი. და მთვარემ დაიწყო ღამის მორთვა. ისევ გაფითრდა ცარგვალი, მიწაზე ფანტელები გადმოყარა. ღრუბლები დაბლა დაეშვნენ, ვარსკვლავებს გადაეფარნენ.

თოვდა, თოვდა.

ზამთრის მხიარული დღეები

თოვლმა დაფარა არემარე და ახალ წლამდე დარჩენილი დღეებიც სასიხარულო ამ-ბებით გაივსო. ერთ-ერთი გოგონას მეგობრების "დაბრუნება" იყო. ქარიანმა, სველმა გვიანმა შემოდგომამ მათი სტუმრად სიარული შეაფერხა. მშობლები ასეთ დროს პა-ტარებს გარეთ არ უშვებენ. აი, თოვლი სულ სხვაა, ის ჯანმრთელობისთვის სასარ-გებლოა, ამიტომაც შვილებს საგანგებოდ ასეირნებენ. ჰოდა, ერთ მშვენიერ კვირა დღეს დიდ სახლს უამრავი სტუმარი მოაწყდა. დიდებმა თბილ, მყუდრო ოთახებ-ში მოილხინეს, ბავშვები კი, ჯერ თოვლში გამოხვეულ პატარა ბაღს ეწვივნენ, მერე მეორე ეზოში გაც-ვივდნენ და აივსო სახლიკო ხალ-ხით. სუფთა ჰაერი, თოვლი, მონა-ტრება ერთმანეთში აირია და ჟრია-მულად გადაიქცა. ახალმა ბინად-რებმა სტუმრები თბილად მიიღეს. გოგონას მეგობრებმაც გულში ჩაი-კრეს დიდი, კეთილი ძაღლი და თოვლის გუნდასავით მრგვალი, თეთრი ლეკვი. მათ სიხარულს სა-ზღვარი არ ჰქონდა. ჭიანჭველამ გა-

დაწყვიტა, მოთმინებით აღჭურვილიყო, დღე მშვიდად გადაეგორებინა. ის ისევ ბუხ-რის ერთ-ერთ ნახვრეტში შეძვრა. სასწრაფოდ უნდა დაეძინა, რადგან დარწმუნე-ბული იყო, კაჭიც მალე მოვიდოდა.

- მოფრინდება, რას გამოტოვებს, თავის გამოჩენის საშუალება მიეცა. დაიწყებს, - ვიც-ნობდეთ ერთმანეთს და ასეთ სისულელეებს. უჰ, მომბეზრდა, არავინაც არ მინდა! ჭიჭიმ თავშესაფარში ძლივს შეასწრო, რომ ფრინველი ეზოში დაეშვა. გოგონამ კარი გაუღო თუ არა, უჩვეულო სიამაყით გამოაცხადა, - ჩემი მეგობარი, კაჭი. ძაღლები მან მოგვიყვანა, - ეს თავმდაბალი, მორიდებული ბავშვი დღეს განსაკუთრებულად ტრა-ბახობდა. მიზეზიც ჰქონდა, განა ბევრი ცხოვრობდა ასეთ უცნაურ, ჯადოსნურ გარე-მოში?

უკვე ძალიან გაბრაზებულმა ჭიჭიმ ყურები ულვაშებით დაიცო და ამიტომაც ვერ გაიგონა, რამდენი კარგი რამ თქვა მასზე ბავშვმა.

ამ დღიდან, ყოველ შაბათ-კვირას, ტყისპირა სახლს სტუმრები ჰყავდა. ბავშვები ერთობოდნენ, მიდამოს მოვლას სწავლობდნენ და თან, გულში, ახალი წლის დიდ მოლოდინს ატარებდნენ. მათ თვით ვეებაც გულღიად ხვდებოდა, თბილი მზერით

აცილებდა. აი, თამაში კი, არა და არ შეეძლო, ამას არასერიოზულად მიიჩნევდა. ხის ჭიაც, სადღაც, მიუწვდომელ ადგილას მოკალათებული, ჭრიალებდა. ბავშვები იცინოდნენ, – სულ ერთსა და იმავეს ჰყვებაო. ყური რომ კარგად მიეგდოთ, იქნებ საინტერესო რამაც გაერჩიათ.

სახლიკოს ისევ სიახლე ელოდება

ერთ კვირა დღეს, სახლიკოს ახალი, უცნობი სტუმარი ეწვია, მაგრამ ჯერ ამის შესახებ არავინ იცოდა. არავინ იცოდა, რომ ეზოში, საიდანღაც, ყვითელი, მზესავით გაჩახჩახებული კატა მობრძანებულიყო, სახურავზე, თბილ საკვამურთან მოკალათებულიყო და აქეთ–იქით იცქირებოდა, იქაურობას ათვალიერებდა. სახლიდან ბავშვების ხმები მოისმოდა, თამაშობდნენ.

- ბრრ, ბრრ, მიაუ, მიაუ! როგორ ცივა! ისინი კი თბილად, მხიარულად არიან. მეც მინდა. დავიკნავლო, თუ რა ვქნა? როდის გამოვლენ? ისე, ძაღლის ხმაც ისმის, მაგასთან ომის თავი არ მაქვს. იყოს, აქაც მშვენივრადა ვარ, - მწვანე, ირიბი თვალები მილულა, თათები შეიკეცა, დიდი, ფუმფულა კუდი შემოიგრაგნა, ჩამრგვალდა, თვითონაც ჩათვლიმა და გარშემოც სიმშვიდე მოჰფინა.

ცოტა ხანში, კარი ჭრიალით გაიღო და ცელქი ლეკვი სათამაშოდ გამოიჭრა. კატამ შეიღვიძა, მედიდურად გადმოხედა, დამცინავად ჩამოჰკნავლა, რასაც გადარეული ყეფა მოჰყვა.

- უჰ, გული არ გამიხეთქო! – ჩასძახა ფისუნიამ.

გოგონა, ამხანაგები, ძაღლი გარეთ გამოიშალნენ. ყველა ზემოთ იცქირებოდა.

- შეხედეთ კატაა, კატა! ფისო, ფისო, მოდი! – აყვირდნენ ბავშვები.

- მგონი, ჩემი დანახვა გაუხარდათ, მაგრამ არ შევიმჩნევ, სჯობს თავიდანვე დამაფასონ, მიხვდნენ, მე მათ სიხარულს მოვუტანდ. კატებმა ხომ საუკეთესო თამაში იციან?

- საიდან გაჩნდით?! – შესძახა გოგონამ.

- მიაუ, მიაუ, საიდან, საიდან! ფისუნიები სახურავებზე სხედან ხოლმე, საკვამურებთან. ჰოდა, მეც აქ ვარ, მეტი არაფერი ვიცი, – გულგრილად უპასუხა სტუმარმა.

- სახლი არა გაქვს? მარტო ხარ? – შეეხმიანა ერთ-ერთი ბავშვი.

- მე ასე არ ვიტყოდი, მიაუ, – კატამ თავისი გამოჩენა იდუმალი ელფერით შემოსა.

- ჩამო, გვეთამაშე! – ახლა ყველამ ერთად დაუწყო თხოვნა.

ერთი სული კი ჰქონდა, ცხვირი სახლში შეეყო, გამთბარიყო, მაგრამ ამას შეიმჩნევდა?

- მერე შემოგიერთდებით, ჯერ დაკავებული ვარ, თავს ვიწესრიგებ, საზოგადოებაში ისე ვერ გამოვჩნდები, – ფისო პირის ბანას შეუდგა. ნელა მოძრაობდა. სამაგისო რა სჭირდა? კრიალი გაჰქონდა, უბრალოდ დრო გაჰყავდა, თავს იფასებდა.

გოგონა და კატა უკვე დამეგობრდნენ, ახლა ბავშვი მას სხვა ბინადრებსაც გააცნობს

პატარებს ფუმფულა ცხოველის ჩახუტება გულწრფელად უნდოდათ, მაგრამ რას გააწყობდნენ? მორჩილად უნდა დალოდებოდნენ. ცოტა ხანში ლეკვს ყეფა მობეზრდა, თამაში გააგრძელა, ბავშვებიც გაიფანტნენ. ციგა, გუნდაობა, თოვლი, დროს მარტო ფისუნიას ცქერაში ვერ გაატარებენ. ყოველი წუთით უნდა ესარგებლათ, თორემ მალე მშობლები დაუძახებდნენ, სახლებში წაიყვანდნენ. კატა ამას არ ელოდა. ზემოდან გაკვირვებული იცქირებოდა, მერე ჩამოსვლა იკადრა და თოვლში მობუზული გაჩერდა.

გოგონამ მაშინვე შეამჩნია, ეცა, ხელში აიყვანა. ფისომ გასხლტომა ვერ მოასწრო, დაფაცურების შერცხვა და გოგონას კრუტუნით მიენდო, - მიაუ, მომწონხარ. შეგიძლია, მომეფერო, ოღონდ ხანდახან, ძალიან ნუ შემაწუხებ.

- გაიყინეთ? სითბოში შეგიყვანთ, - შესთავაზა კეთილმა ბავშვმა.

- კარგი, მაგრამ იქ ყველაფერი რიგზეა? – ფისო არ ამხელდა, ძაღლის რომ ეშინოდა.

- სახლიკო დალაგებულია, ბუხარი ანთია, თუ გშიათ, საჭმელს ჩემი სახლიდან მოგიტანთ.

- აბა, ეს ვისია?

- საკუთარი თავის. ჩემი მეგობარია. ყოველდღე ერთად ვართ.

- ჯერ არც ვიცი, დავრჩები თუ არა, მაგრამ ორივე სახლს ვნახავ, პირობები მაინტერესებს, ვითომ კარგი ადგილია?

შიგნით შევიდნენ. დედა ძაღლი უნებლიედ წამოხტა. ჯერ მთლად კარგად არ იყო, მაგრამ ძაღლი რომ კატას დაინახავს, ყველაფერი ავიწყდება, თუმცა, პატრონის ხათრით, ყეფაც არ დაუწყია, ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა.

- ყოჩაღ! აბა, დამეგობრდით. თქვენ ხომ ამ ჭერქვეშ ერთად უნდა იცხოვროთ, - ორივეს სთხოვა გოგონამ.

ჭიჭი წინააღმდეგია, მაგრამ ეს ფისო ხომ არაჩვეულებრივია?

ამის გაგონებაზე ჭიჭიმ ერთი ამბავი ატეხა, – ოღონდ ეგ არ მითხრა! წარმოუდგენელია! ნახე, ერთმანეთს თუ არ გადაგვკიდოს. გაიგო, გენაცვალეთ, სითბოა, კარგი ცხოვრება და მობრძანდა. ყველაფერი თავისთვის უნდა!

- არა, ის სულ სხვანაირია! – გამოესარჩლა ბავშვი.

- დიახაც, უცნაური ვარ, წიგნების კითხვა მიყვარს, – შეიფერა ფისომ.

- რაა?! - გაიოცა გოგონამ.

- ასეა, - გააგრძელა კატამ, - გადაშლილ წიგნზე წამოვწვები ხოლმე და ვკითხულობ, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, იშვიათად ხდება.

ამ დროს, ფისუნიას გასაცნობად შემოკრებილმა ბავშვებმა ერთხმად იკითხეს, - რატომ?

- ერთი ისაა, რომ უფროსები წიგნებს უყურადღებოდ არ ტოვებენ თაროებზე, კარადებში ინახავენ. მეორეც, მე ბავშვებთან ნაცნობობას ვარჩევ. ისინი კი მგონი, ცოტას კითხულობენ. რაფებზე ისევე თავისუფლად დავდივარ, როგორც მიწაზე, ჰოდა, სეირნობისას, ფანჯრებშიც ვიცქირები, წიგნებს ვეძებ. ბავშვების ოთახებში უამრავ სათამაშოს გადავწყდომივარ, გადაშლილ წიგნს იშვიათად, მაგრამ თქვენ არ ინერვიულოთ, წვალებ-წვალებით, მე მაინც შევძელი დიდი ცოდნის დაგროვება, ასე რომ, თუ დავრჩი, უგანათლებულეს კატასთან ერთად იცხოვრებთ.

- ოჰ, რა კარგია, ჩემო კარგო! ფერადი სურათებით სავსე წიგნს მოგიტან და რამდენიც გინდა იკოტრიალე ზედ, - დაჰპირდა გამხიარულებული გოგონა.

- მაგას კითხვა კი არა, ხელის შეშლა ჰყვარებია! მეც არ გამიკვირდა, ასეთი წესიერი კატა საიდან მოვიდა-მეთქი? რომელიმე ბავშვი, ძლივს წიგნს გადაშლის თუ არა, ეს იქვე გაჩნდება და არ აცლის. ეგ უმადური ვინმეს გამოექცეოდა, გეუბნებით!

- იქნებ გამოაგდეს? – ჩაერია სახლიკო.

- ვინ შეჰბედავს, ვინ მოერევა? როგორც ვატყობ, აქედან წასვლა მომიწევს. ოჰ, როგორ ინანებთ, როგორ, თოვლში ჩამარხულს რომ მიპოვით, მაგრამ გვიან იქნება!

- ჭიჭი, შენ ხომ შეგიფარე? აქ ცხოვრობ, კარგად ხარ. განა სხვა ყინვაში უნდა გავაგდოთ? ნუთუ, პატარა კუთხეს დავამადლით? თანაც, ფისოებმა, ისეთი მხიარული თამაში იციან, ყველანი გავერთობით.

- როგორც გენებოთ, თუ ვერ გავძლებ, ავდგები და გადავიკარგები. ოღონდ, ის წიგნი ჩემგან შორს მაინც დაუდეთ, იშვიათად რომ დავინახო. ვიცი, ჩემს ნათქვამს მაშინ გაიხსენებთ, როცა ეგ, ვითომდა არაჩვეულებრივი, კატა მოგატყუებთ! - ბუზღუნა, მაგრამ კეთილი ჭიანჭველა ბედს ისევ დამორჩილდა.

ახლა სახლიკოსთან კატა ჩახჩახაც ცხოვრობს

ასე დარჩა ფისუნია თბილ სახლში და, რა თქმა უნდა, ძალიანაც შეიფერა. პირობების შესადარებლად სხვა ადგილის მონახულება აღარც უფიქრია. მორთმეულ საჭმელს შეექცეოდა და ჭიჭის "გულის გასახარად," მასთან ახლოს, ბუხრის თბილ შვერილზე ეძინა.

- საერთოდ არ მინდოდა შემოშვება და სულაც ჩემ გვერდით არ მოკალათდა? ძილი გამიქრო, - გიჟდებოდა ის, - ჩვენთან არც მეცნიერები ცხოვრობენ, არც თაგვები დაშლიგინებენ. აქ არავითარი საქმე არა გაქვს, წადი, მოშორდი! – ეუბნებოდა ყოველდღე.

კატა კი კრუტუნებდა და თავისთვის ფიქრობდა, – მომინდება წავალ, მომინდება დავრჩები. გამომიჩნდება გასაკეთებელი, არ დავიზარებ.

მშობლებმა ფისუნია მოიწონეს. სახელად ჩახჩახა დაარქვეს, რადგან მზესავით ანათებდა. მან იმგვარი სითბო, სიყვარული გამოამჟღავნა, დედა მის გარეშე ვეღარ ძლებდა.

გოგონამ დანაპირები შეასრულა, დასურათებული წიგნი მოიტანა, მაგრამ კატა ზედ მხოლოდ სათამაშოდ თუ გადაკოტრიალდებოდა.

ასე გადიოდა დღეები. სახლიკოს ბინადრები მთელი გულით ცდილობდნენ, ერთმანეთს შეგუებოდნენ, რადგან მიდამოში ცხოვრება მოსწონდათ.

შიშნარევი მოლოდინი

ახალი წელი ახლოვდებოდა. დრო აღარ ითმენდა, სამზადისი უნდა დაწყებულიყო. დიდი სახლი დატრიალდა, ოთახები დააკრიალა. უსაქმურად სხვებიც არ ისხდნენ. ერთ დილას, ოჯახი, საახალწლო საჩუქრებისა და ნაძვის ხის მოსართავების საყიდლად, მანქანით, ქალაქში გაემგზავრა. ამ ამბავმა გოგონას მეგობრები ძალზედ შეაშფოთა. ბავშვს ხომ, მას შემდეგ, რაც აქ დასახლდა, მიდამოდან ფეხი არსად გაუდგამს. ირგვლივ შიშმა დაისადგურა. ნეტავ, სად წავიდნენ ან რატომ? - ყველა ამას ფიქრობდა.

- საითაც გაემგზავრნენ, იქ ყოფნა უფრო რომ მოუნდეთ? – ჩაიწრიპინა ჭიანჭველამ, - ამ ახალ წელს, ვითომ მიგვატოვებენ? რა ვიცი, ყველაფერი მოვრთოთო და, არა, არ მგონია.

- აქედან ყველას გაყრა რომ გინდა, გული ახლა დაგწყდა? – ნიშნი მოუგო ფისომ.

- ჩუმად იყავი! ბავშვი თუ არ დაბრუნდა, წასვლა შენც მოგიწევს! – გაწიწმატდა ჭიჭი.

ძაღლებმაც მოიწყინეს, კარებთან მიწვნენ. სახლიკო დაღონდა. აი, კეთილი ტყისპირი კი, სულაც არ აღელვებულა. იცოდა, საყვარელ ადგილებს და მეგობრებს ასე უბრალოდ არ ტოვებენ. ჭკვიანი კაჭკაჭიც გუმანით გრძნობდა, გოგონა საქმეზე იყო წასული. გადასამოწმებლად დიდ სახლთან მიფრენა გადაწყვიტა. სახლიკოსთან მიმავალმა, ვითომ შემთხვევით, გზად შეუარა. ვეებას ეჭვი არ უნდა გასჩენოდა, თორემ არაფერსაც არ ეტყოდა.

- დილა მშვიდობისა! ვიცი, უთენია იღვიძებთ. დიდი ხანია, არ გვისაუბრია, ამიტომაც გავბედე! – ჩასძახა და, რა თქმა უნდა, რისხვას დაელოდა.

- მოდი, რაფაზე დაისვენე, ყინვაში ფრენა ძნელია, – საახალწლო სამზადისს მასპინძლისთვის გული მოელბო, - არაფერი საინტერესო შენ არ იცი და რაზე გინდა საუბარი?

- ცდებით, თუ ასე ფიქრობთ. მაგალითად, ახალი მეზობელი გყავთ, კატა? შეიძლება, მალე თქვენთანაც გადმოსახლდეს, - კაჭიმ, ვითომ სხვათაშორის, მაგრამ ნიშნის მოგებით თქვა.

- გადმოსახლდება და გადმოსახლდეს, რა ვქნა? ახლა იმდენი საქმე მაქვს, თავს სხვა რამით ვერ ავიტკივებ. ერთი ეს ახალი წელი ვიზეიმოთ და მერე, ყველაფერს თავის ადგილს მივუჩენ, – არ შეიმჩნია ვეებამ.

- დიახ, თქვენი ნებაა, - დიდი მოკრძალებით ჩაილაპარაკა კაჭიმ და მთავარი კითხვა დასვა, - ბავშვი საით წავიდა?
- საახალწლო საჩუქრებს იყიდიან, საღამოს მოვლენ, - დიდი სახლი განსაცვიფრებლად გულახდილი იყო.
- აბა, დროებით! აღარ გაგაცდენთ, ამ დღეებში ყველა ერთად ვიქნებით, - ასეთმა საქციელმა კაჭი მთლად დააბნია.
- არ ვიცი, არ ვიცი, - უცბად მოიღუშა სახლი, ეტყობა, იფიქრა, თავს არ გაუვიდესო, - იქით მიდიხარ? – მრავალმნიშვნელოვნად იკითხა.
- ჰო, ფრთებს გავშლი, რომ არ გავიყინო, – თავი მოისაწყლა ჩიტმა.
- ბარემ თქვი, რომ იქ გათბები, გაერთობი, რა თავს მაცოდებ, ასე არ არის? – შეუბღვირა ვეებამ.

კაჭკაჭი სასწრაფოდ გაფრინდა, - ნეტა, რა სწყინს ამ უხასიათოს? აბა, თვითონ შემიშვას, - სახლიკოს ეზოში დაეშვა თუ არა, იმ წამსვე მიხვდა, მეგობარი მოწყენილი იყო. თბილად შეეხმიანა, - ნუ დარდობ, ბავშვი საღამომდე ჩამოვა. სასიამოვნო საქმეზეა წასული, ვეებამ მითხრა, მან კი იცის, რასაც ამბობს.

სახლიკო დამშვიდდა, შესწორდა, დარდს აღარ იმჩნევდა. საბოლოოდ გაიხარა, როცა მანქანის ფარებმა სიბნელე გაკვეთა, მერე კი ლამპიონებიც აინთო. ყველა დამშვიდდა. აქეთ, მოლოდინით, იქით მგზავრობით დაღლილებს, სწრაფად ჩაეძინათ. ხვალიდან საქმე ელოდათ.

დიდი სახლის საახალწლო სამზადისი

დილიდან, სახლში, ფუსფუსი დაიწყო, ნაძვის ხე უნდა მოერთოთ. ოთახში, იატაკზე, ფერადი, ბრჭყვიალა სათამაშოებითა და ულამაზესი გირლანდებით სავსე ყუთები ეწყო იდო. ახალი წელი, მიდამოში, პირველად აღინიშნებოდა, ამიტომაც განსაკუთრებულად ემზადებოდნენ, რა თქმა უნდა, სტუმრებსაც ელოდნენ. უამრავი რამ იყო გასაკეთებელი შინ თუ გარეთ, სახლიკოსთან. ყველა მოთმინებით აღიჭურვა. და აი, დიდი სახლის მთავარ ოთახში ულამაზესი ნაძვის ხე გაბრწყინდა. მისი მშვენება ტყისპირიდანაც კარგად მოჩანდა. კაჭკაჭი ასეთს არაფერს მოელოდა, მას გაოგნებისგან ნისკარტი დაეღო და იმეორებდა, - ხედავ, რა სიმდიდრის პატრონია?! ერთი რამ მაინც მარგუნა იქიდან, - თან ვეებაზე ბრაზობდა, - ხომ ვთხოვე მძივის მთლიანი ასხმა მაჩუქე-მეთქი, ვითომ არ ახსოვს! ახლა რა მეშველება, რა ვქნა, რითი ავბრჭყვიალდე? - დარდს შეეპყრო ფრინველი.

ამ დროს, გოგონამ ფანჯრიდან ხელი დაუქნია. ჩიტმა სწრაფად დატოვა ბუდე და რაფაზე უშიშრად დაეშვა, იცოდა, სახლი ხმას ვერ ამოიღებდა.
- კაჭი, დიდი დრო არ მაქვს, არ გეწყინოს. აი, გიყიდე! წაიღე, ბუდე მოირთე! - მიახარა ბავშვმა და პატარა პარკი გაუწოდა.
- მეე, გოგონა?! ჩემთვის შეწუხდი, გაგახსენდი?! – აღტაცებას ვეღარ მალავდა ფრინველი.
- აბა, გამოგტოვებდი ასეთ კოპწიას? შენ ხომ აბრჭყვიალებაში ბადალი არ გყავს?!

კაჭის ტყისპირიც ეხმარება

კაჭკაჭი კისრისტეხით გაფრინდა ბუდისკენ, არ დაინტერესებულა, რას ფიქრობდა ვეება. უნდა ითქვას, სახლი არ გაბრაზებულა. დარწმუნებული იყო, ამ საერთო დღესასწაულზე, მაინც ყველაზე ლამაზი იქნებოდა. ტყისპირი სიცილით კვდებოდა. კაჭიმ საკმაოდ მძიმე ტვირთი ბუდემდე მიიტანა და იმ წუთასვე შრომას შეუდგა. შეამკობდა თავის საცხოვრებელს, გაფრინდებოდა, შორიდან შეათვალიერებდა, ისევ გადააკეთებდა. მთელი დღე არსად წასულა, არც დაუსვენია და, შებინდებისას, მაინც მოურთავ ბუდეში ჩაწვა, - ღამე გრძელია, კიდევ მოვიფიქრებო. თვალები აჭრელებოდა, ეხუჭებოდა, ის იყო ძილს უნდა მისცემოდა, რომ ისევ ნაცნობი შფოთვა იგრძნო. მიხვდა, ტყისპირი ეცოდებოდა. ის ხომ მთელ დღეს უანგაროდ ეხმარებოდა, რჩევებს აძლევდა, თავად კი მოსართავი არ გააჩნდა. ჩუმად გახედა ბნელში, - როგორც არ უნდა გამიჭირდეს, ხვალ რამე უნდა ვაჩუქო, გავახარო. მართალია, შეიძლება არც დააჩნდეს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ეჰ, ადრე როგორ ვერ მოვიფიქრე, ამ დარდმა შეიძლება გამათენებინოს, - თქვა მან და ღრმად ჩაიძინა.

ტყისპირი ყველაფერს მიხვდა და იგრძნო.

- მე რა სამკაული მეყოფა? ტყუილად დააკლდება, თანაც ყინვა და მთვარე გამალამაზებენ, ვიცი, დამპირდნენ.

საახალწლო სამზადისი სახლიკოსთან

მეორე დღეს, გარეთ გირლანდები და ფარნები დაკიდეს, პატარა ბაღს მიხედეს. მან, გამოღვიძებულმა, ფერად ნათურებს ტოტები სიხარულით შეუშვირა. გარშემო ყველაფერი გამშვენიერდა. ჯერი სახლიკოსა და მის ეზოზე მიდგა. პირველ რიგში, ხვიარა ვარდისა და ასკილის ბუჩქები ააელვარეს. ლეღვის ხეს ოქროსფერი, მომღერალი ზანზალაკები ჩამოჰკიდეს. შიგნით, ბუხრის წინ, სათამაშოებით დახუნძლული, ტოტებგაშლილი ნაძვის ხე დადგეს. საჩუქრებიც იქვე მოათავსეს. ახალ წლამდე მათ ხელს არავინ ახლებდა. ძაღლები აცრეს, დაბანეს, დავარცხნეს.

კატამ თვითონ დაიკრიალა თავი. სამზადისი დამთავრდა. მიდამო და მისი ბინადრები, რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში ჩაიძირნენ. თუმცა, მთავარი რამ უკვე მოხდა. აქ, ამ ადგილას დასახლებული კეთილი, სათნო ადამიანები ბუნებას კი არ განუდგნენ, არამედ მთლიანად შეერწყნენ მას, თავიანთი სიხარულის თანაზიარი გახადეს. ამას არაფერი შეედრებოდა.

ახალ წელს ყველა მორთულ-მოკაზმული ხვდება

ახალი წლის წინა დღე გათენდა. ირგვლივ ყველაფერი კრიალებდა, ბრჭყვიალებდა. ამ დღემ კიდევ ერთი საოცრება გამოაჩინა - ერთიანად მოელვარე ტყისპირი. იდგა და ათასფერი გადასდიოდა. ყინვას და მთვარეს დანაპირები შეესრულებინათ, მეგობრულად გულში ჩაეკრათ, მთელი ღამე ეშრომათ და მისი თეთრი სამოსი სხვადასხვაგვარი მაქმანებით, ულამაზესი არშიებით გაეწყოთ. გაოცებული კაჭკაჭი ნისკარტდაღებული შესცქეროდა და ჩურჩულებდა, - ეს რა ვნახე, რა სილამაზეა? - ძლივს გამოერკვა, მეგობარს გამოელაპარაკა, – წუხელ შენზე დარდით არც მიძინია, გამოსავალს ვეძებდი. ახლა დავწყნარდი, დავისვენე. მშვენიერი ხარ! ეს ჩემი ბუდეც ხომ ძვირფასი სამკაულივით გაბნევია.

ელვარებამ გოგონასაც თვალი მოსჭრა. ტყისპირს ფანჯრიდან გასძახა, – ყინვამ მაჯობა, არა?! უჩემოდ მოგრთო, ძალიან, ძალიან მიხარია!

- ბუნება მაინც ყველაზე დიდი ხელოვანია, რაც აქეთ გადმოვედი, ამაში სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, - თქვა სილამაზით დატყვევებულმა დედამ.

- ჩვენი საქმიანობა დამთავრდა. ახლა დროის ჩვეულებრივ დინებას მივყვეთ. ამ ღამით, ის ახალ წელს შეგვახვედრებს, - დაამატა მამამ, – აბა, საზეიმოდ გამოვეწყოთ.

მალე, მალე...

ასეც მოხდა. ზამთრის დაბინდული მზე ნელ-ნელა გადაიხარა, წამოწვა და ბოლოს, ძილს მიეცა. აცივდა, მაგრამ არავის ციოდა. მიდამო ენთო, იწვოდა. სტუმარი მრავლად იყო სახლში. ვეებას მშვენიერი სუფრა ყველას მასპინძლობდა. ბუხრებში ცეცხლი გიზგიზებდა, ისმოდა სიცილი, წკრიალი, ზანზალაკების წკარუნი. გოგონა, მისი ამხანაგები აქეთ-იქით დარბოდნენ. ამ ღამით, ყველა და ყველაფერი გაერთიანებულიყო. ირგვლივ სიხარული, სიყვარული სუფევდა. დიახ, ერთ დროს მიტოვებული, ჩაბნელებული მიდამო მთლად გაცისკროვნებულიყო, ნაპერწკლებს ისროდა, ზეცას საზეიმოდ იწვევდა. ზეცა კი, გარინდებული დასცქეროდა მიწას, მოქუფრულიყო და იდუმალი ელფერი დასდებოდა. ნუთუ არ იზიარებდა ამ განწყობას, სიხარულს? როგორ არა, როგორ არა! სინამდვილეში, იგი უჩუმრად, საიდუმლოდ საახალწლო მეჯლისისთვის ემზადებოდა.

პლანეტების მეჯლისი

და დადგა ახალი წელი. საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა. დიდ სახლში ჭიქების წკრიალი გაისმა, ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდნენ. ცა გადაიწმინდა, ვარსკვლავებით მოიჭედა. ისინი, სამეჯლისოდ, განსაკუთრებულად აკაშკაშებულიყვნენ. ახლა მხოლოდ მთვარეს ელოდნენ, - მობრძანდება და ზეიმიც დაიწყებაო, - ყველა მას კითხულობდა, - ამდენ ხანს სად არის, სად დაიკარგაო? ის კი, მორთულ ქვეყნებს ათვალიერებდა, დიდ მოედნებზე აღმართულ ნაძვის ხეებს ელვარებას მატებდა და ახალი წლის ღამეს კიდევ უფრო ზღაპრულს ხდიდა. ბოლოს, თავის საყვარელ პატარა მიდამომდეც მოაღწია, გადმოხედა, კმაყოფილი დარჩა მისი ბრწყინვალებით. სხივით სახლიკოს მიეალერსა და ინატრა, - ნეტავ შევძლო, ყველა მარტოსულს იმედი ჩავუსახლო, მასავით გავაბედნიეროო, - მერე იქაურობა ჯადოსნური შუქით მთლად გააკაშკაშა და საახალწლო მეჯლისის დაწყება ბრძანა.

დაირწა ცარგვალი. ნელა, ტაატით ბრუნავდა, ვარსკვლავებს სათითაოდ აცეკვებდა. ერთად იყო ცა და მიწა. ერთად იყვნენ ადამიანები. ერთად იყო ყოველი სულიერი თუ უსულო. სიმარტოვე დარჩა მარტო, თუმცა არა, მასთან ერთად იყო ჭოტი, რომელმაც არც ამ ღირსშესანიშნავ დროს დატოვა თავისი ფუღურო, იქიდან ეხმიანებოდა ყველას და, როგორც ყოველთვის, წერტილს უსვამდა ღამეს. მხიარულ აურზაურში მისი გალობა არავის ესმოდა, ახლი წლის ღამეც გრძელდებოდა, გრძელდებოდა.

მშვენიერი ბავშვი

ბავშვს მაქმანებით გაწყობილი მკრთალი ლიმონისფერი კაბა ეცვა. პრიალა, შავ ფეხსაცმელებზე ოქროსფერი შესაკრავები უბრწყინავდა. საგანგებოდ დავარცხნილი თმა მხრებზე გრძლად ეფინებოდა. გოგონა განსაკუთრებულად მშვენიერი იყო, თვალებში სხივი უკრთოდა.

სახლიკოსთანაც დადგა ახალი წელი

სახლიკოს პატარა ეზო, თეთრად დათოვლილი, ფერად ნათურებს აეჩახჩახებინა. შიგნით, გაკაშკაშებულ ნაძვის ხეს ნაღვერდლის სუსტი შუქი დაეჩრდილა და მისით მოხიბლული ბინადრები გარს შემოეკრიბა. ყველა უზომოდ ბედნიერი ჩანდა. ჭიჭიც კი არ ეჩხუბებოდა კატას. ბრჭყვიალა მძივით მორთული კაჭკაჭიც აქ ბრძანდებოდა, ახალი წლის შესახვედრად სახლიკოსთან წამოსულიყო. და მშვენიერი ტყისპირი, მარტოდ დარჩენილი რას შვრებოდა? დაღვრემილიყო მარტოობაში? სულაც არა, სულაც არა! მოსაწყენად სად ეცალა? თვალებად, სმენად ქცეული, დიდი სახლის ფან-

ჯრებს აკრული, თითქმის საახალწლო სუფრას უჯდა, ადამიანებთან ერთად ილხენდა, დროს ატარებდა, ჩუმად მღეროდა კიდეც.

პატარა სახლშიც ჩამოჰკრა თორმეტმა, იქაც მობრძანდა ახალი წელი. ახლა ყველა გოგონას ელოდა. ეს დღესასწაული ხომ მან აჩუქა? და აჰა, ისიც გამოჩნდა, მეგობრებიც მოჰყვებოდნენ. ოჰ, რა ჟრიამული ატყდა! სიხარულს ვერავინ მალავდა. ყველა ერთმანეთს ეხვეოდა, ზეიმობდა.

უეცრად, ჭიჭი ძალიან გაბრაზდა, რატომ?

უკვე საჩუქრების დათვალიერებაც შეიძლებოდა.

- აბაა, ვნახოთ აქ, რა ამბებია! - გოგონა, სხვადასხვა სიდიდის, ლამაზად შეფუთულ ყუთებს მიუტრიალდა, გახსნა დაუწყო, - ეს კაჭის! ეს ჩახჩახას! ეს ჭიჭის! - იძახდა ბავშვი. ყოველ შემახილს დამსწრეთა მხიარული ყიჟინა ერთვოდა. გარშემო დიდი ჟრიამული იდგა, მაგრამ, როცა გაისმა, - ეს ლალალას! ეს გუნდას! - უცბად სიჩუმე ჩამოვარდა. სახლიკოს ბინადრებმა ერთმანეთს გადახედეს, გაუკვირდათ, - უცნობი, უცხო სახელები რა შუაშიაო? ვინ არიან, სად იმალებიან ისინი, ვისაც ასე ჰქვიაო?

- რა დაგემართათ? აღარ გიხარიათ? - განცვიფრდა გოგონა.

სწორედ ამ დროს, ჭიჭის გულისგამაწვრილებელი წრიპინი გაისმა, - მოიცა, მოიცა! აღარ დამთავრდა ნაირნაირი „მეგობრებით“ სახლიკოს ავსება? ამ ახალ წელს, როცა ყველა ბედნიერია, გული მაინცადამაინც მე უნდა მტკენოდა? ისევ ვიღაცები მოყარე, ბავშვო?! თან საჩუქრებსაც ურიგებ! ჩვენ რაღა დაგვრჩება, ჩვენ?! მანახე, ვინ არიან! ახლავე აქედან უნდა მივაბრძანო, ისედაც ძლივს ვეტევით, ვიწროდ ვართ! - დაამთავრა მან მქუხარე გამოსვლა და განწირული თვალებით მიმოიხედა, - თქვენც დამეხმარეთო.

- ჭიანჭველავ! ამ საზეიმო ღამესაც ჩხუბი ატეხე არა? ვერ გაგიგია, როგორ უნდა მოიქცე ახალ წელს?! დავიჯერო, სტუმრებს არ მიიღებ? თან, ყველას მაგივრად რომ ლაპარაკობ, ჩვენ არ გვეკითხები?! - გაუბრაზდა სახლიკო.

გოგონამ დედიკო ძაღლს და მის შვილიკოს სახელები აჩუქა

ამ დროს, ლამაზმა გოგონამ კისკისი ატეხა და მწერი მთლად გააბრაზა, - მე ვნერვიულობ, ეს იცინისო.

- ჩემო კარგო ჭიჭი, ესენი ხომ ჩვენი ძაღლები არიან? ამდენ ხანს არაფერი დაგვირქმევია, ჰოდა, ამ მშვენიერ ზეიმზე, საჩუქრად, სახელებიც მიიღეს. დედიკო ძაღლს ლალალა ვუწოდე, შვილიკოს გუნდა. იმედია, მათაც მოეწონებათ და, როცა დავუძახებთ, გამოგვხედავენ.

ამის თქმა იყო და ყველამ ერთად გულიანი, ხმამაღალი სიცილი დაიწყო.

- ვაი, ვაი, რა დაუფიქრებელია, რა ქარაფშუტა! - კნაოდა ჩახჩახა.
- მოკლედ, ცეტი ხარ, სულსწრაფი! - ეს კაჭი იმოძღვრებოდა.

შერცხვენილმა ჭიანჭველამ უკან მაინც არ დაიხია, - ერთი სიტყვა არ შემარჩინოთ, როდის იყო, რაიმე არასწორს ვამბობდი?! კიდევ კარგი, ისევ ვინმე არ შემოასახლეთ, ახლა დავმშვიდდი და ისევ გავმხიარულდი, მაგრამ, ბავშვო, მაინტერესებს, ეს სახელები რატომ დაარქვი?

- კარგი შეკითხვაა, - მაშინვე გამოეხმაურა მეგობარს გოგონა, ჭიჭის გონებას რომ შეეფერება. პასუხიც მაქვს. აი, ამიტომ, - დიდი ცუგა ჭკვიანი, წყნარი და ერთგულია. არავის ჰკბენს, არც ტყუილუბრალოდ ყეფს. ძალიან მიყვარს, დავინახავ თუ არა, - ლალალაა, ლალალაა! - გული ასე მიმღერის. პატარა ლეკვი თეთრი, მრგვალი და ფუმფულაა, თოვლში არც ჩანს, ნამდვილი გუნდაა. აბა, რას იტყვი?

- მშვენიერი სახელებია, განსაკუთრებით, ლალალა მომეწონა, იმღერე და იყავი. ხშირად დავუძახებ ხოლმე, დარდს გავიქარვებ, - თქვა ჭიჭიმ, რომელსაც სიბრაზის ნატამალიც კი აღარ ჰქონდა.

ასე და ამგვარად, სახელები ყველამ ერთხმად დაამტკიცა, რაც შეეხება თვითონ ძაღლებს, მათ ეს ამბავი ყველაზე უფრო გაუხარდათ, მოისვენეს. ადრე ყურები სულ დაცქვეტილი ჰქონდათ, ვაითუ გვეძახიან და ვერ ვხვდებითო. ახლა აღარ ინერვიულებდნენ. მხიარულება გრძელდებოდა ნაძვის ხის გარშემო, მთელ მიდამოშიც.

ბრჭყვიალებდა, ციალებდა ახალი წელი.

საჩუქრად ვის რა ერგო?

კაჭის ჭილის ქუდი, თავსამკაულად. ჭიჭის პაწაწინა კალათი, შიგ ჩაგებული რბილი

საბანლეიბით, თბილი საღამური და კომპასი, მოგზაურობისას გზას რომ არ ასცდენოდა. ზამთარს ნამდვილად უზრუნველად გაატარებდა. სახლიკოს, ლურჯი ფანჯრების მოსართავად, ლამაზი ფარდები. სიცხეში მზეს მოიჩრდილავდა, სიცივეში თბილად, მყუდროდ იქნებოდა. ძაღლებს, ლალალას და გუნდას, რბილი საგები და ფერადი, ჟოლოსფერი ყელსაბამები. კატასაც ფუმფულა საწოლი. იფ, რა გემრიელად მოკალათდებოდა. ასევე პატარა ბურთიც, გასართობად და სავარჯიშოდ. უჰ, რამდენს იცინებდა ჭიჭი, ამ ბურთს გამოდევნებულ კატას რომ დაინახავდა? დიდი, ცისფერი ბანტი კი ყელზე შეაბეს, რითაც ისედაც ლამაზი ფისუნია უფრო დაიხატა. ჩამთავრდა

საჩუქრების რიგი. უკვე ყველაფერი დაათვალიერეს, რომ სახლიკოს მეზობელი გაახსენდა, დიდი სახლი.
- ამდენი სტუმარი ჰყავს, როგორ ტრიალებს. განა დღეს ეგ არ გაახარეთ?
კაჭი უკვე კარგა ხანი იყო, რაც ინტერესით კვდებოდა, ნეტა ვეებას რა აჩუქეს, ისედაც ყველაფრით სავსეაო. ჰოდა, ახლა ცნობისმოყვარეობას დაიკმაყოფილებდა. სმენად იქცა.
- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - წამოიძახა ბავშვმა, - ცოტა ხანში, ჩვენს დიდ სახლს, ფლუგერი დაამშვენებს. არ იცით ეგ რა არის? მამამ თქვა, ამინდის გამომცნობი ხელსაწყოაო. მისი დახმარებით გვეცოდინება, საიდან უბერავს ქარი, თან რა მოაქვს წვიმა, ღრუბლები თუ სეტყვა, - აუხსნა კიდეც მან მეგობრებს.
კაჭის მაინც ვერ გაეგო, ასეთი გულთმისანი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ დასაჩუქრების ამბავი კი გაუხარდა. პატივისცემის გარეშე დარჩენილ ვეებას რა გაუძლებდა? სულ ცუდ ხასიათზე იქნებოდა, არც მის მშვენიერ ჭილის ქუდს შეიმჩნევდა,
- კარგი, რაც შევიტყვე ესეც მეყოფა, დანარჩენს დავაკვირდები და მივხვდები, რა უჩუქნიათ. ისე ძალიან მინდა ის რაღაც მოეწონოს. არა, სახელს ვერაფრით დავიმახსოვრებ, - გაიფიქრა თავისთვის ჩიტმა.

ახალი წლის ღამე გაილია

ახალი წლის ღამე ილეოდა. სტუმრები წასასვლელად ემზადებოდნენ. ბავშვებმა ტკბილი სიზმრები უსურვეს სახლიკოს, მის ბინადრებს. კაჭკაჭი დასაძინებლად იქ დარჩა. ასეთი რამ პირველად ხდებოდა. ჩიტი ხომ თავის ბუდეს ყოველთვის უბრუნდება?
- აგერ, რომელიმე სკამზე მოეწყვე თბილად უთხრა სახლიკომ.
ჭიჭის აღარაფერი უთქვამს. საღამური ჩაიცვა და თავის რბილ საწოლში წამოკოტრიალდა. კატამაც ცხვირ-პირი მშვიდად დაიკრიალა, ჩამრგვალდა და ირგვლივ სიმშვიდე მოჰფინა. ლეკვს უკვე ღრმად ეძინა. პატარა იყო, დაიღალა. ნაღვერდალიც გემრიელად გამოხვეულიყო ნაცარში და ოთახში მომთენთავ სითბოს აფრქვევდა. სახლიკომ ლურჯი თვალებით ცას გახედა. ტრიალებდნენ პლანეტები. თოვლიც მოდიოდა, ფანტელებიც ცეკვავდნენ! ჩუმი წკრიალი ისმოდა. სხვადასხვა ჯიშის ცხოველებს, ფრინველს და მწერს, ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდად ეძინათ. გარეთ კი ახალი წელი და სიახლით სავსე ცხოვრება ელოდათ.

ამ დროს?

ამ დროს, ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში, ჭრიალი გაისმა, - ყველაფერი მშვენივრად ჩაატარეთ, მოილხინეთ, საჩუქრებიც მიიღეთ, ახლა ისვენებთ, მე კი მაინტერეს-

ებს, თავად გაიღეთ რამე? მხოლოდ მადლობა გადაიხადეთ და მეტი არაფერი? თუ მხოლოდ თქვენი არსებობა და ნაცნობობაა საკმარისი, სიხარული რომ გეწვიოს? განა არ შეგეძლოთ, ბავშვი გაგებედნიერებინათ? სულ პატარა რამ გეჩუქებინათ? რასაც მოიფიქრებდით და გულით გასცემდით, ფასეული იქნებოდა, მაგრამ ბრჭყვიალა ზეიმზე დაფეთდით, მთავარი დაივიწყეთ! - ეს ხის ჭია ბრძანდებოდა, მეგობრებს საყვედურებით ავსებდა.

სიჩუმე არავის დაურღვევია, ან არ ესმოდათ, ან ნათქვამზე ფიქრობდნენ.

ხის ჭია და სახლიკო ბჭობენ, რა აჩუქონ გოგონას

ჭრიალი შეწყდა. კვლავ გამეფებული სიჩუმე სახლიკომ დაარღვია, - მართალი ხარ, მეგობარო. დამიჯერე, ბავშვის გახარება მთელი გულით მინდა, მაგრამ რა ვქნა, რა მაბადია? არც სიარული შემიძლია. ესენიც არაფრის მქონენი არიან. იქნებ გვირჩიო რამე? - ის ძალიან დაღონებული იყო.

- დაიმახსოვრე, აქეთ-იქით სიარული არც ისე მნიშვნელოვანია. მართალია, ერთ ადგილზე დგახარ, მაგრამ ხომ ხედავ, მაინც რა საინტერესოა შენთან მეგობრობა? რაც შეეხება დახმარებას, რა თქმა უნდა, შემიძლია, მით უმეტეს, საჩუქარი აქვე გაქვს, - გამოეპასუხა მწერი, თან ხმაში იდუმალებაც გაურია.

- აქვე? თუ ასეა გოგონასაც ნანახი ექნება, - იმედი გაუცრუვდა სახლიკოს.

- მერე რა, მთავარი ისაა, ბავშვმა, დალაგების დროს, ისინი არ გადაყარა. შეიძლება, რაღაც იგრძნო კიდეც, - ჭრიალი უფრო იდუმალი გახდა.

- მოიცა, მოიცა, ჭერში ჩამოკიდებულ გამხმარ, დროგადასულ, სუნგაცლილ, ფერდაკარგულ ყვავილებსა და გვირგვინებს ხომ არ გულისხმობ? ეგენი რად უნდა? - ძალზე გაოცდა სახლი.

- მოთმინებით მომისმინე! დიახ, ძველია, ძველი, მაგრამ რამდენი რამ ახსოვთ, რამდენ მოგონებას ინახავენ: ვინ შეკრა, ვინ მოიტანა, რატომ? ვისთვის? რისთვის? ხვალ დილით, ამათ სთხოვე, დაგეხმარონ, როგორმე ჩამოიღონ. იმ ძველ თუნგში მოათავსეთ და გოგონას დაახვედრეთ, - დაარიგა უხილავმა ბინადარმა.

- რა ვიცი, ბავშვმა ახალი წელი იზეიმა, სიახლეს ელის, ასე არ აგვიხსნა? - მაინც ორჭოფობდა სახლიკო.

- და სასწაულსაც, რამდენადაც მახსოვს, - მე კი ბევრი რამ მახსოვს, - ჯიუტობდა მწერი.

- ეჰ, სხვა რა გზა გვაქვს? ყურადღებას მაინც გამოვიჩენთ. შენი სახელითაც მივართმევთ, სულაც შენ არ მოიფიქრე? - თქვა პატიოსანმა სახლიკომ, - ისე, საჩუქრის გარეშე კი დარჩი. ხომ არ გეწყინა? დამნაშავე თვითონ ხარ, გოგონა ვერ გხედავს და გული როგორ გაგიხაროს?

- რა საჭიროა? ამპარტავანი სულაც არ ვარ. ჩემთვის, ყველაზე დიდი საჩუქარი მასთან მეგობრობაა და ის, რომ მან გაიგო ჩემი არსებობის შესახებ და ისიც, თუ რამდენად

ბრძენი ვარ, - მოკრძალებულად წაიჩურჩულა ჭიამ და, რადგანაც გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისი განზრახვა ბოლომდე გაემხილა, განაგრძო, - კიდევ მოვიფიქრე რაღაც, ჩემი აზრით, სწორ გზას ვადგავარ.
- რაზე მიმანიშნებ? - მოუთმენლობამ შეიპყრო მეგობარი.

რა ჩაიფიქრა ხის ჭიამ?

- რა და, ბავშვს უნდა გავაცნოთ მიდამოს ისტორია, ანუ ჩვენი ცხოვრების ამბავი, წარსულთან შეხება აუცილებელია და საინტერესო, დამიჯერე! მე ხომ ბევრი რამ ვიცი. დროა, მან შეიტყოს იმ ოჯახის შესახებ, რომელიც აქ, დიდი ხნის წინ ცხოვრობდა და, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია. ნურაფერს დავუმალავთ, ის ხომ გვენდობა. ასეთი საქციელი ჩვენს მეგობრობას უფრო სუფთას და უანგაროს გახდის, აქაურობასაც მეტად შეაყვარებს. გოგონა ჭკვიანია, კარგად მიხვდება ამ საჩუქრისა და გამხელილი საიდუმლოს მნიშვნელობას, - ფილოსოფოსმა მწერმა ჭრიალს უმატა, საკმაოდ ხმამაღლა ბჭობდა, აზრებს აფრქვევდა, ეტყობოდა, საკუთარი თავით მეტად აღფრთოვანებული იყო.

სწორედ ამ დროს, საშინელი, ავისმომასწავებელი წრიპინი გაისმა. ეს, ჭრიალისგან გაღვიძებული, ძალიან, ძალიან გაბრაზებული ჭიანჭველა ჩხუბობდა, - მიმალულხარ, ვინ იცის, სად და ძილს გვიფრთხობ! რატომ გვაწუხებ?! ხომ იყავი ადრე წყნარად, შენთვის, რამ გადაგრია?!
- უფროსს ასე უნდა ელაპარაკო? – იწყინა სახლიკომ.
- დაიცავი, დაიცავი, იქნება დაგფქვას! – მასაც შეუბღვირა მეგობარმა.
- ცნობილია, მე მხოლოდ დაზიანებულ ნაწილებს ვხრავ, საღის კბილები სად მაქვს? შენ კი, ისწავლე და იცოდე, თუ ძველი არ დაგაინტერესებს, ახალსაც ვერ გაიგებ, ყველაფერი აგერევა, თავის ადგილს ვერ მიუჩენ, დასაფასებელს ვერ დააფასებ. განა, გინდა ასეთი ცხოვრება? - ხის ჭიამ, ვითომც აქ არაფერიო, გაბრაზებულ მწერს ჭკუა დაარიგა.
- მე ძილი მინდა, მერე, იქნებ, სხვა რამეზეც ვიფიქრო! - ჭიჭიმ მაინც არაფერი შეისმინა.

ფილოსოფოსი ბინადარი ჩაჩუმდა, ხმა აღარ გაუღია.

მაშ ასე, იდგა ახალი წლის გრძელი ღამე. მიდამოს იმედებით სავსე ძილით ეძინა. ცა კი, ზეიმს განაგრძობდა. მთვარე და ვარსკვლავები ჯერ ხომ არ დაიძინებდნენ? ახლა მათი დრო იყო.

საინტერესოა, სახლიკო რას მოახერხებს?

დილიდან, გაღვიძებულმა, კაჭკაჭი დაასაქმა. ჭერში ჩამოკიდებული ყვავილების დაუზიანებლად ჩამოხსნა სხვას ვის შეეძლო?

- სანამ ბუდისკენ გაფრინდები, მომეხმარე, რასაც მაღლა ხედავ, ყველაფერი ჩამოგვაწოდე.

- უნდა გადაყარო? ვალაგებთ ამ ზეიმის დროს? – კითხულობდნენ ბინადრები.

- აბა, ლალალა, გუნდა! კაჭის „ტვირთი“ ჩამოართვით და ჩახჩახას მიუტანეთ. შენ კი, უკარება ფისუნია, ფუმფულა კუდი გადაუსვი და მტვერი მოაშორე, - ხელმძღვანელობდა პატარა სახლი.

- მიაუ! – გაიზმორა კატა, - ჯერ კიდევ მეძინება, მაგრამ რადგან შენ გჭირდება, დაგეხმარები.

- მე კი არა, ყველას გვჭირდება, გოგონასათვის საერთო საჩუქარს ვამზადებთ! გავახაროთ, კარგი? ჯერ ადრიანი დილაა, მის მოსვლამდე უნდა მოვასწროთ.

აურზაური ატყდა. ეს ამბავი ყველას მოეწონა, მხოლოდ, ვერ გაეგოთ, გამხმარ ბალახებს და ყვავილებს ასეთი საპატიო მისია რატომ დაეკისრა?

- მიმალულ-მიყუჩებული რომ არის, ბატონი ხის ჭია, ყველაფერი იმის გამოგონილია. მთელი ღამე არ დამაძინა და ასეთი სისულელე მოიფიქრა, - არ ისვენებდა ჭიანჭველა, - აგიხსნათ ერთი, რა უნდა?!

- ახლა მთავარია, ერთად მოვათავსოთ, გავალამაზოთ. გთხოვთ, მოინდომეთ! აი, ნახავთ, რომ სიძველეც შეიძლება იყოს მშვენიერი, - იხვეწებოდა სახლიკო.

ამ სურვილმა ყველა გააერთიანა. საქმიანობის შედეგმა კაჭი დიდად დააინტერესა, ამიტომ დარჩა და გულმოდგინედ შრომობდა. გამხმარი ყვავილების კონებს, დაწნულ გვირგვინებს ჯერ ნისკარტით ჭერიდან ფრთხილად ხსნიდა, მერე ძაღლებს აწვდიდა. ისინი პირს ავლებდნენ და კატასთან მიჰქონდათ, რომელიც ფუმფულა კუდით მტვერს აცლიდა. მისივე კუდით გაპრიალებული სპილენძის თუნგი ნელ-ნელა ივსებოდა, როცა უკანასკნელი ყვავილი მოთავსდა, ზემოდან დაწნული გვირგვინებიც დაადეს. მშვენიერი გამოვიდა.

- საქმე ჯერ კიდევ არ დამთავრებულაო! - შესძახეს ბაბაჭუებმა, რომლებიც გოგონას დიდად უმადლოდნენ ნახელავი რომ არ გაუფუჭა, სხვადასხვა კუთხიდან დაეშვნენ და თაიგულს ჰაეროვანი, მოციმციმე ქსლის საბურველი შემოახვიეს, იდუმალება შესძინეს.

- ამას ვინ ელოდა?! – წამოიძახეს სახლიკოს ბინადრებმა. ისინი სუნთქვაშეკრულნი, გარინდებულები შესცქეროდნენ თვალწინ დაბადებულ ამ საოცრებას და გოგონაზე ფიქრობდნენ, - ალბათ, როგორ გაუხარდებაო?

მართლაც, თაიგული უცბად აბრიალდა და მათ ცხოვრებაში შეიჭრა. თვით ტოტებგაშლილი, ბრჭყვიალა ნაძვის ხეც კი მოიხიბლა. აი, ყვავილებმა უკვე მოიტანეს სითბო, სიხარული, სიკეთე. აქედან ბედნიერებამდე არც ისე შორსაა.

ზღაპრული დღე, გოგონა განცვიფრებულია

ახალი წლის ზღაპრული დღე დადგა. ჰოდა, გოგონამ იარა, იარა და სახლიკოსთან მივიდა. სრული სიჩუმე შეეგება. გაკვირვებულმა კარი შეაღო და იქვე გაჩერდა. შიგნით, ოთახი მთლიანად გაბრწყინებულიყო. გაოცებულმა კარს მიღმა დარჩენილ თეთრ სივრცეს გახედა. ნამდვილად ზამთრის ცრიატი დღე იდგა. მზის ერთი სხივიც არ კიაფობდა. ისევ შემობრუნდა და რა დაინახა? ყვითლად ანთებულ სივრცეში, მტვრის ფერადი ფარდის მიღმა, ულამაზესი თაიგული ელვარებდა. ჰო, ყველაფერი ისევ ისე იყო, მხოლოდ ძველ თუნგში, ახლა, მთელი ქვეყნის სილამაზე ჩატეულიყო. მზე, მთვარე, ვარსკვლავები, წყაროები, ნაკადულები, ჩიტები, ცისარტყელები, - ყველაფერი, ყველაფერი. მონუსხული იდგა გოგონა. ასე ძლიერ განცვიფრებული ბავშვი არასოდეს ენახათ. ხმას ვერავინ იღებდა. არადა, დილიდან, ყველა ამ წუთს ელოდა, უნდოდათ, საჩუქარი ჟრიამულითა და ყიჟინით გადაეცათ.

- ეს ყვავილები ხომ ვიცი, მაგრამ ასე ვინ გაალამაზა? - როგორც იქნა დაილაპარაკა მან.

- ჩვენ, გოგონა, ჩვენ! ეს დაგვიანებული საახალწლო საჩუქარია შენთვის, ყველასგან! – ძლივს გაბედა პასუხი კაჭიმ.

- როგორ მომწონს, რა მშვენიერებაა! დიდი მადლობა! ძალიან, ძალიან გამახარეთ! - აღფრთოვანებას ვერ მალავდა გოგონა, ამგვარმა ყურადღებამ გააბედნიერა, - თანაც, ყვავილები ჭერში კი არ იქნებიან მიმალულები, ჩვენ შემოგვიერთდებიან, აქაურობასაც დაამშვენებენ!

- უსარგებლოდ არც იქ ეკიდნენ, - მოულოდნელად ჩაერია ხის ჭია.

- რას აკეთებდნენ? - დაინტერესდა ბავშვი.

- მოგონებებს ინახავდნენ, წარსულს სდარაჯობდნენ. გასართობი რამ არ გეგონოს, ახლოს მიუჯექი ხოლმე, ყურადღებით უსმინე. ძველ ამბებს შენც მოგიყვებიან. დარწმუნებული ვარ, სწორედ ისა ხარ, ვინც ეს საჩუქრი დაიმსახურა.

- გოგონა ყოველივე საუკეთესოს ღირსია! – ერთხმად შესძახეს მეგობრებმა.

- ვხვდები, საიდუმლოსაც გამიმხელენ, მზადა ვარ ამისთვის, - სერიოზულად თქვა ბავშვმა.

- ყველაფერი გესმის, ჩემო კარგო, პატივს ამიტომაც გცემ, - განაგრძო კედლის ბინადარმა, - მაგრამ ნუ აჩქარდები, საახალწლო ორომტრიალში ყურადღების მოკრება რთულია. ჯერ გაერთე, იმხიარულე, ყვავილებს მოგვიანებით მიაკითხე, როცა მშვიდად იქნები. საიდუმლო კი მოიცდის, თავის დროს დაელოდება. ის ხომ მხოლოდ ერთხელ უნდა გამოჩნდეს.

ბავშვმა, რა თქმა უნდა, დაუჯერა ბრძენ მეგობარს. ცოტა ხანს კიდევ დარჩა, თაიგული ახლოდან გულდაგულ დაათვალიერა, მერე შინ წავიდა. დიახაც, მართალი იყო ხის ჭია, დრო სულ არ ჰქონდა, ისევ სტუმრებს უნდა დახვედროდა.

...

უცნაური "სათამაშო" ვეებას სახურავზე

და გრძელდებოდა ზეიმი. საღამოობით სტუმრები კვლავ და კვლავ იყრიდნენ თავს. იდგა ახალი წელი: მშვენიერი, მხიარული, უცნაური, სასიამოვნო ამბებით სავსე. ერთ დილას დიდმა სახლმაც მიიღო საჩუქარი. მამა სხვენიდან სახურავზე ავიდა და ყველაზე მაღალ ადგილას პრიალა ფლუგერი დაამაგრა, - ეს ჩვენგან! ამიერიდან, უფრო საინტერესო ცხოვრება გექნება. ახალი მეგობარი შემოგემატა, მგონი ისე გაგართოს, საქმისთვის ვეღარც მოიცალო. უცქირე, როგორ იტრიალებს ქარში, მეც ოცნებას ავისრულებ, რადგან უკვე ყოველი დღე ბედნიერ ბავშვობას და იმ ჯადოსნურ ამბებს გამახსენებს, რომელთა არსებობისაც მაშინ მჯეროდა. მათ შესახებ არავისთვის მიამბნია, არც ახლა ვსაუბრობ, ეს ჩემი საიდუმლოა.

- გმადლობ, ჩემო პატრონო, - გაეპასუხა სახლი, - გაიხარეს ჩემმა კედლებმა, ჭერი ამაღლდა. ჩვენ ერთნი ვართ და მუდამ ასე ვიქნებით.

დედა ჩაფიქრებულ მამას ქვემოდან შესცქეროდა. ბავშვი "იმ სათამაშოს" აკვირდებოდა. კაჭიც ამ დღეში იყო.

- მაინც რა არის, რა? – გიჟდებოდა ის. ბუდეში ჩასაფრებული, სახურავს თვალს არ აშორებდა. ცნობისმოყვარეს და ჭკვიანს გულით უნდოდა, ვეება საჩუქრით კმაყოფილი დარჩენილიყო. ეს მისი მომავალი ცხოვრებისთვის იყო საჭირო.

იქნებ, თქვენც არ იცით, რა არის ფლუგერი? ეს ქარის მიმართულების გამომცნობი ხელსაწყოა, მის მოახლოებას გრძნობს, ოდნავ წამობერვაზეც კი ტრიალებს, მიგანიშნებთ, რომელი მხრიდან უნდა ელოდოთ გრიგალს თუ ქარიშხალს, მაგრამ მხოლოდ ამის ცოდნა სიმშვიდეს ვერ მოგიტანთ, რადგან არავინ იცის ქარს თან რა მოჰყვება...

ასე მოხდა მამას ბავშვობაში, მაგრამ მას, ამის შესახებ, არასოდეს არავისთვის უთქვამს. იმ ქალაქში, სადაც პატარაობისას ცხოვრობდა, თითქმის ყოველ მეორე სახურავს ამგვარი ხელსაწყო ამშვენებდა. მისი სახლი, რატომღაც, იმ მეორეთა რიცხვში არ

იყო. იქნებ, ასე ძალიან იმიტომაც მოსწონდა მათი ტრიალი? თანდათან უცნაური ჩურ-ჩულიც გაარჩია, ქარების მოტანილი ჩურჩული, რომელიც, თითქოს სხვას არავის ესმოდა ან იქნებ არავინ ამხელდა? ჩურჩული მთელ ქალაქში ვრცელდებოდა და სხვა-დასხვა ამბებს ჰყვებოდა. ბავშვს უნდოდა, დაემახსოვრებინა ისინი და ხალხისთვის მოეთხრო, მაგრამ მათ დასასრული არ უჩანდა. ის კი უსმენდა, უსმენდა და იზრ-დებოდა. დიდობასთან ერთად, მოყოლილი ამბების მოსმენის უნარი დაკარგა, თან-დათან ყველაფერი ჩვეულებრივი გახდა და ჩურჩულიც სადღაც გადაიკარგა. მას შემ-დეგ, ლამაზი ისტორიებით სავსე ბავშვობას მხოლოდღა იხსენებდა და ოცნებობდა, ფლუგერიანი სახლი ჰქონოდა. ჰოდა, იპოვა ეს მშვენიერი, შეიძლება ითქვას, ჯადოს-ნური ადგილი, დასახლდა და ნატვრა სინამდვილედ აქცია. ახლა უკვე მისი დიდი სახლის სახურავზეც პრიალებდა ლითონის ხელსაწყო და, ვინ იცის, რამდენ უამინ-დობასთან შესახვედრად მედგარად ემზადებოდა?

ფლუგერის გამოჩენას ყველა სხვადასხვანაირად შეხვდა

- ვითომ ლამაზია?! მაგან თუ არ მითხრა ქარი საიდან ქრის, მე ვერ მივხვდები? - ფიქ-რობდა კაჭი.

- მის ქვეშ ერთხელ წამოწოლას როგორ ვერ მოვახერხებ, მაგრამ ჯერ თოვლი უნდა დადნეს, ზამთარი გავიდეს, - კრუტუნებდა კატა.

ლეკვი უყეფდა. დედიკო ძაღლს უხაროდა. მიდამო შეჰყვარებოდა, ამიტომ, რაც მე-ტი კარგი რამ ხდებოდა, სიამოვნებდა.

ჭიჭის ეს ამბავი არც აინტერესებდა, - კიდევ კარგი, აქ არ შემომისახლდა, გადავ-რჩიო.

- მეგონა, მისი ცქერით თვალები დამეღლება-მეთქი, ეს არც იძვრის, - ელაპარაკებოდა თავის თავს ტყისპირი.

- ნეტავ, კეთილ ქარებს გამოგვიგზავნის თუ ბოროტს? – ფიქრობდა სახლიკო, - ჩემს ნაცნობ ქარებს გზას ხომ არ ააცდენს? ამ სიხარულის დროს არაფერი დამმართოს.

დიდი სახლი ხშირ-ხშირად ახედავდა საჩუქარს, რომელიც, ჯერჯერობით, ვერ არ-თობდა, მაგრამ გულს მაინც სიხარულით უვსებდა.

აი, თვითონ ფლუგერი რას ფიქრობდა, არავინ იცოდა. უნდოდა კი მას მეგობრობა?

ამ მითქმა-მოთქმასა და თვალის დევნებაში არ მონაწილეობდა პატარა ბაღი. ზეიმის შემდეგ, გვარიანად დაღლილს, ზამთრის ძილით ჩასძინებოდა. გაიღვიძებს და დახ-ვდება სიახლე, რომელიც განაცვიფრებს. ეჰ, ჯერ რამდენი რამ არ იცის. არც ის, თუ რა მშვენიერია მოულოდნელი, სასიამოვნო განცვიფრება. თვითონ სიტყვაც ლამაზია, თითქოს, რაღაცას გპირდება; ასეა, ასე!

გოგონას ბევრი რამ აინტერესებს, ხის ჭია მის კითხვებს პასუხობს

დრო გადიოდა. ბავშვი ახალი წლის მხიარული დღეებით ცხოვრობდა, მაგრამ საჩუქარი არ ავიწყდებოდა, ახსოვდა, ფიქრობდა მასზე და ელოდა, საიდუმლოს ფარდა როდის აეხდებოდა. არც ის გამოჰპარვია, მამა სახურავზე დამაგრებულ ფლუგერს თბილი მზერით ხშირ-ხშირად რომ გაჰყურებდა.

- მგონი, მამიკომ ეს დიდი სახლი, ამ ციცქნა ხელსაწყოსთვის ააშენა, - უთხრა ერთხელ გოგონამ დედიკოს.

- საინტერესო აღმოჩენაა, – თქვა დედამ.

- თითქოს გადასხვაფერდა. როგორც მივხვდი, ხანდახან, ერთი რომელიმე ნივთი ყველა დანარჩენს გირჩევნია. ხის ჭიას უნდა ვკითხო, რა არის ამის მიზეზი? პასუხს მხოლოდ ის გამცემს.

- ვინაიდან ძალიან ჭკვიანია არა? - გაეცინა დედას.

- თან რაღაცნაირიც! – სერიოზულად უპასუხა ბავშვმა.

- გინახავს?

- მაგას ვინ დაინახავს? შორიდან ვიცნობ, ჰაჰაჰა, - გადაიკისკისა გოგონამ.

მეორე დღეს, იგი ადგა და სახლიკოსთან მივიდა.

- ბრძენთან მაქვს საქმე, სახლშია? – ხუმრობით იკითხა შესვლისთანავე.

- სახლშიც ვარ და გულისყურითაც გისმენ! – იმწამსვე იყო პასუხი.

- საით ბრძანდებით? – ბავშვი ჯერ ერთ კედელს მიადგა, მერე მეორეს.

- რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ყველაფერი მესმის.

- მინდა შეგატყობინოთ, რომ დავმშვიდდი. დროა, საჩუქარს გავესაუბრო, მანამდე კი, ერთი რამ მაინტერესებს. აი, სულ ცოტა ხანია, რაც მამამ დიდ სახლს ფლუგერი უყიდა. შევამჩნიე, ეს „სათამაშო“ გამორჩეულად უყვარს, აინტერესებს. შეგიძლიათ, ამიხსნათ, რატომ?

- რა თქმა უნდა, - მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ჭიამ, - ჯერ ერთი, სიყვარული დიდი ხნის ნაცნობობით სულაც არ იზომება, თანაც მამას, შეიძლება, ამგვარი ხელსაწყო ადრეც ნანახი ჰქონდა, მოსწონდა, მასზე ფიქრობდა, სავარაუდოდ დიდხანს. მერე, როცა სახლი ააშენა, ამ ნივთის დროც მოვიდა. მოიტანა, დაამაგრა და ახლა შეჰხარის. სულერთია, რაიმე ნივთი გაქვს, თუ მისი ფლობის სურვილს მხოლოდ გონებაში, გულში ატარებ. ის მაინც შენთანაა, შენი ნაწილია. ამათგან, ზოგი უცხოო-

ბით გიზიდავს, ზოგი საყვარელ მოგონებას ინახავს, ერთი ცხოვრების გზაზე მოგ-ყვება, მეორე კეთილ ბავშვობაში გაბრუნებს; - ყველა შემთხვევაში ბედნიერი ხარ. მგონია, ის „სათამაშო," როგორც შენ ეძახი, სწორედ ასეთი რამაა.
- კიდევ გამიჩნდა კითხვა. აი, თუ უფროსი კი არა, ჯერ ბავშვი ხარ, საყვარელი ნივთი ხომ მაინც შეიძლება გქონდეს?
- როგორ არა, მაგალითად ის, რომელიც კარგად გართობს ან ღამით ტკბილად გა-ძინებს.
- ეს ნაჩუქარი თაიგულიც ასეთივეა. ალბათ, ჩემს პრანჭია თოჯინებზე მეტად შემიყ-ვარდება. ბატონო ხის ჭია, ყველაფერი კარგად გავიგე, თქვენ ეს შესძელით.
- გონიერი და კეთილშობილი ხარ, ამიტომაც გვიყვარხარ!
- მეე? - გოგონა შექებით გაოცებული დარჩა.

ჭიჭი საუბარში ჩაერია და დატუქსეს

- დიახ, ასეა! შენ ერთადერთი ხარ! – ჩაერია მოუთმენელი ჭიანჭველა, - აბა, მიმალუ-ლო! მითხარი, როგორ გგონია, სხვა ბავშვებსაც შეუძლიათ, მისნაირი გახდნენ?
- შეუძლიათ, მაგრამ ამისათვის, ბოლომდე სიკეთით უნდა აივსონ, ეს კი ძალიან ძნე-ლია. აი, თუნდაც შენ! - გამოეპასუხა ხის ჭია.
- რა მე?
- დღედაღამ ჯიჯღინებ, სულ უკმაყოფილო ხარ.
- არაფერიც, თქვენ ჩემს კეთილშობილებას ვერ ხედავთ. სახლიკოს უერთგულესი და უძველესი მეგობარი ვარ. ამ ორომტრიალშიც არ მივატოვე, ვდარაჯობ. გოგონას გუ-ლისთვისაც ყველაფერს გავაკეთებ. განა, ამათი ხათრითა და სიყვარულით არ ვუძლებ ამდენ გადამთიელს? ვცხოვრობ ჩემთვის, სივიწროვეში. მეტი რა ვქნა? ყველას ვერ შევიყვარებ!
- აკი გითხარი, ძნელია-მეთქი!
- სინამდვილეში კეთილია, უბრალოდ ჯიუტობს, - გაამართლა გოგონამ ჭიანჭველა.
- ოჰ, პატარავ, როგორ ვამაყობ შენთან მეგობრობით! – ჩაიჭრიალა ხის ჭიამ.

გოგონა თაიგულს ესაუბრება

მერე ბავშვმა ძაღლებს მიუალერსა, კატა ხელში აიყვანა და საჩუქარს ფრთხილად მიუახლოვდა. ყველა დაიძაბა. ნუთუ, დრო მოვიდა? ნუთუ, გოგონა ყველაფერს გაი-გებს?
- ჩემო კარგებო, მოიწყინეთ? ლოდინით დაგღალეთ?
- მოვიწყინეთ? რას ამბობ, აქ ყოფნას რა სჯობს?! თანაც, მოგონებებს გადავხედეთ, შევემზადეთ, - გულღიად შესცინეს ყვავილებმა, აცქრიალდნენ.

- სად ცხოვრობდით? საიდან მოხვედით?
- აქვე, პატარა მდელოზე ვიზრდებოდით, ვიშლებოდით და ვყვაოდით, მწვანე ბალახში გარეულები, მიდამოს ვალამაზებდით. ეს გვირგვინებიც ლურჯი ცის ქვეშ დაწნეს. ყვითელი მზე დაჰყურებდა გაოცებული, ჩემზე ლამაზები ხომ არ არიან, მეც ხომ არ შემოვივლო თავზეო.
- ამ სახლში როგორ აღმოჩნდით?
- შენისთანა პატარა გოგონასთან და მის დედიკოსთან მოგვიყვანა ოჯახის უფროსმა, მამიკომ, რომელიც ძალიან გვიყვარდა!
- რას მეუბნებით?! აქაურობა სხვას ეკუთვნოდა? არა, არ მჯერა!
- აბა, სახლიკო საიდან გაჩნდა, მას ხომ ადამიანის გარდა ვერავინ ააშენებდა? - ფრთხილად ჩაერია ხის ჭია, მიხვდა, ბავშვი განიცდიდა, ნერვიულობდა, - დიახ, აქ ადრე სხვები ცხოვრობდნენ და მათ შესახებ აუცილებლად უნდა გაიგო. არ გვინდა რაიმე დამალული გვქონდეს შენგან.
- მერე, ხის ჭია, მერე?! - შესძახა გოგონამ.
- ასე და ამგვარად, - დაიწყო მანაც ზარზეიმით, - ამ საჩუქრის დახმარებით გადავწყვიტეთ, საიდუმლოს ფარდა ავხადოთ, აქამდე დაფარული, მივიწყებული ძველი ამბავი გამოვაჩინოთ. მთხრობელად თაიგული ავირჩიეთ. ყვავილები გულღიანი არიან, ცნობისმოყვარენიც, ბევრ რამეს ამჩნევენ, იმახსოვრებენ. განა ჩვენ შევძლებთ მათსავით ლამაზად ვისაუბროთ? განა, ჩემი და სახლიკოს ჭრიალი თუ ჭიჭის წრიპინი მათ ჩუმ შრიალს და მითქმა-მოთქმას შეედრება?

ყვავილები ძველ ამბავს ჰყვებიან; მეტყევე და მისი ოჯახი

- გოგონა და მისი მშობლები კარგა ხნის წინათ ცხოვრობდნენ აქ, - განაგრძეს ყვავილებმა მიეთ-მოეთი, - სახლიკო, ასე ძალიან რომ მოგწონს, ლამაზი მაშინ იყო თუ იყო. მუდამ მხიარული დიასახლისი მას აკრიალებდა, უვლიდა. მთელი დღე დაუღალავად შრომობდა, საღამოსკენ კი, გემრიელი სადილით, მამას ელოდებოდა. ტყისმცველი ძალიან დიდ საქმეს აკეთებდა, - მიდამოს უვლიდა. ტყის ბილიკებზე დააბიჯებდა, ხეებს ეკითხებოდა, - აბა, როგორ ხართ? ხომ არაფერი გაწუხებთო? ყურს უგდებდა და თუ საიდანმე, რომელიმე მათგანის კვნესა მოესმებოდა, უმალვე იქ გაჩნდებოდა, ჭრილობას შეუხვევდა, ჭიას, მავნე მწერს მოაშორებდა. ფუღუროებს ალაგებდა, სოროებს, ბუნაგებს ამოწმებდა, - ხაფანგი ხომ არ დააგესო. მას მთელი ბუნება სიხარულით ეგებებოდა, დღის ბოლოს კი, სახლისკენ მიმავალს, კვლავ შეხვედრის იმედით ემშვიდობებოდა. რა ეშველებოდა მიდამოს უიმისოდ? უგულო, უვიცი, ხეპრე დაეპატრონებოდა და, ვინ იცის, ბოლოსაც მოუღებდა. მამა შინ დაღლილი, მაგრამ ბედნიერი ბრუნდებოდა. დედიკოსთვის ყოველთვის ყვავილების ლამაზი თაიგული ან გვირგვინი მოჰქონდა, შვილს უყვებოდა, რამდენი ხე გადაარჩინა, ასწავლიდა, -

შენც ასევე უნდა მოიქცე, აქაურობა შეიყვაროო. მერე ოჯახი, უკვე ვახშმად გადაქცეულ სადილს გემრიელად შეექცეოდა და თბილ ჭერქვეშ ტკბილ ძილს მიეცემოდა. მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ მეფურად ცხოვრობდნენ. მაშინ სახლიკო უზომოდ ბედნიერი იყო. სილამაზით ყველა სახლს სჯობდა. ღამღამობით, სუსტად განათებულს, სიხარული ისე ასხივოსნებოდა, თვალისმომჭრელი სასახლე გეგონებოდა. აი, ადრე აქ რა ხდებოდა.

- ასეა, ჩემო კარგო, - ჩამოწოლილი სიჩუმე ხის ჭიამ დაარღვია, - ყველას და ყველაფერს თავისი წარსული აქვს, უფრო სწორად, თავისი იდუმალება. თუნდაც, იმ ფლუგერს, ასე რომ გაინტერესებს. ის შენი მამიკოს საიდუმლოა. რაც შეეხება წარსულის ამბავს, ეს მონათხრობი შენთვის ძალზედ დამაფიქრებელი უნდა იყოს, მე ამის მჯერა, - დაასრულა მან.

დამაფიქრებელია? გოგონა გულდაწყვეტილი და აფორიაქებულია

გოგონა ჯერ ვერ გამორკვეულიყო. ამ ამბავმა რაღაც უცნაური გრძნობა აღუძრა, შეაშფოთა.

- სახლიკო! შენ ეს ყველაფერი იცოდი, დამიმალე? თუ მაშინ პატარა იყავი და აღარაფერი გახსოვს? ჩემი სახლიკო აღარ იქნები? – თითქმის ტირილით შესძახა ბავშვმა.

პატარა სახლმა, თავისი საყვარელი მეგობარი ამ დღეში რომ დაინახა, გულგახეთქილმა, სასწრაფოდ დაწყნარება დაუწყო, - დამშვიდდი, ჩემო გოგო, დამშვიდდი, მე ისევ შენი სახლიკო ვარ და მუდამ ვიქნები, - ეხვეწებოდა ის, - არც არაფერი დამვიწყნია. ადრე, დიდი ხნის წინ, ასეთივე უღრანი ტყე მშვენიერ ჩიტებს აფრთიანებდა, მათი ჭიკჭიკი გარემოს ახალისებდა. ეზოში მაცოცხლებელი რუ დაჩუხჩუხებდა. ზღარბი, თხუნელა, ბინადრობდა. ეს მშვენიერი მწვანით მოსილი ადგილი ჩემი პატრონის დაუღალავი შრომით არსებობდა და იფურჩქნებოდა. შემდეგ, უცხო, უსულგულო ადამიანები გამოჩნდნენ. ტყეს მიადგნენ და ჭრა დაუწყეს. უმოწყალოდ კაფავდნენ. ბევრი იბრძოლა კეთილმა ტყისმცველმა, გაჩანაგებული ხეების ნაცვლად ახლებს რგავდა, მაგრამ ასე უცბად ნერგები როგორ გაიზრდებოდა ან ამდენ დანაკლისს რა შეავსებდა? ნელ-ნელა რუც დაშრა, მიდამო თითქმის დაიღუპა. მეტყევე და მისი ცოლშვილი აიძულეს მიდამო დაეტოვებინათ. მათ კარი გამოკეტეს და, ვინ იცის, საით გადაიხვეწნენ. ალბათ, სხვა მხარეში, სხვა სახლში დაიდეს ბინა, აქედან შორს. მე იქ ხომ ვერ ჩავიდოდი? მაინც იმედით ველოდი. დრო კი გადიოდა. დაღონებული ვიდექი ეულად. იცი, სახლებს უჭირთ მარტო ყოფნა, ადამიანები სჭირდებათ, თავისი ბინადრები. მინდოდა, თბილი ბუხარი მქონოდა. თანდათან მივხვდი, მათ ვეღარ დავიბრუნებდი. ჰოდა, მოგონება ჩემთვის შევინახე და ლოდინი ახლა სხვას დავუწყე. შენი მოსვლით ასე ამიტომაც გავიხარე. სიცოცხლე, ბედნიერება დამიბრუნდა. შემიყვარდი. გჯეროდეს, ჩემს პატრონებს ყოველთვის მოვიგონებ! გოგონა, ადამიანის ხე-

ლების სითბო, მეტყევის მოსიყვარულე გული და ერთგულება რომ არ დაგვეფასებინა, შენს ოჯახს ასეთი სიხარულით როგორ მივიღებდით? ბუნება არაფერს ივიწყებს, მით უმეტეს, სიკეთეს. ის მადლიერია. გესმის ჩემი? ოღონდ, ყველანი გთხოვთ, არ დაფრთხე, არ მიგვატოვო! - გულუბრყვილო სახლიკო, პასუხის მოლოდინში, შიშით გაინაბა.

- მე არსად წავალ! თითოეულ ფოთოლს მოვუვლი, არავის მივცემ უფლებას, ზიანი მოგაყენოთ!

ყველა ჩუმად იყო, თვით ჭიჭიც, ისევ ბრძენმა ხის ჭიამ შეძლო, როგორღაც, ხმის ამოღება. - ახალი წლის დღეებია, ჩვენ კი მეგობარი დავანაღვლიანეთ. ჯობს, დავისვენოთ. წარსულზე საუბრის, მოგონებების დრო კიდევ დადგება. მანამდე ერთად ვიყოთ, ისევ გავმხიარულდეთ, რადგან წინ ათასი კარგი რამ გველოდება.

- ბედნიერი ვარ, რომ მენდეთ, გმადლობთ. აღარ გავჯიუტდები, დაგიჯერებთ, ისევ თქვენი მხიარული გოგონა გავხდები, მაგრამ ახლა წავალ, უნდა ვიფიქრო, ნახვამდის. დაველოდოთ მეორე დღეს, - გოგონამ ყველას ხელი დაუქნია, კარი შეღებული დატოვა და ბილიკს დაფიქრებული დაადგა.

ვეება შეშფოთებულია, არ იცის ბავშვს რა აწუხებს

შინ დაბრუნებული თავის ოთახში განმარტოვდა. სათამაშოებს მიუახლოვდა, - ვინ იცის, ესენიც, დიდი ხნის მერე, სხვას მოუყვებიან ჩემ ამბავს. ოჰ, რა ნაღვლიანია ეს ყველაფერი, - ფანჯარას აეკრა, გაირინდა.

დიდი სახლი შეშფოთდა, ბუხარში ცეცხლი ააგუზგუზა, - რა მოხდა? ყოველთვის ხალისიანი ბავშვი ასე რამ გამოცვალა? ვიცი, ნასახლარი არაფერს დაუშავებდა, აბა, რაშია საქმე? თვითონ იმას ხომ არ დაემართა რამე? – რატომღაც ეწყინა, - კარგად იყოს, რას მიშავებს, მჯობია თუ რა? ის თავხედი ფრინველი მაინც მოვიდოდეს, ჯინაზე ახლა გადაიკარგება.

გასაოცარია, თქვა თუ არა ეს, კაჭიც გამოჩნდა, სახლიკოსკენ მიფრინავდა. ვეებას განზრახ ახლოს ჩაუქროლა, რომ გაემწარებინა და, ამ დროს, ფანჯარასთან მიყუჟული ბავშვი შენიშნა. საჩქაროდ რაფაზე დაეშვა.

- გოგონა, რას მოწყენილხარ? წამო, ნაძვის ხის გარშემო ვითამაშოთ.

- არა, არ შემიძლია, აქ მინდა ყოფნა, - ამოისლუკუნა პატარამ.

- კარგი, თუ დაგჭირდე, დამიძახე, მოვფრინდები, გაგართობ, - უთხრა ფრინველმა, მეტი ვეღარ შებედა.

- აჰა, ამანაც არაფერი იცის, - სახლს იმედი გადაეწურა, - თვითონ უნდა მივხვდე. მგონი, რაღაც გაიგო, იმიტომაც არის დაფიქრებული, - მას გული შესტკიოდა, ვერაფერს შველოდა და ეს ამწუხრებდა.

კაჭიც გაოცებული დარჩა. სასწრაფოდ სახლიკოსკენ გაფრინდა, - იქ ეცოდინებათ, რაც მოხდაო.

- რა მოხდა, რა მოგივიდათ?! რამე გამომეპარა? ახლავე ყველაფერი გამაგებინეთ, ტყისპირს და ვეებასაც უნდა შევატყობინო, ხმა ამოიღეთ! - ერთი ამბავი დააწია ფრინველმა, მაგრამ იქ მყოფთა ალაპარაკება ადვილი არ აღმოჩნდა.

ყველა ჩაფიქრებულიყო: კარგი ქნეს, გოგონას თაიგული რომ აჩუქეს? საჭირო იყო ამ საიდუმლოს განდობა? იქნებ, სწორად არ მოიქცნენ? ბავშვს ახალი წლის სიამოვნება ჩაამწარეს. შეიძლება, პატრონების მოგონებით, სახლიკოც დაანაღვლიანეს.

კაჭიმ წვალებით, მაგრამ მაინც გაიგო, რაც მის არყოფნაში მოხდა და ძალიანაც გაბრაზდა.

- ბავშვს რატომ აწყენინეთ? რაში დაგჭირდათ! ვითომ ეგ ამბავი ასეთი იდუმალი რითია? სახლში ყოველთვის ვიღაც ცხოვრობს, ცარიელი არც ეს იქნებოდა, ცხადია. დედამამამ ეგ ყველაფერი თქვენს უთქმელადაც იცის. ერთი ამათ დამიხედეთ, საქმე გამოძებნეს! ის მაინც გცოდნოდათ, სადმე ოქროსფერი მძივები თუა გადანახული. აი საიდუმლო, აი საინტერესო! - ჩხუბობდა, თითქოს, ძველი ხასიათი დაბრუნებოდა. მართლაც, როგორ არ აღშფოთებულიყო? საქმე უკვე კარგად მისდიოდა, საჩუქრებიც მიიღო და ყველაფერი ახლა უნდა არეულიყო?

- რას მიედ-მოედები! – შეუტია ხის ჭიამ, - არაფერი გესმის! ჩვენ გოგონა მივიღეთ, დავიახლოვეთ, ამდენი ხნის გულისნადები გავანდეთ: როგორ ვცხოვრობდით, ვინ ან რა გვიყვარდა, ახლა რისი მოლოდინი გვაქვს, რაზე ვოცნებობთ. სწორედ ესაა საიდუმლო, გაუმხელელი და ძვირფასი, რომელიც გასაზიარებლად არავისთვის გემეტება. იმ ერთს ელოდები, რჩეულს, ვისაც ჩააბარებ და ვინც მიხვდება, მისთვის რა გაიღე. ელოდები იმას, ვისთვისაც ამ ყველაფერს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აბა, რამეს მაინც მიგახვედრე?

კაჭის ჩხუბი არ უნდოდა, არც ის, რომ მისთვის უგრძნობი, გაუგებარი ეწოდებინათ. გამოსწორების გზაზე იყო დამდგარი და ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებას აპირებდა, ამიტომ კამათი აღარ დაუწყია.

- ამ ღამითვე დავფიქრდები იმაზე, რაც მითხარი, დილისთვის უკვე გასაგები იქნება, ამისათვის აქ დავრჩები, - გადაწყვეტილება მიიღო მან.

თანდათან ყველა მიჩუმდა. სიმშვიდემ დაისადგურა. ეჰ, ვინ იცის, ეძინათ კი?

კაჭი ძელსკამზე ჩამოსკუპებულიყო, - თვალს არ მოვხუჭავ. მეგობრები დარდობენ, რა ვიცი, რა დასჭირდებათ, უნდა მივხედო, - ჩაილაპარაკა და იმწამსვე ხვრინვა ამოუშვა, თუმც დიდხანს ძილი არ დასცალდა, რადგან ძირს ჩამოვარდა.

- არა, ჩემი ბუდე მაინც სულ სხვაა, - ჩაილაპარაკა გულგახეთქილმა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა.

- ადრე ასეთი მარცხი არ მოგსვლია! – დაცინვით გასძახა ჭიჭიმ, რომელსაც ეს ამბავი არ გამოჰპარვია. მაინც ფრთხილად იყავი.

ირგვლივ კი ღამე და ფიქრი იდგა. გოგონა თვალებგახელილი იწვა.
- ნუთუ ასეთი მძიმეა დარდი? ცოტა ხნის წინ რა გახარებული ვიყავი. ვუთხრა დედიკოს და მამიკოს? იქნებ, დამეხმარონ? ნეტავ, ის გოგონა სადაა? ეს ამბავი ზღაპარივითაა, ოღონდ ნაღვლიანი, მეტირება.

ღამე გრძელდებოდა, იწელებოდა. სადღაც, ბოლოში, განთიადი იცდიდა, ვისთვის იმედით სავსე, ვისთვის გამოუცნობი. მოქუფრული ციდან დაეჭვებულმა მთვარემ გადმოიხედა.
- რა დროს ეგ არის? ცივა, ჩათბი! – ღრუბლებმა ჩხუბი დაუწყეს.
- მოიცადეთ, ქვემოთ რაღაც ხდება, ვგრძნობ, - თქვა და ცაზე გამოცურდა, მიდამო მთლად გაანათა, თავის საყვარელ სახლიკოს დახედა. საეჭვო ვერაფერი შეამჩნია, ახლა ვეებას ფანჯრებში შეიხედა და მიხვდა, ბავშვს უჭირდა. გრძელი, გრილი სხივი გააგზავნა, გოგონას შუბლზე გადაუსვა და მშვიდად უჩურჩულა, - ნუ დარდობ, დამიჯერე, ყველაფერს ეშველება. ვიცი, რასაც ვამბობ. ოდესღაც, მარტოდმარტო დარჩენილმა სახლიკომ ჩემი დარიგება ყურად იღო და ხედავ, რა ბედნიერია დღეს, თავს რამდენი ახლობელი ახვევია. შენს წუხილსაც მოვერევით, დამშვიდდი.
- თაიგულმა სახლიკოს ძველი პატრონების შესახებ მიამბო, ამიტომ დავნაღვლიანდი. სიმართლეს ვიტყვი, გული მეტკინა, ჩემს საყვარელ სახლში სხვები რომ ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე, ის ოჯახი შემეცოდა, ჩემი მეგობარიც. მთვარევ! ეს ამბავი ასე უნდა დამთავრდეს? მუდამ მოვიწყენ ხოლმე, როცა მათ გავიხსენებ? შენ ხომ გულთმისანი ხარ, არაფერი იცი? გთხოვ, დამეხმარე, - ბავშვი თითქმის ტიროდა.
- დაუჯერებელია არა, სიყვარულით მოძღვნილმა საჩუქარმა, ამხელა ტკივილი დაიტიოს? იქნებ, თან იმხელავე ბედნიერება ახლავს? დაწყნარდი. იცოდე, გაგრძელება ყველაფერს აქვს და ამაში აუცილებლად დარწმუნდები. შენს ცხოვრებაში მომხდარი ყოველი ამბავი სიხარულით დაგვირგვინდება. მე ასე მსურს და ასე იქნება, - მიუგო მნათობმა.
- მართლა? მაშ, მიდამოს საიდუმლო აღარ არსებობს? მაგრამ იმ ხალხის, გოგონას ამბავი მაინც რომ მაინტერესებს? - ბავშვი თანდათან წყნარდებოდა. მთვარემ თავისი სიმშვიდე მოჰფინა.
- ეს ყველაფერი იყო და დასრულდა. ახლა შენ ცხოვრობ აქ. საიდუმლოს განდობასთან ერთად, კეთილი მოგონება გადმოგეცა. მიიღე და დაიტოვე. რაც შეეხება იდუმალებას, ის არ მთავრდება. გგონია ისე იცხოვრებ, ამის მეტ საკვირველს აღარაფერს შეხვდები? წინ ათასი საინტერესო თავგადასავალი გელის. ამბებს უნდა დახვდე, მიიღო და თავთავისი ადგილი მიუჩინო, მხოლოდ ამგვარად იზრდები, - არიგებდა ღამის გუშაგი, - აგერ, მეც ასე მოვიყარე ამხელა და კიდეც დავბერდი.
- პატარაც იყავი? - განცვიფრდა გოგონა.
- ეჰ, აღარც მახსოვს, - გაიცინა მთვარემ. ბავშვმაც მხიარულად გადაიკისკისა.

ამ დროს ღრუბლებმა ისევ ერთი ამბავი ატეხეს, - სად გაგვეპარე, გაცივდები, ახლავე მოდი!

- უნდა წავიდე, თორემ მთელი ბუნება აირევა, გაციებაც არას მარგებს. ნუღარ დარდობ! გჯეროდეს, ხვალიდან ისევ მხიარულ ცხოვრებას დაუბრუნდები. აბა, დახუჭე თვალები, - დაემშვიდობა მნათობი.

- კარგი, გიჯერებ, მაგრამ თუ დაიძინებ, გზებს როგორ გაანათებ? - ეჭვი შეეპარა გოგონას.

- ამაზე არ იღელვო, მე ღამის გუშაგი ვარ, ჩემთვის უჩინარი არაფერია, შენსკენ მომავალ მგზავრს თუ შევნიშნავ, აქაურობას იმწუთსავე ავალაპლაპებ. ჯერჯერობით, არავინ ჩანს, ცოტას დავისვენებ, - თქვა მთვარემ. ღრუბლებში გამოეხვია და ჩათვლიმა.

ეს საუბარი ტყისპირმაც მოისმინა და სახლმაც.

- ოჰ, ოჰ, ოჰ! აი, რა მოიტანა იქ სიარულმა! რა საჭირო იყო ამ ამბის ცოდნა? - აქოთქოთდა ვეება, - ისე, ნასახლარი ძალიან შემეცოდა, რამხელა დარდისათვის გაუძლია! მე რომ ამათ მიმატოვონ, დავინგრევი!

ასე გაილია ღამე. მეორე დილით გოგონა ადგა და, თითქმის მთელი დღე, ხმა არ ამოუღია.

ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი დღეები

თანდათან ჩამშვიდდა ახალი წელი. ნაძვის ხეებიც ცოტათი დაიღალნენ, ტოტები ჩამოუშვეს. პატარა ბაღს ისევ ეძინა. დედ-მამა მიდამოს იდილიით ტკბებოდა, სახლიკო საყვარელ ადამიანებთან ყოფნით. ვეება კიდევ უფრო გულმოდგინე გახდა, ბავშვს თავს ევლებოდა. ხის ჭია დარწმუნებული იყო, რაც მოხდა, სასწაულს უდრიდა, თან ძალიან უნდოდა, ეს გოგონასაც დაეჯერებინა. გოგონა მოწყენილი, დაფიქრებული დადიოდა. ითმენდა, ელოდა, საბოლოოდ, როდის მიატოვებდა ნაღველი. „იმ ხელსაწყოსაც“ ხშირ-ხშირად გახედავდა ხოლმე. მგონი, ადამიანები ამას არ ნატრობენ ან ძალიან იშვიათად, მას კი, უნდოდა, ყინულიან ქარებს დაებერათ, ფლუგერისთვის ერთი ამბავი დაეწიათ, ასე უმაქნისად რომ აღარ ელაპლაპა. აი, მამას, როგორც ჩანდა, სულაც არ ანაღვლებდა, რას მიომოქმედებდა მისი საყვარელი ნივთი. მთავარი იყო, ის სახურავს ამშვენებდა. ჰო, თაიგული? - ის, ძველებურად, ბრიალებდა, იმედს სახავდა. ერთად შეკრული ყვავილები იქაურობას შეჰხაროდნენ და ჩურჩულებდნენ, - ახალმა წელმა სიცოცხლე დაგვიბრუნა, განა ეს საოცრება არაა?

ლამაზი არაფერი

ზამთარი გრძელდებოდა. ერთ თოვლიან დილას კი, მთებიდან ჩამოსული ნისლი ეწვია მიდამოს. არა, ეს სიტყვა მის საქციელს ნამდვილად არ შეეფერება. იმიტომ, რომ ის არავის დაუპატიჟია. ჩუმ-ჩუმად შემოიზლაზნა, დადგა და ირგვლივ ყველაფერი გააქრო, წაშალა. გარეთ თეთრმა სიცარიელემ დაისადგურა. არავინ იცოდა, ვინ სად იყო. ერთმანეთს მხოლოდ სახლებში მყოფნი ხედავდნენ. რაღაცნაირი სიჩუმე იდგა. ნისლი კი კვლავ ჩამოდიოდა და ჩამოდიოდა. იწელებოდა, იწეწებოდა, ირგვლივ ყველაფერს შლიდა, შლიდა.

ოჯახი ამ სურათს თბილი სახლის დიდი ფანჯრიდან უყურებდა.

- ერთმანეთს რომ არ ვხედავდეთ, ვიფიქრებდი, აღარ ვარსებობთ-მეთქი. ნახეთ, ეზო, პატარა ბაღი სულ ჩამოგვაცალა, მოგვპარა, ნეტავ წაიყოლებს თუ დაგვიტოვებს? - იხუმრა მამამ.

- გვეთამაშება, ხან რას დაგიმალავს, ხან რას. მოდი, ლამაზი არაფერი დავარქვათ? - მოიფიქრა ბავშვმა.

მართლაც, ირგვლივ არარსებული მშვენიერება გავრცელებულიყო. იმიტომ, რომ თვითონ ნისლი ხომ ჩანდა?

- უნდა ვეთამაშო. კარებიდან ნაბიჯს გადავდგამ - გავქრები, შემოვდგამ - გავჩნდები, რა კარგია!? – გახალისდა გოგონა.
- კარგია აბა რა, ბავშვი გამომიკეთა, - კმაყოფილი იყო სახლიც, - იდგეს ერთხანს, რას დამიშავებს? ჩემს სილამაზეს მაინც ვერაფრით დაფარავს.

გოგონამ თამაში დაიწყო.

- გარეთ არ გახვიდე, გზა აგერევა, - მაინც გააფრთხილა დედამ.

ნეტავ, საშიში რა იყო? საით უნდა წასულიყო, როცა ეზო საერთოდ არ ჩანდა? იქვე, პარმაღზე გადიოდა, ნისლში უჩინარდებოდა, უკან შემობრუნებული, ისევ ხილული ხდებოდა. დაუპატიჟებელ სტუმარს ესაუბრებოდა კიდეც, კითხვებს აძლევდა.
- რატომ არ მელეპარაკებით? მოხვედით და ყველაფერი წაშალეთ. მთელი მიდამო თან მიგაქვთ თუ რა? ამ სიმძიმით როგორ ივლით, მთებზე როგორ ახვალთ?

მაგრამ იდუმალი თეთრი არაფერი ბავშვს, რომელიც ყველას უყვარდა, ხმას არ სცემდა. გოგონა თანდათან გათამამდა, კიბეებით ეზოში ჩავიდა. არ ეშინოდა, აქ ხომ გზის გაკვალვა თვალდახუჭულსაც შეეძლო.
- მოდი, გავივლი. სახლიკოსკენ წავალ, ვითომ ვხედავ.
- დაბრუნდი, დაეცემი, დაიკარგები! - ეძახდა ძალზე შეწუხებული ვეება. უკვე ნისლი საერთოდ აღარ მოსწონდა.

სიცარიელე ბავშვს სიჩუმით შეხვდა და გააქრო.
- თეთრი ფერი გაქვთ, ესე იგი, ბოროტი არ ხართ. ვიცი, არაფერს დამიშავებთ. კიდევ რამდენ ხანს იდგებით? თუ გნებავთ, მოვიცდი და რომ წახვალთ, უეცრად გამოვჩნდები, - ბავშვი დაბნეული იყო. სახლიკოს მხარეს ჩადგმულ, ღიად დატოვებულ ჭიშკარს მიუახლოვდა, მეორე ეზოში გავიდა და გაჰყვა უსასრულობას. მას ახლა ვერავინ დაეხმარებოდა. დედა ჯერ არც ეძებდა, რადგან, დამჯერე ბავშვს, ხშირ-ხშირად არავინ ამოწმებდა. ვეება მას ვერ ხედავდა. სახლიკო არც ელოდა. კაჭი, ალბათ ბუდეში გაყურსული იჯდა. გოგონა უკანაც რომ მობრუნებულიყო, გზას მაინც ვერ გაიგნებდა. ნელ-ნელა შიშიც შემოიპარა, აფორიაქდა.
- რა ვქნა? აი, ასე მოვდიოდი, აბა, შევტრიალდები, იქნებ სახლი ვიპოვო ან სახლიკო, სულაც ტყეში რომ მოვხვდე, რომ დამაღამდეს? ამ ნისლსაც როგორ გაუთამამდა, დამეგობრება უნდოდა, მან კი არ გაიკარა. დედიკოს და მამიკოს რა უყოს? – გოგონა გამალებული ფიქრობდა, აქეთ-იქით აწყდებოდა.

თეთრი არაფერი ალაპარაკდა

უცბად, ხმა მოესმა. საშიში არა, თბილი და წყნარი, - შ შ შ შ შ შ შ შ შ.
- თქვენ ხართ, ნისლო? – ძლივს ამოთქვა ბავშვმა.

- გინდა რომ ხმა გაგცე? მერე, ჩემს ამბებს გამომკითხავ? რა მოგიყვე? მთებში ვცხოვრობ, არავინ მყავს, ვერავის ვემეგობრები. მარტოობით დაღლილი, ავიკრიფები და ქვემოთ, ბარში ჩამოვდივარ. დავეხეტები იმ იმედით, იქნებ რამე შეიცვალოს, მაგრამ რასაც მივადგები, ქრება, იშლება და კვლავ მარტო ვრჩები. ყველა გამირბის. ჩემს წასვლას ელოდებიან, ცხოვრება რომ განაგრძონ. შენ გგონია, მართლაც ლამაზი არაფერი ვარ? განა ასე არ მეძახი? სინამდვილეში ბევრ რამეს ვიტევ. ეს ძალიან ცოტამ იცის, ხოლო ვინც იცის, ის არ მერიდება, ჩემს უსასრულობაში თამამად შემოაბიჯებს ხოლმე, იქ კი, ლექსები, სიმღერები, ნაძვის ხეები, ყვავილები, ქვეყნები, სხვა სამყაროები ხვდება, მაგრამ, ეჰ, ამ ყველაფრის დანახვა ადვილი არ არის.

გოგონა სულგანაბული უსმენდა.

- აბა დაუკვირდი, - განაგრძობდა ნისლი, - ასეთი განა მარტო მე ვარ? ღამეც იმავეს არ აკეთებს? ყველაფერს შლის, სახლში შემოდის და თუ სინათლეს არ დაახვედრებ, იქაც ყველაფერს გააქრობს. მიუხედავად ამისა, მას არ ერიდებიან, ესაუბრებიან, მასთან ერთად იძინებენ, მესაიდუმლედ ჰყავთ. მე კი, ასე მარტოდ დავხეტიალობ. შინ ვინ შემიშვებს?

- დიახ, თითქმის ეგრეა, ოღონდ, როცა თენდება და ღამე მიდის, ის ყველაფერს თავის ადგილას აბრუნებს. თქვენ როგორღა იქცევით?

- კარგად, ძალიან კარგად. წავალ და სახლიც დაგიბრუნდება, მიდამოც. განა გავაქრობ? მე რასაც ვეხები, ანარეკლებად ვინახავ. მერე, დახუნძლული, კვლავ მთებს ვუბრუნდები. ავბობღდები, გავწვები, ჩავიძინებ და ნანახს სიზმრებად ვიხილავ. ვიცი, რომ შენც გნახავ.

- ესე იგი, ამისთვის ჩამოდიხართ?

- ძნელია გამოყრუებულ მწვერვალებზე მარტოდმარტო ყოფნა. მენატრებით, სიზმრებიც მელევა, მაგრამ გული მხოლოდ ამიტომ არ მომიწევს აქეთ. მე ხომ, ბარში, ვიღაცები მაინც მელოდებიან? ჩემი იისფერი ბაღები და ოქროსფერი ნაძვები სურთ მოინახულონ.

- მართლა? მეც მინდოდა თქვენთან დამეგობრება. როცა სახლს მივაგნებ, კარს გაგიღებთ და შინ შეგიშვებთ, გიჩვენებთ, როგორ ცხოვრობენ ადამიანები.

- გმადლობ, კეთილი ხომ ხარ, გაბედულიც ყოფილხარ. პირველად შემხვდი და არ შეშინდი. მშობლები გეყოლება. მათ არ ესიამოვნებათ სველი სტუმარი.

- არა, არა, ისინი კარგი ადამიანები არიან. ავუხსნი, გაიგებენ.

- შენ ერთ ძველ ნაცნობს ჰგავხარ. მასთან დავდივარ ხოლმე, მესაუბრება, ანარეკლებს მითვალიერებს, ჩემთან ერთადაც სეირნობს.

- სად ცხოვრობს?

- შორს, სხვა ქვეყანაში.

- ნეტავ, ვინ არის? – ფიქრი გაექცა ბავშვს, - როგორ მინდა, ვიცნობდე!

- ჰოდა, შენ შესახებ მოვუყვები, თუკი რამეს დამაბარებს, გადმოგცემ. ხედავ, ასე თუ ისე, მაინც ვიცი, ადამიანები როგორ ცხოვრობენ. შენი სახლი ალბათ განსხვავდება, მაგრამ რაღაც საერთო მაინც იქნება.

- მაგალითად, სკამი! ის ყველას უდგას, - გაუხარდა გოგონას, - უჰ, მინდა დაგ-პატიჟოთ, მაგრამ როგორ? ვინ დამეხმარება?

და გოგონა ერთგული ლალალას დახმარებით შინ ბრუნდება

ამ დროს ნაცნობი ყეფა მოისმა. ეს ლალალა მორბოდა. ეგრძნო მეგობრის გასაჭირი, გამოხურული კარი როგორღაც გაეღო და თეთრ უდაბურებაში თავგანწირული გადმოშვებულიყო. მორბოდა მხსნელად, თან იმედი მოჰქონდა. აი ის, განთქმული, დაუმარცხებელი ერთგულება. ცოტა ხანში, გოგონას, ზედ ცხვირ-პირთან, სამი შავი წერტილი ამოუტივტივდა. ძაღლმა ხელები აულოკა, ქურქის ბოლოში პირი ჩაავლო და მოქაჩა. ბავშვი მიხვდა, უნდა გაჰყოლოდა. ჰოი, სიხარულო! შიში, წვალება, ყველაფერი დამთავრდა და დაკარგული, ერთ წამში, სახლის კარებთან გაჩნდა, აღელვებული, მის საძებნელად გამზადებული მშობლების პირისპირ.

- არ მეჩხუბოთ რა, დავიკარგე, - უთხრა მათ შვილმა.

- როგორ დაიკარგე, როცა აქ ხარ? - ხუმრობითვე უპასუხა მისი დანახვით უცბად გაბედნიერებულმა მამამ და შვებით ამოისუნთქა.

- უფრო სწორად, დაკარგული ვიყავი. ჩვენმა ცუგამ მომძებნა, მაგრამ მეც ვიპოვე ვიღაც, მოგიყვებით! - გოგონა უკვე გამხიარულებულიყო.

შინ შევიდნენ. ძაღლი აქ პირველად იყო. მიუხედავად იმისა, რომ გზა ძალიან კარგად იცოდა, ფეხი ერთხელაც არ მოუდგამს, ვეება არ შეუწუხებია. სახლი აფასებდა ამ ღირსეულ საქციელს, ამიტომ მეგობრულად შეხვდა და თბილად მიმართა.

- ბუხართან წამოწექი, გაშრი, მთლად სველი ხარ. გასადილებ, ბულიონს მოგართმევ, შიგ ძვლებს ჩაგიწყობ. დღეს აქ დარჩი. ვიცი, გზას მშვენივრად გაიგნებ, არ გეშინია, მაგრამ მე აღარ შემიძლია ამ ნისლის ატანა. რაღაცნაირად ჩუმად დგას, შემომყურებს, არც ბაღი შემარჩინა, არც ცა, ტყისპირიც უშუქოდაა. ხვალ წადი, თუ იმას მარტო ვერ დატოვებ? - ეს სახლიკოზე იკითხა. ყველასთან "ნასახლარს" ეძახდა, მაგრამ ძაღლს ვერ გაუბედა, არ გავაბრაზო, არ გაიქცესო.

- კეთილი, მთხოვ და დავრჩები, გიჭირს და დაგეხმარები, თანაც ეს ჩვენი ახლოს გაცნობის პირველი დღეა. ადრე ბევრი გადამირჩენია, არც ახლა დავიხევ უკან. სადილი და თბილი ბუხარიც მომწონს. სახლიკოს კი, არაფრისა ეშინია, ვინ მოთვლის, ნისლი რამდენჯერ უნახავს. ჩემი შვილიც მასთანაა. წყნარად ვარ. იციან, რატომაც წამოვედი და იმასაც მიხვდებიან, რომ აქა ვარ საჭირო, - უთხრა ლალალამ და იქვე წამოწვა.

ყველასთვის ცხადი გახდა, სახლს იგი მოეწონა, დაუმეგობრდა. თვითონ მშობლებიც უდიდესი მადლიერების გრძნობით განიმსჭვალნენ, მათმა გადარჩენილმა ძაღლმა ამგვარი სიკეთით გადაუხადა მადლობა. ყველა დიდ ოთახში მოთავსდა. ვეებამ ბუხარში ცეცხლს მოუმატა და სმენად იქცა.

გოგონა მშობლებს სთხოვს, ნისლი სახლში შემოიპატიჟონ

ბავშვმა მშობლებს უამბო, რაც შეემთხვა და ძალიან, ძალიან სთხოვა, ნისლი შინ შემოეშვათ. სიჩუმე ჩამოვარდა. დაფიქრდა დედა, დაფიქრდა მამა.

- ახლა შიგნიდანაც გამაქრობს, არაფერს დამიტოვებს, - შფოთავდა დიდი სახლი, – მიშველე რამე! – ეხვეწებოდა ძაღლს.

- ნუ გეშინია, თუ რამეს დააპირებს, გავწეწავ! – დაჰპირდა იგი.

კარს უკან ყურთასმენად გადაქცეული ნისლი ყურყუტებდა, - მომწონს ეს გოგო, შემიშვებენ - შევალ. არა? რას ვიზამ? ჩუმად წავალ ნაღვლიანი, გზას გავაგრძელებ.

ამ დროს, ახლოს, ნაბიჯების ხმა მოესმა. ეს მამა ადგა და კარები ფართოდ გააღო. „თეთრი არაფერი“ ფრთხილად შეიზლაზნა შიგნით, გავრცელდა, ოთახები გამოავსო და ყველაფერი წაშალა. კმაყოფილი ათვალიერებდა იქაურობას, იმახსოვრებდა, თან უნდა წაეღო. არა, სინამდვილე არა, ანარეკლი. მოსასხამში გამოიხვევს, მწვერვალებზე მარტოდმარტო დარჩენილი, გაშლის, დაათვალიერებს, გოგონას გაიხსენებს, ნაღველს გაფანტავს.

საოცარი სანახავი იყო შიგნიდან გამქრალი სახლი.

- როდის წავა? შემცივდა, ვერაფერს ვხედავ! ამ ბავშვს მართლა ყველა უყვარს, ასეთ ზლაზნიას, რა აქვს მოსაწონი? – ფიქრობდა ის.

ცოტა ხანში, ნისლი ნელა-ნელა შეიკუმშა, ძირს დაეშვა და კარებისკენ გაიპარა. საგნები ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა. სტუმარი სიტყვას ასრულებდა, ყველაფერს უკან აბრუნებდა, თვითონ კი მიდიოდა, იქაურობას ტოვებდა.

- მოიცადეთ! ცოტა ხანს დარჩით, - გულდაწყვეტილი გოგონა ფეხდაფეხ მისდევდა, - ცოდო არ ხართ მარტო? რაც მეტს ნახავთ, უფრო გაერთობით. აქ კიდევ ერთი სახლია, პატარა, ჩემი მეგობარი, გაუხარდება თქვენი გაცნობა.

- სახლიკო? დიდი ხანია ვიცნობ. კარი მუდამ ღია აქვს. შიგნით საინტერესო არაფერი მინახავს, თითქმის ცარიელია. ჩემსავით მარტოხელაა, - ჩაიბუბუნა ნისლმა.

- ახლა ასე არ არის. ყველაფერი შეიცვალა! - პირდებოდა ბავშვი.

და საოცრება მოხდა. შვილმა მშობლები დაითანხმა, ისევ გაეშვათ გარეთ. დანაყრებული და ბუხართან ჩამთბარი ლალალაც დაუზარებლად, დაუყოვნებლივ გადაეშვა თოვლში, კვლავ გზის საჩვენებლად. ცოტა ხანში, სახლიკოს კარი ფართოდ გაიღო და ნისლი ამჯერად მას ეწვია. მასპინძელი გახარებული დახვდა.

- ნახე, რა განათებული, გამთბარი და ბედნიერი ვარ. ეს ამ ბავშვის და მისი ოჯახის დამსახურებაა.

- ოჰო, მართლაც, სიახლე გქონია, - თქვა „თეთრმა არაფერმა“ და გავრცელდა, იქაურობა მოიცვა. ისევ გაქრა ყველაფერი, ჩაჩუმდა. გაოცებული ლეკვი არ ყეფდა, ასეთი რამ ჯერ არ ენახა. კატაც გაიტრუნა, ჭკვიანი იყო, ხვდებოდა, ჩარევა არ ღირდა. ჭიჭიმ ერთი ამბავი კი დააწია, მაგრამ მისი ხმა საერთოდ არ ისმოდა. გოგონა მოუთმენლად ელოდა, რა იქნებოდა და აი, სიჩუმეში ხმა გაისმა.

- ვხედავ, ბედნიერი ხარ, ჩემო სახლიკო, ამიტომ კმაყოფილი წავალ, მთებს მივაკითხავ, მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს. ეს თაიგული ადრეც აქ იყო? არ მახსოვს? - მრავლის მნახველი ნისლი ჩაფიქრებული ჩანდა, რაღაცას იგონებდა, - ამგვარი ჩემს მეგობართან მინახავს, იმასთან, სახლში რომ მიშვებს ხოლმე, - თქვა ბოლოს.

- იქ, სხვა ქვეყანაში? ანარეკლი არა გაქვთ, მიჩვენეთ! – წამოიძახა ბავშვმა ისე, თითქოს რაღაცას ელისო.

- იმდენად მსგავსია, თითქმის ანარეკლია! – დაასკვნა ნისლმა.

- როგორ მინდა, თქვენს მეგობარს ვიცნობდე, - ინატრა გოგონამ.

- საქმე ისაა, რომ ჩემი წესი მაქვს. ახლა, მასთან, ლურჯ ცაზე მზე ანათებს, ჯერ არ მელის, მოვა დრო, ვნახავ და მოვუყვები შენზე. იქნებ, გაცნობაც მოინდომოს. მანამდე, უნდა მოითმინო. აი, კიდევ რა, შენი მშობლების მადლობელი ვარ, მიმიღეს, არ წამართვეს შენთან მეგობრობის ბედნიერება.

ნისლი წავიდა და ფიქრი დატოვა

- ამ მიდამოში ყველა მოთმინებას, მოლოდინს გვასწავლის? - გაიკვირვა ჩახჩახამ.

- და ფიქრსაც, ჩვენ, ყველამ, ბევრი უნდა ვიფიქროთ. ახლა გამიშვით, წავალ, დავისვენებ, ჩამოვწყდი ფეხზე დგომით, - თქვა ნისლმა. შთაბეჭდილებებით გვარიანად დაღლილი მთებისკენ მიიწევდა, თავისი სამფლობელოსკენ. სიზმრებიც მონატრებოდა. თეთრი არაფერი შეიკუმშა, კარებში გაძვრა, გზაზე გაწვა, გაიწელა და ნელ-ნელა გაიკრიფა.

იქაურობა გაკრიალდა, რაც გაქრა უკან დაბრუნდა, თავისი ადგილი დაიკავა. შეშფოთება და ეჭვი დაწყნარდა. მიდამოს სიმშვიდე დაეფინა, თუმც „თეთრი მდუმარეგის“ სტუმრობას უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია, - კარგა ხანს იხსენებდნენ ნისლს, ფიქრობდნენ მასზე.

გაუჩინარდა თუ არა „ლამაზი არაფერი“, ვეებასაც ცვლილებები დაეტყო. ამპარტავნებამ უკან დაიხია. უკვე მეზობლობას არავისთან უკადრისობდა. ლალალას უფლება მისცა, როცა მოისურვებდა, სტუმრად მაშინ სწვეოდა. დილა უფრო უხაროდა, ღამით მშვიდად ეძინა, ძაღლი ხომ მის ეზოსაც სდარაჯობდა. ეს სასიამოვნო გარდატეხა ყველასთვის შესამჩნევი გახდა. მხოლოდ კაჭი ვერ გრძნობდა ვერაფერს? მასთან აღარ მიდიოდა, თავს არიდებდა, თუ ახლოს ჩაუფრენდა, მხოლოდ ზრდილობიანად ესალმებოდა. სახლიკოს კი ემეგობრებოდა, თითქმის სულ იქ იყო. სხვა, ყველაფერი ჩვეულებრივად გრძელდებოდა. ლეკვი თამაშით იზრდებოდა. ჭიჭი იმუქრებოდა, უცხო არ დავინახო აქ მოსულიო, კატის განდევნასაც ისევ ძველებურად ცდილობდა. ჩახჩახა ამას არაფრად აგდებდა, სითბოში მშვიდად იზამთრებდა და არავინ იცოდა, შემდეგში, რას აპირებდა. გოგონა ფიქრით, მოთმინებით, იმედით ცხოვრობდა. რაღას ელოდა? გარდა იმისა, რომ ადრინდელი სურვილები მასთან რჩებოდა, ახლა კიდევ იმ ადამიანის გაცნობა უნდოდა, რომელიც ნისლს ემეგობრებოდა. იქნებ, რა შეეტყო? ბავშვს ბევრი კითხვა გასჩენოდა. ხის ჭიასთან საუბარიც მოსწყურებოდა, მაგრამ თან ერიდებოდა, არ უნდოდა შეეწუხებინა. სიყვარულით სავსე ტყისპირი, ხან თავის დაკარგულ მეგობარს იხსენებდა, ხან ვეებას ცქერით ტკბებოდა, გოგონაზე კი, ასე ფიქრობდა, - რა საყვარელია ეს ბავშვი. გაყინული, ბნელი ზამთარი გაათბო, გაანათა, დავიწყებული სიკეთე მზეზე გამოფინა და მოგონება დაგვიბრუნა. ხის ჭია, გატრუნული, სიბრძნეს იმარაგებდა, კითხვებზე პასუხებს ეძებდა. მათთვის კი, ვისაც გაუკვირდებოდა, - კედლიდან გამოსული არავის უნახავს და ამას როგორ მოახერხებს ან სიბრძნეს სად შეიძენს, სად იპოვისო? - ამგვარი პასუხი ჰქონდა, - ეს ხომ მარტივია? სად და, თავისივე თავში. ეს ხომ ყველას შეუძლია, თუკი საკუთარ სამყაროს ყურს დაუგდებს, ჩაუღრმავდება და შეიცნობს.

აი, ამგვარად მიდიოდა მიდამოს ცხოვრება, მაგრამ მას მალე ცვლილება ელოდა. რაღაც უახლოვდებოდა. მაინც რა?!

- სულ ასეთი ფუმფულა, მშვიდი ზამთარი კი არ იქნება. მალე ფლუგერს საქმე გაუჩნდება, ვინაიდან მოლოდინი, თებერვლის ყინულიან ქარებს, ქარიშხლებს, გრიგალებს და ქარბუქებს ელოდება, - თქვა მთვარემ. მან ხომ ყველაფერი იცის.

სასტიკი და გამყინავი ქარების ამბავი

ეეჰ, ვის აინტერესებს სასტიკი და გამყინავი ქარების ამბავი? მათ ხომ სიცივე, უდაბურება მოაქვთ თან? სიმარტოვე აგიჟებთ. ღრიალით დაქრიან, ხეებს თხრიან, სახლებს სახურავებს ხდიან, კედლებს ეხეთქებიან, სულიერს დაეძებენ. ვაი მას, ვინც ხელში ჩაუვარდებათ! გათოშავენ, ცხარე ცრემლს ადენენ. მათი სტუმრობა უსიამოვნოა, საშიში, თუმც დადებითის მოძებნაც შეიძლება. დაუჯერებელია? რატომ? აბა, ერთ-ერთ ქარიშხლიან საღამოს სავარძელში მყუდროდ მოეწყვეთ. ღამით თუ გეწვიათ? ლოგინში ჩათბუნდით, მის ზუზუნს ყური მიუგდეთ. იცით, რას გაიგონებთ?

ზღაპრებს, მთელი ქვეყნიერების ამბებს. დიახ, ეს ქარიშხალი გიამბობთ მათ, გიამბობთ და თან თავგადასავლებზე გაფიქრებთ. გაფიქრებთ იმაზე, როგორ გადმოლახა, ვინ იცის, რამდენი ქვეყანა, მთებს, უდაბნოებს, მწვანე ტყეებს გადაუფრინა, ლურჯი ოკეანეები, ზღვები შეძრა, უამრავი რამ ნახა, განიცადა და ახლა თქვენთანაა სტუმრად, გულისნადებს განდობთ. თქვენ უსმენთ, უსმენთ და ხვდებით, გრიგალიანი ღამე ზღაპრული ამბებით ყოფილა სავსე. ქარიშხალსაც ჰქონია სიკეთე, - დაფიქრების, ოცნების სიკეთე. ოღონდ, ფიქრსა და ოცნებას წუხილიც უნდა ახლდეს თან, გამორჩეული, წუხილი იმაზე, არავის სციოდეს, შიოდეს, არავინ იყოს უსახლკარო, არავის სდიოდეს ცრემლი, თუ შენ ამისთვის გაირჯები, მაშინ, მხოლოდ მაშინ, გახდება ქარიშხლიანი ღამე ზღაპრული.

ქარიშხალი მიდამოს დაატყდა

ასე და ამგვარად, ღამით, მიდამოს ქარიშხალი დაატყდა. ქარბუქიც იყო, გრიგალიც, ქარაშოტიც. სტვენდა, ღმუოდა, სახლიკოსა და ვეებას სახურავებზე დახრიგინებდა, ტყისპირს წელში ხრიდა. დიდ სახლს ვინ რას დააკლებდა? ჩაირაზა, შინაურები თბილად გამოკეტა. პატარა სახლს ბინადრები გულში ჩაეკრა და ისიც მედგრად იდგა. ყველაზე დაუცველი კაჭკაჭი აღმოჩნდა. ის, ხის ტოტზე გამოკიდებული, პირისპირ რჩებოდა გამძვინვარებულ ქართან, რომელიც მის ბუდეს დასანგრევად იმეტებდა.
- ამ ბრჭყვიალებს არ შემარჩენს, ეტყობა, სულ თვითონ უნდა. მაგისთვის ხომ არ არის მოსული? არ მივცემ, არ მივცემ! ამას კი სახურავზე რომ წამოჭიმულა, არც დაველაპარაკები. ბოროტი ყოფილა, ყველა მოგვატყუა! კიდევ კარგი, ტყისპირს დავუმეგობრდი, ახლა ჩემს დაცვას უფრო შეეცდება. ოჰ, ნეტავ, როდის გათენდება? სახლიკოსთან ხომ არ გადავიდე ან ვეებას სხვენში? – უმადურობა მაინც შერჩენოდა, - მაგრამ აქედან დიდ მანძილზე რომ ვიყურები და ქვეყნის ამბებს ვიგებ? იქ ვინ რას მომიყვება? მშვენიერ გაზაფხულსაც გამოყრუებული ხომ არ შევხვდები? – თავისთავს თვითონვე გასცა პასუხი ფრინველმა და გამაგრდა.

გოგონა ფლუგერით უკმაყოფილოა. მამა შვილს ასწავლის, ქარს მოუსმინოს. ქარის ამბები დედიკოსაც აინტერესებს, ვეებას კი არ სჯერა, რომ ქარიშხალს ზღაპრების მოყოლა შეუძლია

- წინასწარ რომ მცოდნოდა ქარიშხალი ამოვარდებოდა, კაჭის აქ გადმოვიყვანდი. ეს სათამაშო რას გვიკეთებს, ცუდ ამინდს თუ ელოდებოდა, ვერ გვიჩვენა? - დარდობდა გოგონა.

- ჩვენ ხომ, ამ ღამით, მისთვის არც შეგვიხედავს, - თითქოს გაამართლა ფლუგერი მამამ.

- ქარმა რომ მოტეხოს და გადაკარგოს გეწყინება? იდარდებ? - იკითხა შვილმა.

- რა თქმა უნდა, ეგ ხომ ჩემი „საყვარელი სათამაშოა," - გაიცინა მამამ და განაგრძო, - ნუ შიშობ, კაჭი ასეთ ამინდს, ალბათ, ადრეც დახვედრია, გამოცდილება ექნება. ახლა ვეღარაფერს შევცვლით, უნდა გაუძლოს. ხვალ, როგორც კი ამინდი ჩაწყნარდება, ბუდეს გავუმაგრებ.

- იმ სიმაღლეზე როგორ ახვალ? - გაუკვირდა ბავშვს.

- სახლიკოსთან ძალიან, ძალიან გრძელი კიბე დევს და ის დამეხმარება.

- ნეტავ, ცის კიბე ხომ არ არის? - იხუმრა გოგონამ.

- უფრო ხის, ტყის კიბეა, - აჰყვა მამა.

გოგონა ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა. ბუდე არ ჩანდა. იყო კი ის ისევ ხეზე?

- აი, ასეთია ბუნების ეს მოვლენა. ჯერ სად ხარ? ქარები კიდევ და კიდევ იქროლებენ, მაგრამ, შვილო, ისინი განა მხოლოდ ბოროტი განზრახვით გვესტუმრებიან? ზღაპრებსაც გვიყვებიან, უცხო, შორეული ქვეყნების ამბებს, გულდასაწყვეტსა თუ სასიხარულოს. მათი მოსმენა უნდა ისწავლო.

- რა კარგად თქვი? ქარებს ყური დავუგდოთო? მომეწონა. ნეტავ, ერთნაირ ამბებს მოვისმენთ თუ სხვადასხვას? - მოულოდნელად დაინტერესდა დედა.

ბავშვმა და მამამ ერთმანეთს გადახედეს. ოჰ, რა კარგი დედიკო ჰყავდათ.

ძალიან გაბრაზებული დიდი სახლი სმენად ქცეულიყო, ეს საძაგელი ქარიშხალი მართლა რამეს ხომ არ ჰყვებაო, - მოიგონებენ რაღაცას! ყველაფერი უნდა გაალამაზონ. ამ გადარეულს ზღაპრები საიდან ეცოდინება? ერთი კაჭის ეშველოს. სიმშვიდე რომ ჩამოვარდება, საჩუქარს მოვუმზადებ და დავპატიჟებ, გამართოს. აბა, ახლა კი დროა თავი ძილს მივცე, თორემ გავგიჟდები, - ვეებამ გრიალსა და ხმაურში ჩაძინება დაიწყო.

ღამე კი გრძელდებოდა, გრძელდებოდა ...

ქარიშხალთან ბრძოლა მიმდინარეობდა. ტყისპირი აქეთ-იქით აწყდებოდა. ტოტები აეყარა, შეეყარა და ერთმანეთზე გადაეჭდო, რომ არ დალეწილიყო. ქარაშოტი გამძვინვარებული უტევდა, ბუდეებს ეჯაჯგურებოდა. რა საცოდავები არიან ქარში ხეები.

წელში მოხრილნი, თითქოს გთხოვენ, მომეხმარე, დამიფარეო, მაგრამ მათ სახლში ხომ ვერ შემოიყვან? ვერც ჩიტებს მოაგროვებ. საშინელი უკუნი იდგა. მთვარე არ ანათებდა. ღრუბლები დასეოდნენ, თბილად გაეხვიათ და გარეთ ცხვირსაც არ აყოფინებდნენ. ღამის გუშაგი დიდად არც ნაღვლობდა, ვისთვის გაენათებინა? ასეთ ამინდში, განა ვინმე გარეთ გავიდოდა? აღარავის სდარაჯობდა, გაყინული მიდამოსთვის თავი მიენებებინა და ეძინა.

დილაც ქარიანი გათენდა. კაჭის დასახმარებლად მიემართებიან

როგორც იქნა, ღამე გაილია, მაგრამ დილამაც კარგი ვერაფერი მოიტანა. მოღრუბლული ცა, სიცივე, ქარი. ოჯახი ფანჯარას მიადგა, ჩიტის ბედი აწუხებდა. საბედნიეროდ, გაფიჩხულ ხეზე, ბუდე მოჩანდა. ტყისპირს იგი მაგრად ჩაებღუჯა და დიდ სახლს უჩვენებდა, ყველაფერი კარგად არისო. დედამ, მამამ და ბავშვმა შვებით ამოისუნთქეს.

- საჩუქარი, საჩუქარი მოვუძებნოთ! საახალწლო მოსართავები ყუთებში ლამაზად კი მაქვს ჩალაგებული, მაგრამ რამეს შეველევი, რაც შეიძლება ბრჭყვიალა უნდა იყოს, მისი გემოვნება ვიცი, - შეეხმიანა ვეება კიბეს და სარდაფს.



შუადღისას ქარმა იკლო. ყველანი ჯერ სახლიკოს კიბის ასღებად წავიდნენ, შემდეგ ფრინველის დასახმარებლად გაემართნენ. კიდევ კარგი, დასვენების დღე იყო და მამას ეცალა. ტყისპირი მათ გახარებული შეეგება. კაჭი ბუდიდან იხედებოდა, მაგრამ ვერ ტოვებდა მას.

- ნუ გეშინია, გიშველით! – შესძახა მამამ, კიბე ხეს მიაყუდა, ავიდა და ფრინველის საცხოვრებელი მავთულით ხეზე მიაბა, - ახლა, იმედია, აღარაფერი მოგივა, - თქვა და თან შორიდან სახურავს გახედა. ფლუგერს ძველი მიმართულება

შეეცვალა. გარკვევით უჩვენებდა ჩრდილოეთს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მიდამოს, მძვინვარე, დაუნდობელი, გამყინავი ქარი სწვეოდა, - აი, უყურე, გამართულად მუშაობს, ბუნების მოვლენას კი ვერ აგვაშორებს, - მიმართა ბავშვს.
- არავითარი სურვილი არ მაქვს, ქარიშხალი ჩადგეს, ეგ კი არა, ნეტავ სხვა ქარებიც მოიყოლოს. მინდა ზღაპრების მოსმენა ვისწავლო, უცხო ამბები გავიგო, თითქოს, წიგნს ვკითხულობდე, - ეს დედა იყო, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ძალზედ, ძალ-ზედ მეოცნებე ყოფილა.

ბავშვი ქარიშხალს გაიცნობს

დაღამდა. მიდამოში კვლავ ქარიშხალი დათარეშობდა. გოგონა სათამაშოებით სავ-სე ოთახში იწვა და მასთან გასაუბრებას ნატრობდა.
- მადლობელი დავრჩებოდი, თუ ამ საშიშ ღამეში გამართობდა.
- მაშ, გადამიხადე მადლობა! – ეს ქარი იყო.
- მითხარით, ფანჯრების ასეთი ზანზარი ლაპარაკია? - ძლივს ამოთქვა გაოცებულმა ბავშვმა.
- დიახ, ასეა! აბა, სხვანაირად როგორ გაგაგონოთ? შიგნით ვერ შემოვდივარ, არც მი-ნდა! ერთ ადგილას რა გამაჩერებს? მოსაფერებლად და საჩურჩულოდაც არ მცალია. ნიავი კი არ ვარ, მუდამ თავს რომ გევლებათ. აი, ახლაც უნდა დაგტოვოთ. მიდამოს გადავუგრიალებ და კვლავ შემოგიქროლებთ, რასაც მოვასწრებ მოგიყვებით!
- თუ ერთ ადგილას ვერ ჩერდებით, ამას როგორ მოახერხებთ? მე ხომ ვერ და-გედევნებით? თქვენი მონაყოლი იმდენად მაინტერესებს, თანახმა ვარ ნაწილ-ნაწილ მოვისმინო. ალბათ, ცივი ზღაპრები იცით, მამამ თქვა, ჩრდილოეთის ქარიაო.
- ცივი ზღაპარი არ არსებობს, ეს ერთი. მეორეც, ნამდვილი ამბებიც დამაქვს. მე ხომ მთელს დედამიწაზე დავქრივარ, იმდენ რამეს ვუყურებ. ქალაქები, სოფლები, სახ-ლები, ფანჯრები, ხალხი. წავედიიი! დავბრუნდებიიი!
- ოჰ, ოჰ, მინებს ჩამიმსხვრევს, გამომყინავს, საქმე ნამდვილად არა აქვს, ამდენი ხნით სტუმრობა ვის გაუგია? - ქოთქოთებდა სახლი. ქარისგან გაგუდულმა ერთი ძლივს ამოისუნთქა, რომ გრიგალი ისევ ღრიალით მოუბრუნდა, - ოჰ, ჯერ არ მინახიხარ, ხომ იცი? მომენატრე, - ეძგერა აქედან ვეება.
- ბუნება შევამზადე, ჩემო მაგარო სახლო, ღრუბლები შევყარე, სრული სიბნელე გავამეფე. ხვალაც ცივი, მოქუფრული ამინდი უნდა იყოს, არც მზე, არც მთვარე, მხო-ლოდ ყინვა და სიცივე. აი, ასე!
- და, რატომ, რატომ?
- იმიტომ, ჩემო გამრჯე სახლო, რომ თვისება მაქვს ასეთი, თანაც, ამ სიშორიდან მოვ-ქრივარ, არ უნდა დაგეტყოთ? მერე კიდევ, ადამიანი ხომ უნდა მიხვდეს, რა ბედ-ნიერებაა ჭერი, მყუდრო კედლები? ვინც არ დამიჯერებს და შემებრძოლება, აუცი-

ლებლად დამარცხდება, ვერც საინტერესო ამბებს გაიგებს. ისე კი, თქვენთან სამეგობროდ ნამდვილად მზად ვარ! - ისევ შორიდან დაიყვირა ქარიშხალმა.

გოგონასთან ერთად, ზუზუნსა და გრიალს დედ-მამაც სულგანაბული უსმენდა, თან ცდილობდა, საინტერესო რამ გამოერჩია.

კარგია, კარგი!

რა კარგია არა ასე? ელოდები ზღაპარს. ამ მოლოდინში, თბილად და ტკბილად მიიზლაზნება ზამთრის გრძელი, ქარიშხლიანი ღამე. აი, ჩაგეძინება კიდეც და დილა მოგადგება. ხოლო, თუ იმასაც შესძლებ, ერთი მშვენიერი ამბავი მაინც გაარჩიო, ეს ხომ ნამდვილი ბედნიერება იქნება.

ქარიშხალმა სახლიკოც მოინახულა

- რას ღრიალებ?! გეგონება, არ ვიცოდე ვინცა ხარ, - ახლა ქარაშოტს სახლიკოც შებმოდა.

- რას მერჩი, განა გმტრობ? დაფიქრდი, მეც ხომ საჭირო ვარ? - გამოელაპარაკა ქარიშხალი.

- ეგ, კარგა ხანია, გავიგე და ვიცი, ოღონდ ახლა ნგრევას უნდა მოეშვა. მათ პირველად შეხვდი, ნუ გადარევ, კეთილი მხარე უჩვენე, - სთხოვა პატარა სახლმა.

- ისე, მართალი ხარ. ძალიან კარგები არიან, იციან, როგორ უნდა მოიქცნენ. ჩათბუნებულები მელოდებიან, როდის ვუამბობ ლამაზ ამბებს! ჩემი ძალიან არ ეშინიათ, მაგრამ პატივისცემა აქვთ, ხვდებიან, არც ისე ცუდი ვარ. თქვენ, ყველამ უნდა წარმოიდგინოთ, რა იქნება, მე რომ არ გამოვჩნდე, ხომ დარჩით ქვეყნიერებაზე დაფანტული ზღაპრების გარეშე?!

- შენამდე აქ ნისლი იდგა, ხმა საერთოდ არ ამოუღია, მაგრამ დღემდე მასზე ვფიქრობთ.

- ეგ ჩემი თანამგზავრია და იმიტომაც! – გადაიგრიალა გრიგალმა.

- რა თავი მოაქვს, ზღაპრების და საინტერესო ამბების მოამბე სხვაც არსებობს, - ჩაილაპარაკა ხის ჭიამ.

სახლიკო ჩაყუჩდა. გამძვინვარებულ სტუმარს რას გააგონებდა? ქარიშხალი ისევ დიდ სახლს დაატყდა.

ქარიშხალი დედიკოს დაუმეგობრდა და მშვენიერი ამბავი უამბო

- პატარა ელფები არსად შეგხვედრიან? - მოისმა ერთ-ერთი ფანჯრიდან.

- ვინ მესაუბრება? საკუთარმა ხმაურმა დამაყრუა, - გაეპასუხა ქარი.

- დედიკო ვარ.
- მერე? ბავშვი რომ იყო, კიდევ ჰო, დიდს ელფების გჯერა? აქ რა უცნაური ხალხი ცხოვრობს? - გაიკვირვა ქარიშხალმა.
- პატარაობისას ზღაპრებს რომ მიკითხავდნენ, იქიდან მახსოვს. არ არსებობენ, ხომ? რა გაეწყობა, მაშ დავივიწყებ, - გული დასწყდა დედას.
- ჯერ ერთი, მე თუ არ შემხვედრიან, ეს არაფერს ნიშნავს. ამქვეყნად ყველაფერი კი არ ვიცი. თანაც, მათი არსებობა თუ არარსებობა ზოგს სჯერა, ზოგს არა. ასე რომ, შენს აზრს ნუ შეიცვლი, მე კი შევეცდები, სიმართლე დაგიდგინო, - დაჰპირდა ქარიშხალი, - ახლა ლამაზი ამბავი შენთვის, დედიკო!

თეთრი ყვავილის ამბავი

აქედან ძალიან შორს, საიდანაც მე გახლავარ და, სადაც თეთრი მდუმარებაა, ერთი ყვავილი ცხოვრობს, - დაიწყო ქარმა.
- ყვავილი ჩრდილოეთის ყინვაში? - გაოცდა დედა.
- ჰო, თეთრი, უფერული, სუსტი ყვავილი. ყინვასა და ქარში ამოდის, იშლება და იცინის. ის რომ იცინის, მზესაც ძალა ემატება. ჩემს ზუზუნს გაიგებს თუ არა, იღუნება, თავს ხრის, ცდილობს, ცოცხალი დარჩეს.
- ნუთუ, შენ არ ინდობ მას, ძლიერო ქარო?! – მოისმა დედის შიშნარევი ხმა.
- რას ჰქვია, არ ვინდობ? ამ დროს რომ მნახო, ვერ მიცნობ. ჩემი ძლიერება, სადღაც ქრება, ამ სილამაზეს ფრთხილად ვეხები, განა შემიძლია გავთოშო და დავაჭკნო?
- მაშ, შენ ის გყვარებია, კეთილო ქარიშხალო! - შესძახა გახარებულმა დედამ.
- მე, კეთილი კი არა, ერთი საშინელი, გაყინული ქარი ვარ, მაგრამ ის პატარა, თეთრი ყვავილი ყველაფერს მირჩევნია, - ქარიშხალმა თავის გულისნადები გაუმხილა დედას.
- აი, სწორედ, ასეთ ყვავილებში ცხოვრობენ ელფები. ყვავილებს ისინი უყვარდებათ.
- გულს ნუ მტკენ, საყვარელო დედიკო! მეც ხომ ბუნების შვილი ვარ, თვითონ მან მიბრძანა ჩრდილოეთიდან მექროლა. ეს ბოროტება კი არა, წესია. მინდა, პატარა ყვავილს შევუყვარდე, ამიტომ გადავწყვიტე, სითბო და მზე ვაჩუქო, - იმედს არ კარგავდა ძლიერი სტიქია.
- განა ეგ შესაძლებელია? შენ ხომ მხოლოდ ღრუბლებთან ერთად მოგზაურობ.
- ამიტომ თქვენთან ჩამოვიყვან, ამ ოჯახს შევაფარებ. ვიცი, ვისთანაც მივა, ბედნიერებას მიუტანს. ჰოდა, დედიკო, მომწონხარ და შენ გაჩუქებ! - გადაწყვიტა ქარიშხალმა და ახლა მამიკოს მიადგა.
დედა კი, ფიქრს მიეცა პატარა ყვავილზე, რომელიც ჩრდილოეთში მზეს დაეძებდა.

- ალბათ ოჯახის უფროსი ხარ, არა? ეს რაღაც გამოგონება სახურავზე შენ დაამაგრე? ვითომ რამე გაეგებოდეს, სხვათა შორის, მინახავს ქვეყნები, სადაც, ქალაქებში, სახლების სახურავებს მსგავსი ხელსაწყოები ამშვენებს და რა, ვერ დავქრივარ? აბა, იქ ვნავარდობ თუ ვნავარდობ, თან რამდენ ამბავს ვისმენ? გარშემო სულ ჩურჩული ისმის, ყოველ შემთხვევაში, მე მესმის.

- მეც მესმოდა, მეც, - წამოიძახა მამამ.

- როგორ?

- სწორედ, ასეთ ქალაქში ვცხოვრობდი. ბავშვობაში ჩურჩულით მოყოლილი ამბებით ვერთობოდი. არაფერს ვამხელდი, ისიც კი მეეჭვებოდა, ეს ყველაფერი ნამდვილად იყო თუ არა და, აჰა, შენც იმავეს ამბობ, ესე იგი, არაფერი მომჩვენებია. იმ ჩურჩულმა ბევრი რამ მომცა, ამიტომ ბავშვობა, ჩემთვის, ახლაც ძვირფასია.

- რა საინტერესოა, ქარი არა ხარ, მაგრამ, ამ ამბების დახმარებით, ჩემსავით მთელ ქვეყანაზე მოგზაურობ. აბა, მოყევი, რა გსმენია?

- ათასიდან ერთს გიამბობ: უცნობ ქვეყანაში ერთი კაცი ცხოვრობდა. საიდანღაც მოსულიყვნენ და დასახლებულიყვნენ იქ მისი წინაპრები. კაცი მდიდარი იყო. დიდი, ლამაზი სახლი ჰქონდა და უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. წესით, ბედნიერად უნდა ეცხოვრა, მაგრამ გულში დარდი შეჰპარვოდა უჩუმარი, მუდმივი, თანამდევი. დარდი და ფიქრი იმისა, თუ სად იყო მისი ნამდვილი სამშობლო. წინაპრების მიერ მიტოვებული მშობელი მხარე უხმობდა. აქეთ ეძება, იქით, მეცნიერებსაც სთხოვა დახმარება, ბოლოს და ბოლოს, იპოვა. დაკეტა მდიდრული სახლი, სთხოვა მეგობრებს, მიეხედათ და გზას გაუდგა. კარგა ხანმა განვლო, ის კი არ ჩანდა. ახლობლებს მისი ბედი აღელვებდათ, ამიტომ გადაწყვიტეს, მოეძებნათ. როგორც იქნა, უცხო მხარეში მიაგნეს მის კვალს. მშვენიერი ქვეყანა აღმოჩნდა, მაგრამ მათსას როგორ შეედრებოდა? ჯერ მთავარ ქალაქში მოიძიეს, უშედეგოდ. კარგა ხნის შემდეგ, ეს უმდიდრესი კაცი, პატარა სოფლის განაპირას, უბრალო, ღარიბულ სახლში იპოვეს. მას ამხანაგების სტუმრობა ძალიან გაუხარდა, გაუმასპინძლდა. კარგად მოილხინეს.

- არ ბრუნდები? - ჰკითხეს.

- ჩამოვალ ხოლმე.

- როგორ, აქ რჩები? ის შენი მდიდრული სახლი? აქაურობა რისთვის არჩიე? - წამოიძახეს გაოცებულმა მეგობრებმა.

- აქ სიმშვიდეა. აბა, ყური დაუგდეთ!

- რას ამბობ?! განა ჩვენ, იქ, სიწყნარე გვაკლია? თუ ომია? – ცნობისმოყვარეობით შეაცქერდნენ გაოგნებული მეგობრები.

- აქ სამშობლოს სიმშვიდეა, - ამის მეტი კაცმა არაფერი თქვა.

- მისმენდი ქარიშხალო? ლამაზი ამბავია, არა?

- ჰო, დიდებული. მადლობას გიხდი, ამ ყინვაში ჩემთან საუბარი რომ არ დაგეზარა.

- მე კი მიხარია, ერთმანეთს შევხვდით, დავმეგობრდით, - თქვა მამამ, რომელმაც ცხოვრებაში პირველად, გაამხილა საიდუმლო, თანაც იმასთან, ვისთვისაც ეს საიდუმლო არც ყოფილა.

ყვავილებიანი ქალაქი

- ვალში არც მე დაგრჩები, ამბებს გავიხსენებ. აი, მაგალითად, ერთ ქალაქზე გიამბობ, გზად რომ დავლაშქრავ ხოლმე. იქ, ქუჩებში, ბაღებში, სახლებში, აივნებსა და ფანჯრის რაფებზე, ყველგან ყვავილებია. ახარებენ, უვლიან. გარშემო უჩვეულო სილამაზეა გამეფებული, ხალხიც მხიარული ცხოვრობს. მე ძალიან მომწონს ეს ქალაქი. ჩემი სურვილია, ყველგან ასე იყოს. მინდა, დავქროდე და მშვენიერებას ვუცქერდე!
- ეს რა უცნაურობაა? - ჩაერია დედა, - ყინულის თეთრ ქვეყანაში დაბადებული, ფერად ამბებს ჰყვები?
- რა ვქნა, ასეთი ვარ, - დაირცხვინა ქარიშხალმა.

ვეება ისევ აღშფოთებულია

- გეყოფა, გეყოფა, ყველაფერი ერთმანეთს მიაყარე, რა გავიგოთ?! ნუ გადაგვღალე! მთელი დღე ეს ხალხი შენი გაფუჭებული საქმის გამოსწორებას უნდება, დაგვაძინე! - შეუყვირა დიდმა სახლმა.
- რა ვქნა? ჩქარა თუ არ მოვყევი, შეიძლება ერთ წუთში გადავიკარგო. დაწყებულ ამბავს ვინ დაასრულებს? ისე, წასვლის დრო მოვიდა, მშობლიური მხარე და ჩემი თეთრი ყვავილი მომენატრა. ეჰ, მის გარეშე მომიწევს ყოფნა. უკვე მტკიცედ გადავწყვიტე გადავარჩინო, დედიკოს მივაბარო.
- მორჩა, ქარიანი ადგილი ვხდებით! იმის სანახავად იწანწალებს, გულს შეგვიწუხებს, ტყისპირსაც გაპუტავს, კაჭისაც. რა ღონე ვიხმარო, რომ ვეღარ მომაგნოს? - აბუზღუნდა ვეება, მერე მწარე ფიქრებს მოეშვა და უსიამოვნო სტუმარს დაუცაცხანა, - თავს არ დაგვანებებ?! აქ გადმოსახლდე გინდა?!
- არავითარი გადმოსახლება! ერთ ადგილას ვერ ვჩერდები, სანამ ჩემი დროა, უნდა ვიქროლო, როცა ჩავდგები, ნახავთ, მოგენატრებით! - ახარხარდა ქარი.
- მეტი საქმე არ მაქვს! - სულ გადაირია დიდი სახლი.

გოგონას სჯერა, ქარიშხალი სულაც არაა ბოროტი

- გოგონა, მინდა, წასვლამდე გელაპარაკო, - მიადგა ფანჯარას ქარიშხალი.
- გმადლობთ, სიამოვნებით მოგისმენთ. კაჭის წვალება უკვე გაპატიეთ. მივხვდი, თქვენ ცუდი არ ხართ, ბუნება მოითხოვს ასე, - მაშინვე გამოეპასუხა ბავშვი.
- რამე ხომ არ გაინტერესებს? მკითხე, იქნებ მქონდეს პასუხი.
- აი, სახლიკოს ხომ იცნობთ? მისი პატრონები არსად გინახავთ?
- ტყისმცველი და მისი ოჯახი ძალიან მიყვარდა. მას შემდეგ, რაც აქედან გადაიხვეწ-ნენ, აღარაფერი მსმენია. უცნაურია, აქეთ-იქით ვედები, ის კარგი კაცი კი არსად შემ-ხვედრია.
- მამამ წამიკითხა, მაინც არსებობს თურმე ქვეყნები, სადაც თქვენ არ დაქრიხართ. შე-იძლება, ისინი იქ ცხოვრობენ, - გოგონამ ქარიშხალს გული არ დასწყვიტა, თან კიდევ კითხვა მიაყოლა, - არც ნისლის მეგობარს იცნობთ?
- ადამიანებს ნაკლებად ვხვდები, გამირბიან, მაგრამ მეც მაქვს საყვარელი ადგილები. აი, მაგალითად, ერთ-ერთ ქალაქში, ყველაზე მაღალ სახლში, უამრავ ფანჯარას შო-რის, ერთი გამოვარჩიე და იცი, რატომ? იგი განსაკუთრებულია. რაფაზე, ფერად ქოთ-ნებში გამოზრდილი ყვავილები ჩაუმწკრივებიათ. ჩავუქროლებ ხოლმე მათ, ვტკბები, თან ვესაუბრები. ისინიც მეგებებიან, მიცინიან, ხვდებიან, რომ არაფერს დავუშავებ. ძალიან მომწონს მინებს მიღმა შეფარებული ბუნება.
- იმ ბინაში ძალიან კარგი ადამიანები ცხოვრობენ, - დინჯად აღნიშნა ბავშვმა.
- ასეა, არასოდეს გამიგია, ჩემზე ეთქვათ, საიდან მოეხეტა, როდის გადაიკარგებაო, - დაეთანხმა ქარი.
- ცუდს თქვენზე არც ჩვენ ვიტყვით. პატივისცემას იმსახურებთ, თქვენ ხომ ხალხს, ქვეყნებს აკავშირებთ? ერთმანეთზე ამბებს უამბობთ.
- ოჰო, აი ეს მესმიის, ყველაფერს ხვდები, - წამოიძახა მთლად ნასიამოვნებმა ქარიშ-ხალმა.
- ნისლს დავუმეგობრდი და გაქრა, ახლა თქვენც ჩრდილოეთს მიაშურებთ, მე რომ მომენატრებით? - შესჩივლა გოგონამ.
- ჯერჯერობით, აქ ვარ, - დაამშვიდა ქარიშხალმა. მერე, ჩემი მოძმეები გამოივლიან. გაზაფხულზე იმდენი საქმე გექნება, არც გაგახსენდები.
- თქვენ ხომ ზამთარში მბრძანებლობთ, საიდან იცით? - გაუკვირდა ბავშვს.
- ნიავი და სიო მიყვებიან.

გოგონას გულის ნადებს ანდობს, ბავშვი ისმენს და მარტოსული ყოტი ახსენდება

- ისე, დასაღონებელი მეც მაქვს, ლურჯი ცა არასოდეს მინახავს, მხოლოდ ნაცრის-ფერი და შავი ვიცი, - ამოთქვა ოცნება მძვინვარე ქარიშხალმა.

- გული გწყდებათ? ოჰ, როგორ მეცოდებით! არაუშავს, სამაგიეროდ ყვავილებს ხომ იცნობთ?
- კიდევ კარგი, სწორედ ამიტომაც არ გამაბოროტა მარტოობამ ან იქნებ, არც არსებობს ეს მარტოობა, საკუთარი თავი ხომ გყავს? – ამოიგმინა მან.
- და კიდევ, ჩვენ, ყველას, ერთმანეთი გვყავს. აი, შორეულ ტყეში კი, სადღაც, რომელიღაც ფუღუროში, ჭოტი ზის. მისი ხმა მხოლოდ ღამით ისმის. თქვენ ვერ გაიგებდით, ძალიან ხმაურობთ. ის ნამდვილად მარტოა, არც არავის ენახვება, მხოლოდ იმას გვაგებინებს, რომ არსებობს. ვინ იცის, იტანჯება, ამხანაგი უნდა.
- ეგ ჭოტი რაღამ გაგახსენა? რაც მოგიყევი, საფიქრალად არ გეყოფა? - თითქოს იწყინა სტუმარმა.
- პატარა, საყვარელი ჩიტის ამბავი გიამბეთ. მეც მინდა მოგიყვეთ რამე.
- საიდან იცი როგორია, ხომ არ გინახავს?
- არა, მაგრამ ასეთი მგონია. ხვალ დილიდან მთელი ტყე უნდა დავიარო, მისი ფუღურო მოვძებნო და გავიცნო. როდის, როდის გათენდება?!
- არა, გოგონა, ახლა ეს შეუძლებელია. ცივა. ადრე ღამდება. გაიყინები, თანაც, ამ თვეში, ჩემი დროა, კიდევ უნდა მოვბრუნდე, ხომ გესმის, ეს რას ნიშნავს? ამ დროს ყველა სახლში უნდა იყოს. უმჯობესია, გაზაფხულისთვის გადადო. აბა, დაიძინე, ცოტა ხნით ჩრდილოეთში გავქროლდები, ჩემს ყვავილთან.
- იქიდან კიდევ უფრო გაყინული დაბრუნდებით, არა? ახალი წელი ხომ ძალიან მიყვარს, მაგრამ თუ ზამთარი ასეთი საინტერესო იქნებოდა, არ მეგონა. ნახვამდის, ქარიშხალო. დიდი მადლობა! – გოგონა ახლადშეძენილ მეგობარს თბილად დაემშვიდობა.
- მე კი მხოლოდ ზეიმი მომეწონა, ნეტავ სულ გადაიკარგოს. ამათ ხომ ყველა უნდა შეუყვარდეთ, ჭკუა ვერ ვასწავლე! – სახლი ისევ ძალიან გაბრაზებული იყო.

გრიგალს ვეებას ბუზღუნი აღარ გაუგონია.

სიმშვიდემ დაისადგურა

გამთენიისას ქარი ჩადგა. ხომ შეგიმჩნევიათ ეს როგორ ხდება? ჯერ ხმაური გღლის, ზანზარი, ჭუჭრუტანებში წუილი, მერე, უცბად, სიჩუმე ისადგურებს, თითქოს ქარმა ამოისუნთქა და ჩაიძინაო. ელოდები, ელოდები, აი, კიდევ შემოიქროლებსო, მაგრამ ის აღარ ჩანს, როგორც მოვარდა, ისევე მოულოდნელად გადაიკარგა. ახლაც ასე მოხდა, წავიდა ქარიშხალი, მიატოვა მიდამო. რიჟრაჟი მობრძანდებოდა. ჩუმი, უქარო და ცივი.

ვეება ქარიშხლის შემდეგ

გათენდა. ძლივს დამშვიდებულმა ვეებამ ბუხრებში ცეცხლი დაანთო, სითბო დაატრიალა და გემრიელი საუზმე მოამზადა. მამიკო, დედიკო და გოგონა დიდ ოთახში ჩაის მიირთმევდნენ, თან გასული ღამის ამბებს იხსენებდნენ.

სახლიკო ქარიშხლის შემდეგ

სახლიკოს ბინადრებმაც გაიღვიძეს. ლეკვმა ჰაერი დაყნოსა. მიხვდა, გარეთ გასვლა შეიძლებოდა. წამოხტა, ჩვეულებისამებრ, კარებს მივარდა, თათები დაუშინა, რომ გაეღო, მაგრამ სადღა იყო კარი? პირდაპირ გადათეთრებული ეზო მოჩანდა. ძალიან გაუკვირდა. ეს ვის უნდა ექნა? დედასთან თბილად ჩახუტებულს არაფერი გაუგია, დანარჩენები კი გაითოშნენ, სიცივეს ძლივს უმკლავდებოდნენ: ხის ჭია საცოდავად ჭრიალებდა, ჭიჭი ძაგძაგებდა, ფუმფულა ფისოსაც უჭირდა, მაგრამ არავის ამჩნევინებდა, ერთიც რომ დაეჩივლა, ჭიანჭველა მაშინვე მოუჭრიდა, - თუ არ მოგწონს, მიბრძანდი! ხომ ამბობდი, ადგილები ასარჩევად მაქვსო. სინამდვილეში, წასასვლელი არსაით ჰქონდა, განა თავისი ფეხით არ მოვიდა? მარტოს რა უნდა ექნა? ოჰ, თაიგული? ასეთ ორომტრიალში, ვინ იცის, რა მოუვიდა? იქნებ დაიშალა, ქარმა წაიღო? მსგავსი არაფერი მომხდარა. ძლიერ გრიგალს ხომ ძალზედ უყვარს სუსტი, ნაზი ყვავილები? დაინახა თუ არა სილამაზე, რომელსაც არ ელოდა, გაიხარა, გარს უვლიდა, ეფერებოდა. ასე და ამგვარად, გოგონას საჩუქარს სრულიად არაფერი დაშავებია. ის ისევ ბრიალებდა და ყველას სიხარულს ჩუქნიდა.

ბავშვიც გამოჩნდა, დედიკოსთან ერთად მოვიდა. ეზოში სათამაშოდ გამოსული ლეკვი მათ მხიარულად მიეგება.

- აბა, მივხედოთ აქაურობას, - თქვა მშობელმა. კარი მიხურა, ცეცხლი დაანთო, მიალაგა და ისევ დიდ სახლში გადავიდა.

გოგონა, სახლიკო და ჭიჭი ქარიშხლიანი ღამის შესახებ ლაპარაკობენ, შეკამათდნენ

ნელ-ნელა სითბო დატრიალდა. ბინადრები გაიშალნენ, აკრუტუნდნენ, აჭრიალდნენ, აბუზღუნდნენ.

- გოგონა, ნახე, რა უცნაურია, დაგვყინა, ოთახი თავდაყირა დააყენა, შენს თაიგულს კი არაფერი დაუშავა, - ალაპარაკდა სახლიკო, - იცოდა?

- არა, უბრალოდ, ეგ ყვავილებს არ ერჩის, ცდილობს, მოერიდოს.

- მისთვის სიკეთე არასოდეს შემიმჩნევია, არც სიყვარული. მგონი, შენ ასხვაფერებ ყველას და ყველაფერს, - დაფიქრდა სახლიკო.

- კაჭი გვაკლია, ნეტავ გამოიაროს, რომ დავინახავთ, დავწყნარდებით, თავგადასავალსაც მოვისმენთ, - თქვა გოგონამ.

სურვილი მალე აუსრულდა. მოხერხებული, ჭკვიანი ფრინველი, მეგობრების მოსანახულებლად, სიამაყით აღვსილი მოფრინდა, ის ხომ საშინელ ქარაშოტს გაუმკლავდა.

- საძაგელი, ბუმბული სულ გამაცალა, ბრჭყვიალები წამგლიჯა, ბუდე დამიზიანა. კიდევ რომ მობრძანდეს, გავგიჟდები, - ჭახჭახებდა ის.

- მე კი მომეწონა და ველოდები. ისევ მინდა, ვნახო ნისლი, მოვუსმინო ქარიშხალს. აუცილებლად ახალ ამბებს მოგვიტანენ, - მორიდებულად წაიჩურჩულა ბავშვმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობოდა, სახლიკო და მისი ბინადრები იმ ორის ხელახალა სტუმრობის მომხრენი სულაც არ იყვნენ.

- არ გრცხვენია, გოგონა? - პირველმა ისევ კაჭკაჭმა ამოიღო ხმა, - შენი თვალით არ უყურე, რა დამმართა? რად გინდა მისი დაბრუნება, აღარ გიყვარვართ? მაგ ღრიალაში გაგვცვალე? - ფრიად აღშფოთებული იყო.

- რას ამბობ! - შესძახა ბავშვმა, - თქვენ გარეშე როგორ უნდა ვიყო, მაგრამ ისინიც ცოდონი არიან მარტო.

- არა, არა, ამაზე ლაპარაკიც არ მინდა! - უკმაყოფილოდ შეეპასუხა ფრინველი, - შენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ქარიშხალს ვერ შევურიგდები. რას ჰყვება საინტერესოს? მაინცადამაინც ამბები თუ გინდა, ტყისპირთან მიდი, იმდენი რამ ახსოვს, გიამბობს.

ბავშვს სჯერა, ქარიშხალს და ნისლს სიკეთე მოაქვთ

- რაღაც შეცვლილი მეჩვენები. მაგათ მხარეს გადახვედი? - ჭიჭიმაც ამოიღო ხმა, - ეგენი შენი მესაიდუმლენი როდიდან გახდნენ?

- ვფიქრობ, ადამიანები, ქალაქები, ქვეყნები და ასეთი პატარა, საყვარელი ადგილები ერთმანეთს უნდა დაუკავშირდნენ, ერთად იყვნენ. ქარი და ნისლი სწორედ ამას აკეთებს.

- მაინც როგორ? მაგათი გადამკიდე გარეთ ცხვირსაც ვერ გაყოფ, ვინ უნდა გაიცნო?! - ახარხარდა ჭიანჭველა.
- არაფერიც, სამაგიეროდ, გესტუმრებიან თუ არა, უკვე მთებზე ფიქრობ, ღრუბლებზე, სხვა ადამიანებზე, მთელ დედამიწაზე.
- ოჰ, ოჰ, ოჰ, ამ მიდამოსაც დაუკავშირდნენ ოდესღაც და მთლიანად გააჩანაგეს. იცი, თქვენს სახლში წყალი რა სიშორიდან გამოიყვანეს? იმიტომ, რომ აქ, ახლოს, აღარ არ-ის. ტყის გაჩეხვის შედეგად გადაიკარგა. წვიმა თუ არ მოვა, წყურვილით დავიხრჩო-ბით. აგერ, ეზოშივე, რუ კამკამებდა, ისიც დაშრა. თხუნელა, ზღარბი აღარ ჩანან. სახ-ლიკომ გითხრა ამის შესახებ. აი, რატომ არ მინდა არავისთან დაკავშირება. ჩემთვის მთავარი ეს ადგილია. რაში მაინტერესებს სხვაგან, იქით, რა ხდება? ადამიანების ნაკ-ლებად მჯერა, - ჭიჭი გაბრაზებული იყო.
- გამახსენდა, არც ჩვენი მოსვლა გაგხარებია, გეგონა, რამეს დაგიშავებდით.
- ასე იყო, მაგრამ, როცა დავინახე, როგორები ხართ, თანდათან მოგენდეთ. ახლა შენ ჩემს საუკეთესო მეგობრად გთვლი.
- ჰოდა, დედიკოსნაირი და მამიკოსნაირი კეთილი ადამიანები სხვაგანაც არიან, არ გჯერა?
- მე თქვენი მჯერა. იმედიც გამიჩნდა, იქნებ ამ ოჯახის სიკეთემ რუც ამოაჩუხჩუხოს, ზღარბი და თხუნელა დააბრუნოს. მძიმე პირობების მიუხედავად, - მწერმა კატას გა-ხედა, - დაველოდები. ჩემო გოგონა, კარგია, სხვა ადგილებიც რომ გაინტერესებს, მაგ-რამ ამ წუთას, საქმე აქ გაქვს, აქაურობას უნდა მიხედო, ნელ-ნელა მოაწესრიგო.
- მინდა, ბუნებას მოვუარო.
- ამას შენი არაჩვეულებრივი მშობლები გასწავლიან! მათი წყალობითაა, მიდამო რომ დამშვიდდა და თავის დაფანტულ სხვა შვილებსაც ეძახის, - აქეთ წამოდით, აქ კარ-გიაო.
- მერე, გაიგონებს რუ? მოგვაგნებს თხუნელა?
- ისინი შეიძლება ძალიან შორსაც არიან, მაგრამ აუცილებლად მობრუნდებიან, თქვე-ნი ოჯახის სიკეთე მოაბრუნებთ, - ჭიანჭველამ თავისი გასაოცრად ბრძნული სიტყვა დაასრულა.

უკვე გაზაფხულზე ალაპარაკდნენ, საუბარში მთვარეც ჩაერთო

- მარტო მაგათ კი არა, გაზაფხულსაც უნდა დაველოდოთ, - ჩაიკრუტუნა ფისომ.
- მართალი ხარ, - ყველას გასაოცრად დაეთანხმა ჭიჭი.
- გავთბები, - ჩაიჭრიალა ჭიამ.
- პეპლები, ჭიამაიები, ჩიტები, - ჩაილაპარაკა სახლიკომ.
- ჩემს ქუდს დავიხურავ, ვიფრენ, ამწვანებული ტყისპირი იშრიალებს, - კაჭკაჭმაც ოც-ნება დაიწყო.

- ხედავთ? ამას ამბობთ, მერე კი ზამთარი, თოვლი და ახალი წელი მოგინდებათ. იცოდეთ, მოლოდინი და მონატრება მარადიულია და ძალიან ლამაზი, - მოულოდნელად ღამის მნათობის ხმა გაისმა. ზამთრის მოკლე დღე შეუმჩნევლად გალეულიყო და ქარიშხლის შემდგომ მოწმენდილ ცაზე მთვარე დაბრძანებულიყო, - როგორც იქნა, დაგინახეთ. ამ ღამეს თქვენს ცქერაში გავატარებ, სანამ ღრუბლები გადამეფარებიან. ეს კი აუცილებლად მოხდება, რადგან ჯერ კიდევ ზამთარია.
- ოოო, წასვლის დროც მოსულა, ჩემი მეგობარი გზას გამინათებს, სახლში უცბად მივალ, - თქვა გოგონამ და ფრინველს მიუბრუნდა, - კაჭი, წამოდი! რა უცნაური ჩიტი ხარ, ღამღამობით დაფრინავ, ბუდეს გვიან უბრუნდები. ვინმე უცნობი რომ შეგხვდეს, გაუკვირდება.
- დღეს აქ დავრჩები. ქარიშხალთან ჩემი ორთაბრძოლის ამბავს უფრო კარგად მოვყვები. ვერ მოვასწარი, საუბარში ხელს ხომ არ შეგიშლიდით, - ძალიან ზრდილობიანად თქვა ჩიტმა.
- კარგი, ძილი ნებისა! - ბავშვი კარისაკენ გაემართა.

ძაღლი წამოხტა, აედევნა, სიბნელეში მარტო ხომ არ გაუშვებდა, მეორე ეზოსაც თვალს გადაავლებდა, ვეებას დაამშვიდებდა.

გამეფდა ჩუმი ღამე. მთვარე ვეებას ფანჯრებს მიადგა, გრილი სხივი გოგონას შუბლზე გადაუსვა და ტკბილად ჩააძინა.

სად არის ქარიშხალი? აღარ ჩანს ნისლი? როგორ არა, ისინი გამოსამშვიდობებლად დაბრუნდნენ

დრო გადიოდა. თოვლი ჯერ ისევ მყარად იდო. ადრე ბნელდებოდა, ციოდა. ბავშვი ქარიშხალსა და ნისლს ელოდა. და აი, ერთ ღამესაც, სიჩუმე ქარის ზუზუნმა დაარღვია. გოგონა წამოხტა, ფანჯარას ეცა, არაფერი ჩანდა, - ნისლიც მოუყვანია? ასე გვიან? ეჰ, ვერ ვეთამაშები. გამარჯობა, ქარიშხალო! გამარჯობა, ნისლო! უჰ, როგორ მიხარია თქვენი გამოჩენა!
- მეც მომენატრე, პატარა მეგობარო, საუბარი მსურდა შენთან. სამწუხაროდ, გადის ჩემი დრო, უნდა ჩავდგე, დავწყნარდე, - შეჰგმინა ქარმა.
- ყვავილი უკვე ჩამოიყვანეთ?
- არა, რომ არ დაზიანდეს, რომელიმე მშვიდ მოძმეს გამოვატან.
- მე, თითქმის, აკრეფილი ვიყავი, - აბუბუნდა ნისლი, - მთებს ვუბრუნდებოდი, მწვერვალებს. ამწეწა, გამომაბრუნა, ერთხელ კიდევ დავუაროთო. სიამოვნებით წამოვედი, რადგან სურვილი მქონდა, ისევ მენახე, გემრიელად დაგმშვიდობებოდი. ჰოდა, აქა ვარ.
- ნისლო, ჩრდილოეთის ქარო მიყვარხართ! წახვალთ და გული დამ-წყდება. მე თქვენ დიდი მოლოდინით დაგელოდებით! - მთელი გრძნობით შესძახა გოგონამ.

ჩრდილოეთის ქარმა სიამოვნებით ჩაიგრიალა. „თეთრ არაფერსაც“ უხაროდა ბავშვს ასე რომ შეჰყვარებოდა.

ახალი ამბები, მოკითხვა უცხო ქვეყნიდან

- ჩემო ნისლო, შენი მეგობარი ხომ არ მოგინახულებია? თაიგული ისევ აქვს? ჩემზე უამბე? რა თქვა? - ეკითხებოდა გოგონა ნისლს, ოღონდ, ამჯერად, თქვენობით აღარ მიუმართავს. ისე ელაპარაკებოდა, როგორც დედიკოს, როგორც სახლიკოს.

- ოოო, თითქოს ბუნება სურვილს მიგიხვდა, ერთი დღე ისეთი გამოერია, მე და ქარიშხალი მის ქვეყანაში მოვხვდით. სახლში მივაკითხეთ. ამან, ბინაში, თაიგულს მოჰკრა თვალი და იქაურობას აღარ მოშორდა. იმ კეთილმა კაცმა ოთახში შეიწვია. იქ ისეთი ამბავი დაატრიალა, არც ვიცი, ისევ შეუშვებს თუ არა, - ნისლი მხიარულად ჰყვებოდა ამბავს.

- რას ჰქვია შემიშვებს თუ არა? - ახლა ქარიშხალმა გააგრძელა, - კიდევ ერთი საყვარელი ადგილი მომემატა, სადაც აუცილებლად შევივლი. ელფები კი ვერ ვნახე, ეტყობა, ჩემთან შეხვედრას ერიდებიან, რადგან შესცივდებათ. ის კი გავიგე, ნამდვილად არსებობენ, ყვავილების გულებში ცხოვრობენ. ჰოდა, მათ მოსაძებნად ყველა ყვავილი რომ ავაფორიაქო, აღარც ერთი აღარ შეგვრჩება და ქვეყანას მათი სილამაზე მოაკლდება. ასე რომ, დედიკომ ისინი თვითონ იპოვოს. კიდევ მინდა იცოდე, ერთი ადამიანიც არსებობს, რომელიც არ მიფრთხის. მე მას მეგობრად ვთვლი.

- მართლა, ვინ არის? - გაუხარდა გოგონას.

- მეზღაპრე, ჯადოსნურ ამბებს თხზავს, თოჯინებს ამზადებს, ბავშვებისთვის სიხარული მოაქვს, - გააგრძელა გრიგალმა, - დაბალ, დიდფანჯრებიან სახლში ცხოვრობს, რომელიც გარედან სულ ფერადი ფრანებით აქვს მორთული, ამიტომაც, გარშემო, დიდი მხიარულება სუფევს. მივაკითხავ ხოლმე, აქეთ-იქით დავქრივარ, ყველაფერს ვურევ, ფრანებს ცისკენ მივერეკები. ძალიან ლამაზად მოჩანს მოღუშულ სივრცეში მიმოფანტული ფერადი წერტილები. მეზღაპრე სულაც არ ბრაზობს. გამთბარი ოთახის ფანჯრიდან იყურება და იცინის. მასაც ვუამბე თქვენზე, მთელი ოჯახი, ამ უშველებელ შენობაში, ჩემს საინტერესო ამბებს რომ უსმენთ. აბა, როგორ? მე ხომ ქვეყნებს და ხალხებს ვაკავშირებ? უჰ, დავიღალე, დავქრივარ და თან ვლაპარაკობ, - ძლივს ამოისუნთქა ქარიშხალმა.

- ჰო, მართლა, - ჩაერია თეთრი არაფერი, - მეც მოვყევი შენზე მეგობართან. გაუხარდა. მოკითხვა დამაბარა. მითხრა: - ეს ბავშვი ბუნების ნამდვილი ქომაგი ყოფილაო. შენ სიყვარულით გაგაცილოს და ლამაზ გაზაფხულს ელოდოს, კიდევ შხაპუნა წვიმებს, მოლურჯო ჯეჯილებს, მინდვრის ყვავილებსო.

- ოჰ, რა კარგ ადამიანებს იცნობთ, - შესძახა გოგონამ.

- დიახ, ისინი სხვებს არ ჰგვანან, რჩეულები არიან, - ჩაიბუბუნა ნისლმა.

- თოჯინებს არ ვაკეთებ და სისულელეებს არ ვიგონებ, მაგრამ სხვებს არც მე ვგავარ, არაჩვეულებრივი და განუმეორებელი ვარ, - გამოაცხადა უეცრად ვეებამ.

ბრძენი მთვარე

- ჩემო ბაქია! - სიყვარულით სავსე ხმით ალაპარაკდა მთვარე, დიდ სახლს დარიგება დაუწყო, - დიახაც, უნდა იცოდე, ვინ ხარ, რას წარმოადგენ, გჯეროდეს საკუთარი თავ-ის, მაგრამ აუცილებელია, სხვამაც შეგაფასოს, აზრი გამოთქვას. საერთოდ, გოგონა, ნისლო, ქარიშხალო, დაიმახსოვრეთ! კარგია, როცა გამორჩეული ხარ, განსაკუთრე-ბული, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ ყველას თავისი ღირსება აქვს, თავისი განსხვავებულობა.

- მე კი ასე ვფიქრობ, - გაეპასუხა მნათობს ქარიშხალი, - ისინი, ვინც მე და ნისლს ყურა-დღებას გვაქცევენ, გვისმენენ და გვიგებენ, სხვანაირები არიან. მხოლოდ ასეთებს შეუ-ძლიათ სახლიკოს ახლობლები გახდნენ, ამ მიდამოში იცხოვრონ. ეეეჰ, რა ბედნიერე-ბაა აქ ყოფნა. სამწუხაროდ, ჩვენი დრო ამოიწურა. აბა, მომავალ ზამთრამდე!

- ქარიშხალო, ნისლო, რამდენი რამ მასწავლეთ! – შესძახა ბავშვმა.

- მშვიდობით იარეთ თქვენს გზაზე. ესეც იცოდეთ, სიკეთე არ შეიძლება მხოლოდ ერთ ადგილას დაგროვდეს. ის უნდა გავრცელდეს, დედამიწას მოედოს, ქვეყნებს და ადამიანები ერთმანეთთან დააკავშიროს, - მთვარის ხმა ყრუდ ისმოდა.

ლამაზი ანარეკლი

- წასვლის წინ ლამაზ ანარეკლს გიჩვენებ, ხომ გინდა? – ჩაიჩურჩულა ნისლმა. გაფაცი-ცებული გოგონა ფანჯარას აეკრა. გარედან მომდგარ სიბნელეს თეთრი ბურუსი მკვე-თრად დააჩნდა, მერე, თანდათან, გაიფანტა და ყვავილებით მორთული, ულამაზესი ქალაქი გამოაჩინა, სიცილის ხმაც მოისმა. ცოტა ხანში, ეს სურათი ქათქათა მინდორმა შეცვალა. ირგვლივ ოქროსფერი ნაძვები ბრჭყვიალებდა. ფუმფულა თოვლში კაცი იდგა და ირგვლივ მორიალე ფერად ფრანებს გასცქეროდა.

- იფ, რა ანარეკლებია?! მწვერვალებზე კარგი გასართობი მიგაქვს. ეს ადამიანი ის კე-თილი მეზღაპრეა, ხომ?

- დიახ, მეზღაპრეც და თოჯინების ოსტატიც, - უპასუხა ნისლმა.

- ჩემთან არასოდეს მოვა?

- გოგონა, განა, ვინმემ იცის, ვინ სად მივა ან როდის? შეიძლება, გესტუმროს კიდეც, თანაც, ასეთი ადამიანები, რაღაცნაირად მაინც შენთან არიან, სადმე ან რაიმეში იპოვი მათ, ნახატში, წიგნში, მუსიკაში, ფიქრში, სიზმარში შეხვდები. ძალიანაც შორს რომ იყვნენ, თუნდაც სხვა დროში ცხოვრობდნენ, მაინც შეძლებენ, სიცოცხლე გაგილა-მაზონ, - "თეთრი არაფერი" მიჩუმდა.

შემდეგ, ყველაფერი გაუფერულდა. არ ჩანდა, როგორ მიიზლაზნებოდა, იკრიფე-ბოდა, ილეოდა ნისლი, აღარც ქარიშხლის ხმა ისმოდა. ცა ისევ მოიწმინდა. მიდამო მთვარის მკვეთრმა შუქმა გაანათა.

ზღაპარი მთავრდება?

ილეოდა, იწურებოდა ზამთარი. მიდიოდა და თავისი წილი სევდა თუ სიხარული მიჰქონდა. თოვლი დნებოდა, ალაგ-ალაგ თუ ეჭიდებოდა მიწას. სიქათქათეს შავი ფერი ემალებოდა. გაზაფხულის მოსვლის დრო დამდგარიყო და მიდამოც მოლოდინში ჩაძირულიყო, წელიწადის მშვენიერი დროის მოლოდინში. დიდი სახლის სახურავზე მშვიდად ლაპლაპებდა ფლუგერი, ნიავქარებს და სიოებს უცდიდა. ისინი მოიყვანდნენ გაზაფხულს, როგორც ყოველთვის, და ყველაფერი ისევ ჩვეულებრივად და არაჩვეულებრივად გაგრძელდებოდა. ყველას სჯეროდა ამისა.

თქვენც, ვინც სხვაგან ცხოვრობთ, ვისაც უცხო ქვეყნების ზამთრები, შემოდგომები, გაზაფხულები და ზაფხულები გაქვთ, დაიჯერეთ ამ ჯადოსნური ადგილის სიკეთისა და სილამაზის. შეიყვარეთ მიდამო და მისი ბინადრები!

დასრულდა ზღაპარი. დახურეთ წიგნი, მაგრამ კი არ დაკარგოთ. დაელოდეთ, იქნებ დაიწეროს ზღაპარი ფერადი გაზაფხულისა.